# არსენალი

„კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. №4 (9). აპრილი. 2005. ფასი 1,5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა
1425/2
2005



## თბილისური „შებოლილი თევზი" — ამერიკული ავიამზიდების ჩასაძირად

## დაუნდობელი ბრძოლა აფხაზეთის ცისთვის

## ქვიშის კარიერის მზვერავები

## მსოფლიოს უძვირესი სამხედრო პროგრამები

## რით ვიკვებოთ ექსტრემალურ სიტუაციაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალი მზადების მოლოდინში 4



ქვიშის კარიერის მზვერავები 17



თბილისური „შებოლილი თევზი“ — ამერიკული ავიამზიდების ჩასაძირად 26

მსოფლიოს უძვირესი სამხედრო პროგრამები 6





დიდი სიმშრალე 40



დობერმანი — ჭკვიანი ძაღლი თუ მრისხანე იარაღი 30

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**პერსპექტივა**

4 ახალი მზადების მოლოდინში

5 უკრაინული ტექნიკა ჯობს, თუ უკრაინაში განათლებამიღებული ოფიცრები?

**ახალი ამბები**

6 მოკლე ინფორმაციები

**ტერაქტები**

8 „თუ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ძალისმიერი გზებით, სხვა გამოსავალზე არ უნდა ვიფიქროთ!"

**იარაღის ორი მხარე**

10 შურისძიების იარაღიდან ტერორისტების „სტინგერებამდე"

**ისტორიიდან**

12 გმირის ვარსკვლავი „სტინგერის" მოპარვისთვის

**მკითხველის გვერდი**

14 „ბლექსიფორსი" რუსეთის გარეშე

14 საჰაერო მოძრაობის მეთვალყურე

15 დაუნდობელი ბრძოლა აფხაზეთის ცისთვის

**სპეცსამსახურები**

17 ქვიშის კარიერის მზვერავები

**ნადირობის მოყვარულთათვის**

20 რჩევები მოყვარული მეთევზეებისთვის

22 უნიკალური დარნი

24 ნადირობა თავგადასავლების მაძიებელთათვის საუკეთესო საშუალებაა

**იარაღი**

26 თბილისური „შებოლილი თევზი" — ამერიკული ავიამზიდების ჩასაძირად

**კომპანიონი**

30 დობერმანი — ჭკვიანი ძაღლი თუ მრისხანე იარაღი

**ცხოვრების წესი**

34 ტერორისტული კუნძულები

**ლეგენდარული ადამიანები**

38 მსოფლიო კორპორაციაზე მეოცნებე გამომგონებელი თავის ყველაზე პოპულარულ გამოგონებას არ სწყალობდა

**ცეცხლოვანი სითხე**

40 დიდი წყურვილი

**საქართველოს ისტორია**

44 საქართველოს რესპუბლიკის არმიის შეიარაღება 1920 წელს

**კროსვორდი**

47 არსენალკვორდი

**გადარჩენის სკოლა**

48 ელიტური მებრძოლი

48 რით ვიკვებოთ ექსტრემალურ სიტუაციაში

49 პოზიციები შაშხანიდან ზუსტი სროლისთვის

**სუპერმობილი**

50 **Lexus RX-330**

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 **Parabellum** თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის!!! საუკუნეების განმავლობაში...


## რედაქტორის სვეტი

ძვირფასო მკითხველო, ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენს ახალ რუბრიკას — „მკითხველის გვერდი" — თქვენი აქტიური გამოხმაურება მოჰყვა. თქვენ მიერ გამოგზავნილი კითხვების მრავალფეროვნება იმის მანიშნებელია, რომ ჩვენგან უფრო მეტს ითხოვთ. ეს კი გარკვეულ სტიმულს გვაძლევს და თქვენთვის უფრო და უფრო საინტერესო ჟურნალის კეთებაში გვეხმარება. უპასუხოდ დარჩენილი კითხვების ავტორები იმედია, გვაპატიებენ, რადგან ერთბაშად ყველაფერზე პასუხის გაცემა ჩვენს ძალებს აღემატება. სამაგიეროდ, გპირდებით, რომ მომდევნო ნომრებში აუცილებლად მივუბრუნდებით მათ. მაშ ასე, წაიკითხეთ, ისიამოვნეთ და შენიშვნები თუ კითხვები აუცილებლად მოგვწერეთ.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

**ყურადღება!**
სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში


გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება
რედაქციის მისამართია:
თბილისი, აკურის ქუჩა №8.
(სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46
ფაქსი: 98-74-44
**email:**
**arsenali@kvirispalitra.com**
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი მზადების მოლოდინში

**კრწანისის სასწავლო ცენტრში ამერიკელი ინსტრუქტორები მალე ახალი ქართული ბატალიონების მომზადებას იწყებენ... ერაყში გასაგზავნად**



მარტის ბოლოს შვიდი ამერიკელი კონგრესმენი პირველად ეწვია საქართველოს. მათ სხვადასხვა დონის ოფიციალური ვიზიტების გარდა, 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შედეგად დაღუპულთა სახელობის კრწანისის სასწავლო ცენტრიც მოინახულეს.

მათი ასეთი ინტერესი გასაგებია, რადგან სწორედ იალღუჯაზე, კრწანისის სასწავლო ცენტრში, 2500-მდე ქართველი სამხედროს „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებისთვის გამოყო თავის დროზე აშშ-ის კონგრესმა 64 მლნ დოლარი.

მალე აქვე ახალი ამერიკულ-ქართული მომზადების პროგრამა დაიწყება, რომელიც ქართველი სამხედროების მომზადების დონის შენარჩუნებასა და სტაბილურობას ითვალისწინებს.

ამიტომაც ამერიკელ კონგრესმენებს, რომელთა შორის რესპუბლიკელებს დემოკრატები სჭარბობდნენ, აინტერესებდათ, თუ როგორ მიმდინარეობს ამ ახალი პროგრამის დასაწყისისთვის მზადება.



ისე, ამერიკელი კონგრესმენები, ძირითადად, მხოლოდ სასწავლო ცენტრში განთავსებული მავთულხლართებით შემორტყმული „ამერიკული ქალაქით" დაინტერესდნენ, თუმცა, იქვე გზის გადაღმა ათიოდ მეტრში სწავლების კურსს (კერძოდ კი, საბჭოთა და ამერიკული იარაღის სახეობების გაცნობას) ქართველი რეკრუტები ასევე ქართველი სამხედრო ინსტრუქტორების დახმარებით ელოდნენ. ეს უკანასკნელები სწორედ „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში ორიოდ წლის წინ ამერიკელმა სპეციალისტებმა მოამზადეს.

მაგრამ არ გეგონოთ, რომ ეს რეკრუტები ახალი სასწავლო პროგრამის ფარგლებში ემზადებოდნენ — ისინი დამატებით იმიტომ გაიწვიეს კონტრაქტის საფუძველზე, რომ „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული ბატალიონები შეევსოთ (როგორც ცნობილია, 50-ზე მეტი დაქირავებული სამხედრო გაქცეულია). ამ პრობლემის შესახებ ჩვენ „არსენალის" წინა ნომერშიც გაცნობეთ.

ახალი ამერიკულ-ქართული საწვრთნელი პროგრამისთვის რეკრუტების მოზიდვა კვლავ გრძელდება. იქვე, კრწანისის სასწავლო ცენტრის შესასვლელში, მათთვის საველე ბანაკია მოწყობილი. ამ ბანაკში საყოფაცხოვრებო პირობები, სამწუხაროდ, არ არის იმ დონეზე, როგორც ეს ცენტრის შიგნით წვრთნებში მონაწილე რეკრუტებს აქვთ. თუმცა მაინც რჩება იმედი, რომ ახალი პროგრამის დაწყებისთვის ეს პრობლემები გადაიჭრება.



**ირაკლი ალადაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# უკრაინული ტექნიკა ჯობს, თუ უკრაინაში განათლებამიღებული ოფიცრები?

## როგორ იყენებს საქართველოს ხელისუფლება უკრაინულ სამხედრო დახმარებას



ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში უკრაინა საქართველოსთვის იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მომწოდებელია... უკრაინის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში სულ უფრო მეტი ქართველი ოფიცერი დაეუფლება სხვადასხვა სპეციალობას. მაგრამ ცოტა უცნაურია, რომ საქართველოს სამხედრო უწყებაში სულ უფრო ნაკლები სივრცე რჩება იმ ოფიცრებისთვის, რომლებმაც უკვე გაიარეს სწავლების კურსი უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აკადემიაში.

საქართველო-უკრაინის სამხედრო თანამშრომლობაში, ბზარი ვერც ანტისარაკეტო სისტემა „კოლჩუგებთან" დაკავშირებულმა საერთაშორისო სკანდალა შეიტანა და ვერც „ნარინჯისფერთა" რევოლუციაში ქართული პოლიტიკური დესანტის მონაწილეობამ. მიუხედავად უკრაინაში ქართული რევოლუციის ექსპორტის მცდელობით პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას გარემოცვის გაღიზიანებისა, საქართველომ მძიმე საბრძოლო ტექნიკის მსხვილი პარტია სწორედ ნოემბერ-დეკემბერში მიიღო. ეს ფაქტი უკვე საყოველთაოდაა ცნობილი, მეტიც, საქართველოს პარლამენტმა სწორედ „უკრაინული ტექნიკის გამო" მიიღო არაპოპულარული ცვლილება კანონში და სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა ნახევარი წლით გაზარდა. ამ ცვლილების მომხრეები ამ ნაბიჯს იმით ამართლებდნენ, რომ „ახალ ტექნიკას ახალი სპეციალისტები" ესაჭიროება, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას იმდენი სუსტი წერტილი აქვს, რომ მათი ჩამოთვლის შემთხვევაში ქართულ-უკრაინულ სამხედრო თანამშრომლობაზე საუბრისთვის შეიძლება ადგილი აღარც დაგვრჩეს. ამიტომ ჩვენს ძირითად სათქმელს დავუბრუნდებით.

ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების პროცესი საქართველო-უკრაინას შორის აქტიურად 1998 წლიდან დაიწყო. მაშინდელი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე თვლის, რომ ეს იყო ყველაზე წარმატებული სამხედრო თანამშრომლობა, როგორც პირად, ისე სხვადასხვა სტრუქტურების დონეზე. თუმცა „არსენალთან" საუბარში თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ ისიც განაცხადა, რომ თავდაპირველად ძირითადი აქცენტი არა უკრაინის მხრიდან სამხედრო-ტექნიკურ დახმარებაზე, არამედ რეგიონული გაერთიანება „სუუამის" ფარგლებში სამხედრო თანამშრომლობაზე კეთდებოდა. თევზაძემ გაიხსენა, რომ 1998 წლის აპრილში ერთობლივი ქართულ-აზერბაიჯანულ-უკრაინული სამხედრო კონტინგენტი ნავთობსადენის მონაკვეთის დაცვას უზრუნველყოფდა.

„ის, რომ ჩვენ „სუუამის" ფარგლებში აზერბაიჯანთან ერთად ჩავატარეთ სწავლება ნავთობსადენის ავარიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, მთლიანად უკრაინის ინიციატივა იყო", — იხსენებს დავით თეზაძე.

სხვათა შორის, სწავლების დამგეგმავ ოპერატიულ შტაბს, კრწანისის (იგივე იალლუჯას) პოლიგონი შემთხვევით არ შეურჩევია მანევრების ადგილად. ნიშანდობლივია, რომ სწორედ პოლიგონიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ადრეული ნავთობსადენის მაგისტრალი. სამწუხაროდ, სამხედრო თანამშრომლობა „სუუამის" ფარგლებში ამ ერთი სწავლებით დასრულდა. სავარაუდოდ, ამ რეგიონული გაერთიანების წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ ლიდერებზე რუსეთმა განახორციელა ზეწოლა. მაგრამ, როგორც უკრაინაში საქართველოს სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა გრიგოლ ქათამაძემ რადიო „თავისუფლებას" უთხრა, უკრაინაში მომხდარი „ნარინჯისფერი რევოლუციისა" და მოლდოვეთის სულ უფრო პროდასავლური კურსის გამო, „სუუამის რეგიონული ორგანიზაციის შიგნით ინტეგრაციული პროცესები სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს შეიძენს". მით უფრო, რომ ახლოვდება „სუუამის" სამიტი, რომელიც ბევრ საკითხს მოჰფენს ნათელს.

მაგრამ დავუბრუნდეთ უკრაინა-საქართველოს სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას.

ღირს აღინიშნოს, რომ საქართველოს საჰაერო და საზღვაო თავდაცვითი ძალების პარკი სულ უფრო მეტად ხდება „პროუკრაინული". მხედველობაში გვაქვს რამდენიმე ერთეული სამხედრო ვერტმფრენი და კატარღა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ უკრაინულ ქარხნებში გაარემონტა.

თუმცა სულ მალე სამხედრო-ტექნიკური პროექტების გარდა, რაც საქართველოსთვის შეღავათიან ფასებში საბრძოლო ტექნიკის მოწოდებას გულისხმობს, დაემატა კონტაქტები საგანმანათლებლო სფეროში. უკრაინის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია მეექვსე წელია, ამზადებს უფროს ოფიცერთა და მეთაურთა კადრებს საქართველოს სამხედრო უწყებებისთვის. უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის გრიგოლ ქათამაძის თქმით, უკრაინის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში სხვადასხვა სახის ქართველი სამხედრო-ტექნიკური კადრების მომზადებაც იგეგმება.

მაგრამ ცოტა უცნაურია და ეს ფაქტი, როგორც ჩანს, უკრაინის სამხედრო წრეებშიც ძალიან აფიქრებთ — მაშინ, როცა თბილისი სულ უფრო მეტს ლაპარაკობს უკრაინასთან სტრატეგიულ-სამხედრო პარტნიორობაზე, რეალობაში საქმე სხვაგვარად გამოიყურება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გატარებული საკადრო რეფორმების შემდეგ უკრაინის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულ ოფიცერთა რიცხვი მაღალ თანამდებობებზე სულ უფრო მცირდება. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რამ ერთი თვის წინ საქართველოს თავდაცვის მინისტრის დაჟინებული მოთხოვნით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გენერალური შტაბის უფროსობიდან გაათავისუფლა გენერალი ვახტანგ კაპანაძე, რომელმაც სამი წლის წინ ოქროს მედალზე დაამთავრა უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აკადემია. სულ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში უკრაინიდან დაბრუნებული საშუალო და მაღალი რანგის ოფიცრების საერთო რაოდენობა 10-15 პროცენტს არ აღემატება.

კობა ლიკლიკაძე,
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად
„არსენალისთვის"



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უძვირესი სამხედრო პროგრამები



F-35

გაზეთმა Defense News-მა გამოაქვეყნა სია, რომელშიც მსოფლიოს სამოცი ყველაზე მსხვილი სამხედრო პროგრამა შედის. რა თქმა უნდა, მათი უმრავლესობის რეალიზება ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება. ნუსხაში პირველი ადგილი გამანადგურებელ F-35-ის შექმნის, წარმოების და შესყიდვის საერთაშორისო პროგრამამ დაიკავა. მას ერთობლივად აწარმოებენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, დანია, იტალია, ჰოლანდია, ნორვეგია და თურქეთი. პროექტი 2001 წელს დაიწყო, მისი ღირებულება 245 მლრდ. დოლარს შეადგენს. შეკვეთის შემსრულებელმა კომპანიამ Lockheed Martin-მა უნდა 3279 მანქანა წარმოადგინოს.

მეორე ადგილზეა პროგრამა სახელწოდებით „მომავლის საბრძოლო სისტემები" (Future Combat System), რომელზეც აშშ-ის არმია 2003 წლიდან მუშაობს. ამ გიგანტური პროექტის ღირებულება 177 მლრდ დოლარს შეადგენს. მისი მიზანია საომარი მოქმედების დროს, ბრძოლების ყველა მონაწილე ერთ სახელმძღვანელო ქსელში მოათავსოს, უზრუნველყოს ჯარისკაცები და ოფიცრები ახალი აპარატურით, აამაღლოს მათი ეფექტურობა და ა.შ. პროექტზე მუშაობენ კომპანიები Boeing-ი და SAIC-ი.

მესამე ადგილზე საერთო ევროპული პროექტია, რომელიც გამანადგურებელ Eurofighter Typhoon-ის შექმნაზე მუშაობს. მისი ღირებულება 90 მლრდ დოლარია. პროგრამა 1998 წელს დაიწყო და მისი მიხედვით, სავარაუდოდ, 284 საბრძოლო მანქანა უნდა შეიქმნას.



Eurofighter Typhoon

# პაკისტანმა ახალი რაკეტა გამოსცადა



CNN-ის ცნობით, პაკისტანმა შორი მ
ქმედების ბალისტიკური რაკეტის წარმ
ბული გამოცდა ჩაატარა. რაკეტა Shah
een-II-ს 2000 კმ-ით დაშორებული ობი
ტის განადგურება შეუძლია. იგი მოძრაო
ში მოჰყავს ორსაფეხურიან, მყარ საწვავ
მომუშავე ძრავას და სხვადასხვა ტიპ
ქობინით აღიჭურვება. პაკისტანი ირწმუნ
რომ Shahreen-II დამოუკიდებლად შექ
თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ რა
ტის წარმოების ტექნოლოგია, ისევე როგორ
სხვა ბალისტიკური იარაღისა, ისლამაბად
ჩინეთის ან ჩრდილოეთ კორეისგან შეიძ

ისლამაბადი აცხადებს, რომ ახალი ია
ალის გამოცდა, არ წარმოადგენს გაფრთ
ილებასა თუ მუქარას მეზობელი ინდოე
ისთვის, რომელიც რეგიონში პაკისტანის ყ
ლაზე აშკარა პოტენციური მოწინააღმდეგ

# იაპონელები სამხედროებს სტატუსს უცვლიან

სააგენტო „რია ნოვოსტის" ცნობით, იაპონიის სახელმწიფო კომიტეტმა ქვეყნის კონსტიტუციაში შესატან ცვლილებათა პროექტი წარადგინა, რომელიც იაპონიის თავდაცვითი ძალებისათვის არმიის სტატუსის მინიჭებას ეხება. გაზეთ „იომიურის" ცნობით, შუალედური პროექტი მმართველი, ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტმა წარმოადგინა, რომელსაც ყოფილი პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. მასში დაცულია საერთო დებულება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფომ უარი განაცხადა საერთაშორისო კონფლიქტების სამხედრო გზით მოგვარებაზე, თუმცა იაპონიას ეძლევა „კოლექტიური თავდაცვისა" და „საგანგებო მდგომარეობისას თავდაცვის" უფლება. მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით გაფართოვდება იაპონიის შეიარაღებული ძალების მოქმედების სფერო მრავალეროვნული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, რომელიც „გაეროს" ეგიდით ხორციელდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფსკერზე აღმოჩენილი სიკვდილის მანქანები



ჰავაის შტატის უნივერსიტეტის წყალქვეშა ექსპედიციამ, წყნარი ოკეანის ფსკერზე, ჰავაის კუნძულის სიახლოვეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩაძირული გიგანტური იაპონური სუბმარინა AI-401 აღმოაჩინა. იგი აგებული იყო საიდუმლო მისიების შესასრულებლად, კერძოდ კი, ამერიკის ქალაქებზე ბიოლოგიური და ბაქტერიოლოგიური იარაღით დარტყმების განსახორციელებლად. გაზეთ STAR-BULETNIS-ის ცნობით, წყალქვეშა ნავი აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალებმა მეორე მსოფლიო ომის დასრულების წინ დაატყვევეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოკავშირეთა ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა თავისი წარმომადგენლების გემზე დაშვება მოითხოვა, ამერიკელმა სამხედროებმა სუბმარინა ჩაძირეს. იმპერიალისტურ იაპონიაში ომის დასასრულს, ასეთი კლასის მხოლოდ სამი წყალქვეშა გემი იქნა აგებული.

აღმოჩენილ სუბმარინაზე თავის დროზე სპეციალური ჰერმეტული განყოფილებაც ყოფილა. იქ დაშლილი სამი მსუბუქი ამფიბია-ბომბდამშენი — „სეირანი“ ინახებოდა, რომელთა აწყობას და საბრძოლო გაფრენისთვის მომზადებას რამდენიმე წუთი სჭირდებოდა. თითოეული წყალქვეშა გემის პირად შემადგენლობაში ეკიპაჟის 144 წევრი ირიცხებოდა. საწვავის მარაგი კი ავტონომიური ცურვის საკმაოდ დიდი რეზერვს უზრუნველყოფდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავიამზიდი-სუბმარინების მთავარი მიზანი ამერიკის დიდ ქალაქებზე ბიოლოგიური და ბაქტერიოლოგიური დარტყმების განხორციელება იყო. თუმცა საბედნიეროდ, დაავადებული მწერებით დატვირთული კონტეინერების გამზადება დაგვიანდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ისინი ნავებზე ჩაიტვირთა, იაპონიის ხელისუფლებამ შეტევისთვის სხვა სამიზნე — პანამის არხი აირჩია. სწორედ პანამისკენ განხორციელებული რეიდის დროს დააკავეს სამივე სუბმარინა ამერიკელებმა. შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ძალებმა ისინი პერლ ჰარბორის ბაზაზე განათავსეს, 1946 წლის მაისში კი სამივე ჩაძირეს.

# ისრაელის ნოვაციები



რამდენიმე ათწლეულია, რაც ისრაელი აღარ აწარმობს მასშტაბურ ფრონტალურ ბრძოლებს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. ერთადერთი მტერი, რომლის წინააღმდეგაც ისრაელის სამხედრო ძალებს გამუდმებით უწევთ ბრძოლა — ტერორიზმია და, შესაბამისად, მთელი შეიარაღებაც, ინდივიდუალური თავდაცვითი საშუალება იქნება, თუ მძიმე ტექნიკა, რომელსაც ქვეყანა აწარმოებს, უმთავრესად ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ არის მიმართული. ისრაელის გენშტაბის ხელმძღვანელი ყოველთვის პირადად ეცნობა სიახლეებს სამხედრო ტექნიკის სფეროში. ისრაელის სამხედრო წარმოების პოპულარიზაციისთვის იმართება სპეციალური გამოფენები, რომელზედაც უახლესი ექსპონატებია გამოფენილი. უკანასკნელ გამოფენაზე სტუმართა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სათვალთვალო ხელსაწყომ, რომელსაც სამიზნეში ერთდროულად რამდენიმე ობიექტის ამოღება შეუძლია. ასევე ყურადღების ცენტრში იყო ტყვიაგაუმტარი მინა, რომელსაც მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევიც კი ვერაფერს აკლებს. გამოფენაზე მრავლად იყო სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის ე.წ. „მრუდი იარაღიც“ (რომელზეც უკვე ვწერდით „არსენალის“ წინა ნომრებში). ეს მოდელი სულ ახლახან შეიქმნა, მაგრამ ისრაელის სპეცდანაყოფების აღჭურვილობაში უკვე შესულია. საერთოდ, ისრაელი დიდი გულისყურით ზრუნავს საკუთარ სამხედროებზე. კონსტრუქტორების მთავარ მიზანს პირადი შემადგენლობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო და ეფექტური იარაღისა და დამხმარე მასალების წარმოება წარმოადგენს. მსუბუქი დამცავი ჟილეტი და ელექტრონიკით დახუნძლული სპეციალური მუზარადი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. რა თქმა უნდა, უკეთესია, თუკი ოპერაციას ჯარისკაცების ნაცვლად დაჯავშნული რობოტები და უპილოტო თვითმფრინავები ჩაატარებენ, მაგრამ ეს ჯერჯერობით მომავლის პერსპექტივაა და ამიტომ საიმედო და ეფექტური იარაღის საჭიროება კიდევ დიდხანს იარსებებს.

# კოსმოსური დესანტი რეალური გახდება



პენტაგონი იარაღის ტრანსპორტირების უსწრაფესი ხერხების დამუშავებაზე ზრუნავს. ამ მიზნის მისაღწევად ამერიკელმა სამხედროებმა კოსმოსური სატრანსპორტო რაკეტის შექმნა გადაწყვიტეს. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, ეს დაბალორბიტალური რაკეტა შეიარაღების ჩვეულებრივი საშუალებების მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გადატანას შეძლებს. უპილოტო კოსმოსურ აპარატს ფრენის სიჩქარე ხმის სიჩქარეზე 5-ჯერ მაღალი ექნება და ტონანახევარ ტვირთს გადაიტანს. უკანასკნელი ცნობებით, პროექტი 2010 წლისათვის უნდა დასრულდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თუ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ძალისმიერი გზებით, სხვა გამოსავალზე არ უნდა ვიფიქროთ!“

შარშან, ოსურ ქალაქ ბესლანში მომხდარმა საშინელმა ტერაქტმა ძალიან მძიმე კვალი დატოვა როგორც ბესლანის მცხოვრებელთა მეხსიერებაში, ისე მთელი შეგნებული კაცობრიობის გულებში. იმ დღეებშიც და შემდეგაც ხშირად იმეორებდნენ აზრს, თითქოს ეს იყო ისტორიაში პირველი ტერაქტი, რომელიც უშუალოდ ბავშვების წინააღმდეგ განხორციელდა. სამწუხაროდ, ეს მოსაზრება სწორი არ გახლავთ და რუს სამხედროებსა და სპეცსამსახურებს მსგავსი შემთხვევების ისტორია ნორმალურად რომ სცოდნოდათ, შესაძლოა „ბესლანი" ასე ტრაგიკულად არ დასრულებულიყო.





1974 წლის 14 მაისს დილით, ქალაქ ცფატის სახელმწიფო რელიგიური სკოლის 102 მოსწავლე დასავლეთ გალილეაში ექსკურსიაზე გაემგზავრა. წინა დღით კი ისრაელის საზღვარზე ტერორისტული აქტი განხორციელდა. ბოროტმოქმედებმა მანქანა დაცხრილეს, რომელსაც მშვიდობიანი მოსახლეობა გადაჰყავდა. ძალოვანი სტრუქტურები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ შემთხვევის ადგილზე, მაგრამ დამნაშავეთა კვალს ვერ დაადგნენ. ამ ინციდენტის გამო სკოლის დირექცია პოლიციის ხელმძღვანელობას დაუკავშირდა იმის გასარკვევად, მგზავრობა სახიფათო ხომ არ იქნებოდა. პოლიციამ სამგზავრო ავტობუსით ცენტრალურ გზებზე მოძრაობა ურჩია. საღამოს მოსწავლეები უკვე ქალაქ მაალოტის სკოლაში, ნატივ მეირში დააბინავეს: პირველ სართულზე ბიჭები, მეორეზე — გოგონები.

ამავე დღეს, ღამის ოთხ საათზე, მაალოტის ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში ბოროტმოქმედებმა ახალგაზრდა წყვილი და მათი ოთხი წლის ვაჟი მოკლეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ისრაელის საზღვართან მომხდარი ინციდენტი და ოჯახის დახოცვა პალესტინის განთავისუფლების სახალხო დემოკრატიული ფრონტის სამ ტერორისტთან იყო დაკავშირებული. ისინი ისრაელში ლიბანის მხრიდან შევიდნენ. მათი მეთაური, 22 წლის ზიად კიმალ ხასან რახიმი რთული მოზარდების ინტერნატის ყოფილი აღსაზრდელი იყო. მის სახელთან იყო დაკავშირებული შეიარაღებული ყაჩაღობის მრავალი ფაქტი. ღამით ტერორისტები სკოლა ნატივ მეირის სიახლოვეს აღმოჩნდნენ. ავტობუსის დანახვისთანავე ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ მასში დარჩენილ ერთ-ერთ მასწავლებელს, სცემეს და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით აიძულეს სკოლაში შემძღოლოდა. ერთი მათგანი კართან დარჩა, ორნი კი განაწილდნენ და დერეფნის ერთ კუთხეში ბავშვების მოგროვება დაიწყეს. სკოლაში პანიკა ატყდა. ამ აურზაურით რამდენიმე მოსწავლემ ისარგებლა და მეორე სართულის ერთი საკლასო ოთახის ფანჯრიდან გადახტნენ. მიუხედავად იმისა, რომ გარეთ დარჩენილმა ტერორისტმა მათ ცეცხლი გაუხსნა, არც ერთი მათგანი არ დაზარალებულა. ტერორისტების ხელში 15-17 წლის ასაკის 85 მოზარდი, 2 სანიტარი და ორი მასწავლებელი აღმოჩნდა. ტყვეები საკლასო ოთახში შეიყვანეს და უბრძანეს სასკოლო ინვენტარი კედლებისაკენ მიეწიათ, თავად კი იატაკზე დამსხდარიყვნენ. მაგიდაზე ხელყუმბარა დადეს, ხოლო ოთახის პერიმეტრზე ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ასაფეთქებელი ნივთიერება დაამონტაჟეს.

ინციდენტის შესახებ მალევე შეატყობინეს ხელისუფლების უმაღლეს პირებს. პრემიერ-მინისტრი გოლდ მეირი, გენშტაბის უფროსი მორდეხაი გური და თავდაცვის მინისტრი მოშე დაიანი ორ საათში უკვე შემთხვევის ადგილას იმყოფებოდნენ. სკოლასთან განალაგეს „საირეტ მატკალის“ სპეცრაზმელებიც.

დიდი ხნის მანძილზე ტერორისტებთან მოლაპარაკების დაწყება ვერ ხერხდებოდა, რადგანაც ისინი შენობასთან მიახლოებისთანავე ცეცხლს უხსნიდნენ სპეცრაზმელებს. ბოლოს და ბოლოს, ტერორისტებმა საკუთარი პირობები წერილის მეშვეობით შეატყობინეს ხელისუფლებას. მოთხოვნები ამგვარი იყო: პატიმრობიდან გაეთავისუფლებინათ პალესტინის განთავისუფლების სახალხო დემოკრატიული ფრონტის 20 მებრძოლი, გადაეყვანათ ისინი დამასკოში. ამის შემდეგ ხელისუფლებას უნდა უზრუნველეყო დარჩენილი სამი ტერორისტის მძევლებიანად იმავე ქალაქში ტრანსპორტირება. მხოლოდ ამ ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ გაათავისუფლებდნენ ტყვეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სკოლის აფეთქებით იმუქრებოდნენ.

ხელისუფლებას მოთხოვნების შესასრულებლად დრო მხოლოდ 18.00 საათამდე ჰქონდა. ის სიტუაციის მოგვარებას მოლაპარაკების გზით იმედოვნებდა, თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერორისტები უარს აცხადებდნენ რაიმე დათმობებზე.

თავდაცვის მინისტრმა შტურმისთვის მზადების ბრძანება გასცა. საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა გენშტაბის უფროსი, იგი მოლაპარაკების გაგრძელების მომხრე იყო. „მე ბავშვების გადარჩენა მინდა“, – ამ არგუმენტით გაამაგრა თავისი პოზიცია მორდეხაი გურმა. „არა მხოლოდ შენ“, – უპასუხა თავდაცვის მინისტრმა. ხელისუფლება ორ ნაწილად გაიყო. მინისტრთა კაბინეტი პრემიერ-მინისტრთან ერთად, რომლის სანქციის გარეშეც სამხედრო პირებს არ შეეძლოთ შტურმის დაწყება, რთული არჩევანის წინაშე იდგა: ან სარისკო ოპერაცია გაუგებარი დასასრულით ან ტერორისტების მოთხოვნის შესრულება. დიდი ხნის ჭოჭმანის შემდეგ პრემიერ-მინისტრი მორდეხაი გურის პოზიციას მიემხრო. მოლაპარაკება განახლდა, თუმცა პალესტინელი პატიმრების გათავისუფლების პროცედურის განხილვისას ისევ ჩიხში შევიდა. ამასობაში დრო გადიოდა და ვადაც ნელ-ნელა იწურებოდა. ბოევიკები დროდადრო ახსენებდნენ ხელისუფლებას, რომ მათ დასაკარგი არაფერი აქვთ, მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ბავშვების სიკვდილზე პასუხისმგებლობა მთლიანად ჩინოვნიკებს დაეკისრებოდათ. შუადღისათვის გადაწყდა სკოლა შტურმით აეღოთ. გეგმის მიხედვით სნაიპერებს უნდა გაენადგურებინათ ორი ტერორისტი. „საირეტ მატკალის“ სპეცრაზმელთა ერთი ჯგუფი გარედან კიბის მეშვეობით უნდა მიახლოებოდა ოთახს, რომელშიც იმყოფებოდნენ მძევლები და უკანასკნელი ტერორისტის ლიკვიდაცია მოეხდინა. მეორე ჯგუფი კი შენობიდან შეიჭრებოდა საკლასო ოთახში. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი წამებში უნდა მომხდარიყო. მოშე დაიანი მოითხოვდა, რომ ოპერაცია დაწყებულიყო არაუგვიანეს 17.00 საათისა, რადგანაც ტერორისტები შესაძლოა მიმხვდარიყვნენ, რომ მათ მოთხოვნებს არ უსრულებდნენ და თავიანთი პირობის შესრულება დროზე ადრე დაეწყოთ. ერთადერთი ადამიანი, რომელიც ბოლომდე წინააღმდეგი იყო ამ სპეცოპერაციისა, გენშტაბის უფროსი იყო. იგი იმედს არ კარგავდა, რომ მოლაპარაკება შედეგს გამოიღებდა. 17.20 წუთზე ზიად რახიმი უკანასკნელად დაუკავშირდა ხელისუფლებას: „თუ დავრწმუნდებით, რომ ჩვენი მეგობრები სირიაში არიან, ესეც საკმარისი იქნება“, – განაცხადა მან. ოპერაცია ამ საუბრიდან ხუთ წუთში დაიწყო... დასაწყისი თავიდანვე უიღბლო გამოდგა. სნაიპერმა ტერორისტთა მეთაური მხოლოდ მსუბუქად დაჭრა. სპეცრაზმელთა პირველმა ჯგუფმაც ვერ მოახერხა ბოევიკის ლიკვიდაცია. მეორე ჯგუფი შენობაში შეიჭრა, მაგრამ ზიად რახიმი მათ ავტომატის ჯერით იგერიებდა. სამი ჯარისკაცი დაიჭრა და ჯგუფმა უკან დაიხია. დანარჩენები კი, ნაადრევად გამოყენებული მხრჩოლავი ხელყუმბარის გამო ერთი სართულით ასცდნენ დანიშნულების ადგილს. ამან ბოევიკს დამატებითი დრო მისცა. იგი საკლასო ოთახში შებრუნდა და ტყვეების დახოცვა დაიწყო. სპეცრაზმელებმა, რომლებიც გარეთ, ფანჯარასთან იმყოფებოდნენ, იფიქრეს, რომ მათმა ამხანაგებმა ბოევიკის ლიკვიდაცია მოახერხეს და ფანჯრიდან გადმომხტარ ბავშვებს ეხმარებოდნენ. როგორც იქნა სპეცრაზმელები ოთახში შეიჭრნენ... ზოგიერთი თვითმხილველის თქმით, მძევალთა ნაწილი მათი ტყვიით დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ შტურმი სულ რამდენიმე წამი გაგრძელდა, შედეგი მეტად სავალალო იყო – დაიღუპა 22 მოსწავლე, 3 მასწავლებელი, მძიმედ დაიჭრა 10, მსუბუქად – 20 მოსწავლე.

„ჩვენ არ გვიგრძნია, რომ ოპერაციის ჩავარდნა ჩვენი ბრალი იყო“, – აცხადებდა მოგვიანებით ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე – „ეს იყო, პირველ რიგში, მეთოდის ჩავარდნა, რის მიზეზადაც საჭირო მომზადების უქონლობას დავასახელებდი. ვფიქრობ, რომ იერიში საჭირო არ იყო. ბოლომდე მოლაპარაკება უნდა გაგვეგრძელებინა. როგორ უნდა ებრძოლო ტერორისტს, რომელსაც მძევლად 80 ბავშვი ჰყავს?“

ხელისუფლების წინაშე ანგარიშის ჩაბარებისას, გენშტაბის უფროსმა განაცხადა, რომ ოპერაციის მთავარი წარმატება, სკოლის აფეთქებისაგან გადარჩენა იყო. თუმცა ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ჩინოვნიკებისა და სამხედროების მოქმედებები შეცდომათა უწყვეტ ჯაჭვს წარმოადგენდა. ასე იყო თუ ისე, ხელისუფლებამ დაადგინა, რომ მომავალში მსგავსი ინციდენტის დროს, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიგეგმოს და ჩატარდეს შტურმის ოპერაცია.

მორდეხაი გური ბოლომდე თავისი პოზიციის მომხრე დარჩა. იგი თავის მემუარებში წერდა – „ეჭვი არ არის, რომ თუკი ერთხელ მაინც აჰყვები შანტაჟს, შემდეგ სხვა დროსაც მოგიწევს დათმობაზე წასვლა, მაგრამ ამასთანავე, საჭიროა საგულდაგულოდ შეფასდეს შესაძლებლობები და რისკი. მე ვემხრობი აზრს, რომ ტერორისტის ჭკუაზე არ უნდა გაიარო, მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე, თითოეული გადარჩენილი ადამიანი – ეს ხომ მთელი სამყაროა“.

გენშტაბის უფროსისა და თავდაცვის მინისტრის პოზიციებს შორის, კომპრომისულად გამოიყურება პრემიერ-მინისტრ იცხაკ რაბინის მიერ შემუშავებული მიდგომა. მისი ფორმულა ასე ჟღერს: იქ, სადაც პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ძალისმიერი გზებით, ასეც უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში კი, თუ პროცესის მოგვარებისას სამხედრო პირნი უძლურნი არიან, საკითხი მხოლოდ მოლაპარაკებითა და კომპრომისით უნდა გადაწყდეს.

ეს პრინციპი ისრაელში, ფაქტიურად, დღემდე მოქმედებს.

მაალოტში მომხდარი ინციდენტის შემდეგ ებრაელებმა მრავალი მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთეს. გააძლიერეს და გაზარდეს პოლიციის როლი და უფლებამოსილება, შეიქმნა პოლიციელთა სპეცრაზმი და სამოქალაქო მოხალისე პატრულის სისტემა. სამხედროებმა შეიმუშავეს ზუსტად გათვლილი ტექნიკური რეკომენდაციები და სქემები. ტერორისტების მიერ მძევლების აყვანის შემთხვევაში, წესად იქცა მძევალთა ადგილსამყოფელის გარე სამყაროსაგან სრული იზოლირება. ამისათვის კეთდება ორმაგი ალყა, პირველ რკალში განლაგებულია სპეცრაზმი, მეორეში – ოპერატიული ცენტრები და სამედიცინო სამსახური. ისრაელის არმიაში დღემდე ისწავლება, როგორ უნდა გათავისუფლდეს დაპყრობილი შენობები. ამ სწავლებების დროს მთავარი აქცენტი სიტუაციის განვითარების შესაძლებელი ვარიანტების წინასწარ გათვლასა და ოპერაციის სცენარის მოულოდნელი ცვლილებისათვის მზადყოფნაზე კეთდება.

მაალოტის მოვლენების შემდეგ, 30 წლის მანძილზე, არაერთხელ განმეორებულა მსგავსი ტერორისტული აქტი. ებრაელი სპეცრაზმელების მიერ მომზადებული ოპერაციებიდან წარმატებული შეგვიძლია ვუწოდოთ, 1976 წელს უგანდაში გატაცებული სამგზავრო თვითმფრინავისა (დაიღუპა სამი მძევალი და ორი სამხედრო) და 1984 წელს გატაცებული ავტობუსის გასათავისუფლებლად ჩატარებულ სპეცოპერაციებს (დაიღუპა მხოლოდ ერთი მძევალი)

ყველაზე წარუმატებელი აღმოჩნდა 1978 წელს გატაცებული სამგზავრო ავტობუსის გასათავისუფლებლად ჩატარებული ოპერაცია. მართალია ტერორისტები გაანადგურეს, მაგრამ შტურმი უბედურებით დასრულდა. სროლისას ავტობუსს ცეცხლი წაეკიდა და 35 მძევალი დაიღუპა.

მიუხედავად დიდი გამოცდილებისა, ტერორისტების მიერ მძევლების აყვანა, ისრაელში ყველაზე სახიფათო და რთულ ტერაქტად ითვლება.

საქმე არა მხოლოდ მძიმე ოპერატიულ მოქმედებებში, არამედ უმძიმეს მორალურ დილემებშიც მდგომარეობს. ისრაელში იციან, რომ მძევლების აყვანის შემთხვევაში, პრობლემის გადასაწყვეტად მარტივი გამოსავალი არ არსებობს.

**ანა ფალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შურისძიების იარაღიდან ტერორისტების "სტინგერებამდე"



**კომპაქტური საზენიტო რაკეტები საუკეთესო სადივერსიო საშუალებად იქცა საერთაშორისო ტერორისტების ხელში, მაგრამ მათი საშუალებით თბილისის ცის დაცვიც მეტ-ნაკლებად შეგვიძლია**

მგონი, არც ერთი სახეობის იარაღს ისე არ აფასებენ საერთაშორისო ტერორისტები, როგორც გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს. არც არის გასაკვირი, რადგან ერთი პატარა, მეტრნახევრიანი რაკეტით 200-ტონიანი სამგზავრო თვითმფრინავის „ჩამოხსნა" შეიძლება. ამ საზენიტო სროლას მეტი მნიშვნელობა მაშინ ენიჭება, როდესაც თვითმფრინავში ამა თუ იმ ქვეყნის პირველი პირიზის.

სწორედ ამიტომაც ტერორისტები მთელ მსოფლიოში სანთლით ეძებენ ამ კლასის საზენიტო რაკეტებს და არაფერს იშურებენ მათ შესაძენად.

თუკი ავღანეთის ომის შემდეგ საერთაშორისო ტერორისტების ხელში საკმაოდ აღმოჩნდა ამერიკული „სტინგერები" (საბჭოთა თვითმფრინავების წინააღმდეგ საბრძოლველად ისინი ავღანელ მოჯაჰედებს აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მიაწოდა, თუმცა მოჯაჰედები მათ ხშირად გვერდზე ყიდდნენ), ჩეჩნეთის ომმა ასპარეზზე რუსული „სტრელები" და „იგლები" „გამოიყვანა".

სიმართლე რომ ითქვას, „მიწა-ჰაერი" ტიპის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, რომლებიც გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა სხვადასხვა ქვეყნის არმიების შეიარაღებაში, თავდაპირველად საარმიო კოლონების საჰაერო თავდაცვის უზრუნველსაყოფად იყო განკუთვნილი.

მათ თავი ჯერ კიდევ 1969 წლის აგვისტოში გამოიჩინეს, როდესაც ეგვიპტელებმა ათი საზენიტო რაკეტით ისრაელის ექვსი საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ეს ფაქტი იმითაც იყო გასაოცარი, რომ ეგვიპტელების მთელმა დანარჩენმა საჰაერო თავდაცვამ მხოლოდ ოთხი თვითმფრინავი ჩამოაგდო. ისრაელის „მოსადმა" მალე შეიტყო, რომ ეგვიპტელების ხელში აღმოჩნდა იმ დროისათვის ულტრათანამედროვე საბჭოთა გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები „Стрела-2"-ები, რომლებიც თავად საბჭოთა არმიის შეიარაღებაში მხოლოდ ერთი წლის მიღებული იყო.

მკითხველს არ ეგონოს, რომ კომპაქტური საზენიტო რაკეტების ერთპიროვნული მფლობელი იმ პერიოდში მხოლოდ მოსკოვი გახლდათ. ამერიკელებს მსგავსი კლასის საზენიტო რაკეტები „რედ აი", ხოლო დიდბრიტანელებს კი „ბლოუპაიპი" გააჩნდათ.

მიუხედავად ეგვიპტელი მეზენიტეების წარმატებისა (ავი ხმები ამბობენ, ეგვიპტელი მეზენიტეების ფორმა სინამდვილეში შავგვრემან საბჭოთა სამხედრო სპეციალისტებს ეცვათო), პირველი თაობის „ჯიბის" საზენიტო რაკეტებს ერთი დიდი ნაკლი გააჩნდათ – თვითმფრინავისთვის მათი სროლა მხოლოდ დადევნებით შეიძლებოდა. ანუ ბომბების ჩამოყრის შემდეგ თვითმფრინავი სცილდება სამიზნეს და მეზენიტეს მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია დაადევნოს თავისი „სტრელა" თუ „რედ აი". ამის გამო ამ საზენიტო რაკეტებს სხვაგვარად „შურისძიების" იარაღსაც უწოდებდნენ.

სროლა მხოლოდ დადევნებით კი იმით იყო განპირობებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა



„სტრელა 1მ"

რომ პირველი თაობის „ჯიბის" საზენიტო რაკეტები პასიური ინფრაწითელი დამიზნების მოწყობილობით იყვნენ აღჭურვილნი, ანუ ისინი რეაგირებდნენ ინფრაწითელ ანუ სითბურ გამოსხივებაზე. ინფრაწითელი დიაპაზონის გამოსხივება თვითმფრინავს ყველაზე მეტად რეაქტიული ძრავების (შვეულმფრენის შემთხვევაში — ტურბოხრახნიანი ძრავის) საქშენებიდან გახურებული აირის დიდი სისწრაფით გამოსვლისას გააჩნია — „სტრელაც", „რედ აიც" და „ბლოუპაიპიც" ამ მაღალი ტემპერატურის აირის გამონაბოლქვს დაგეშილი ძაღლებივით „უკან" მისდევდნენ. თუკი პროფესიონალი პილოტი დროზე დააფიქსირებდა საზენიტო რაკეტის სტარტს (რაკეტა გასროლისას თეთრ, მკაფიო ნაკვალევს ტოვებს), იგი თვითმფრინავს ჯერ მზისკენ მიმართავდა და შემდეგ ენერგიული ანტისაზენიტო მანევრით პიკირებაზე გადადიოდა. „ცხელ კვალზე" დაგეშილი პირველი თაობის ინფრაწითელი დამიზნების რაკეტები მოტყუებული რჩებოდნენ და გეზს მცხუნვარე მზისკენ მანამ აგრძელებდნენ, ვიდრე არ აფეთქდებოდნენ (ამ ტიპის რაკეტას თვითლიკვიდატორები უყენია, რათა ფრენის მე-11-14 წამზე აფეთქდეს და სხვაგან არ გადაუხვიოს).

გარდა მზის ეფექტის გამოყენებისა, თვითმფრინავების კონსტრუქტორებმა კიდევ ერთი ხერხი იხმარეს — მფრინავი საშუალება პერიოდულად ფრენის მიმართულების პერპენდიკულარულად ისროდა მცირე ზომის „სითბური სამიზნის სატყუარებს", რომლებსაც სხვანაირად „ინფრაწითელ ხაფანგებსაც" უწოდებენ. ეს „სატყუარები" რამდენიმე წამი იწვიან და მაღალ ტემპერატურას გამოყოფენ, რითაც ინფრაწითელი დამიზნების სისტემიან საზენიტო რაკეტებს, თვითმფრინავის რეაქტიული ძრავის საქშენის ნაცვლად, თავისკენ იზიდავენ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით XX საუკუნის 80-იან წლებში შეიარაღებაში გამოჩნდა ახალი თაობის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, რომელთა რაკეტების დამიზნება არა მარტო ინფრაწითელ, არამედ ულტრაიისფერ დიაპაზონშიც ხდებოდა.

თუკი ამერიკული „სტინგერების" პირველი პარტიისგან (პირველი თაობის „სტინგერები" პენტაგონმა შეიარაღებაში 1981 წელს მიიღო), რომლებიც ავღანელ მოჯაჰედებს აშშ-ის სპეცსამსახურებმა 1986 წლის შემოდგომაზე მიაწოდეს, თავის არიდება საბჭოთა Су-25 მოიერიშეებს ჯერ კიდევ შეეძლოთ „ინფრაწითელი ხაფანგების" გაშვებით (ამ „სტინგერებს" მხოლოდ ინფრაწითელი თვითდამიზნების სისტემა გააჩნდათ), გაუმჯობესებული „სტინგერები" მათთვის საბედისწერო გახდა, რადგან მათ დამიზნების კომბინირებული სისტემა გააჩნდათ, რომელიც ორ დიაპაზონში — ინფრაწითელსა და ულტრაიისფერში აღმოაჩენდა ცაზე კონტრასტულ სამიზნეს და საზენიტო რაკეტასაც მისკენ მიმართავდა.

დღემდე 70 ათასზე მეტი „სტინგერი" და 12 ათასამდე „მისტრალია" გამოშვებული, თუ რამდენი „სტრელა" და „იგლა" დაამზადეს რუსეთში, გასაიდუმლოებულია, თუმცა ნათელია, რომ ბევრად მეტი, ვიდრე ამერიკელებმა.

„იგლა"



მიუხედავად იმისა, რომ ამ „ჯიბის" საზენიტო რაკეტების გარკვეული ნაწილი ავღანეთისა თუ ჩეჩნეთის ცაში დაიხარჯა, ათიათასობით ეგზემპლარი კიდევ რჩება სამხედრო საწყობებში და საუბედუროდ, მათ საერთაშორისო ტერორისტები ჩუმ-ჩუმად ყიდულობენ.

თავისი მაღალი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით ამერიკული „სტინგერი" და რუსული „იგლა" ერთმანეთს ძალიან უახლოვდება, მაგრამ მათი ფასი მკვეთრად განსხვავდება იარაღის შავ ბაზარზე. თუკი „სტინგერის" ყიდვა და ისიც დიდი წვალებით, არანაკლებ 80 ათას დოლარად შეიძლება, 2000 რუსული რუბლის ხელფასის მქონე რუსი „პრაპორშჩიკები" სამხედრო საწყობიდან თითოეულ „სტრელას" თუ „იგლას" „სულ რაღაც" 15 ათას დოლარად სთავაზობენ მყიდველს. სწორედ ამ გზით აღმოჩნდა ეს საზენიტო რაკეტები ჩეჩენი მებრძოლების ხელში, რომლებმაც ორი ომის განმავლობაში მათი საშუალებით არანაკლებ 30 რუსული საბრძოლო თვითმფრინავი და შვეულმფრენი ჩამოაგდეს.

**ჩვენი დოსიე:** გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები — რუსული „სტრელები" და „იგლები", ინგლისური „ბლოუპაიპები", ფრანგული „მისტრალები" თუ ამერიკული „რედ აი" და „სტინგერები" კომპაქტურ საზენიტო საშუალებას წარმოადგენდნენ. მათი სიგრძე მეტრ-ნახევრამდეა, ხოლო წონა 16-20 კგ-ს არ აღემატება, თუმცა 3-5 კმ სიმაღლემდე 1.300 კმ/სთ სიჩქარით (ზებგერითი) მფრინავი რეაქტიული თვითმფრინავის ჩამოგდება შეუძლია. ამიტომაც „ჯიბის" საზენიტო რაკეტები ძალზე პოპულარულია საერთაშორისო ტერორისტთა შორის.

აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, ასე რატომ ნერვიულობენ სახელმწიფოთა პირველი პირების დაცვის სამსახურები, როდესაც მათი დაცვის ობიექტი საჰაერო მოგზაურობას იწყებს. ნებისმიერი თვითმფრინავი (მით უფრო სამგზავრო) და შვეულმფრენი „ჯიბის" საზენიტო რაკეტით ყველაზე იოლად დასაზიანებელია აეროდრომიდან აფრენის მომენტში. ამ დროს მფრინავი საშუალების რეაქტიული ძრავები მაქსიმალურ სიმძლავრეზე მუშაობენ, ინფრაწითელ და ულტრაიისფერ დიაპაზონში დიდ გამოსხივებას გამოყოფენ, რაც საუკეთესო სამიზნეს წარმოადგენს სითბური დამიზნების „მიწა-ჰაერის" კლასის საზენიტო რაკეტებისთვის.

საქართველოს პრეზიდენტის სამგზავრო თვითმფრინავს აეროპორტიდან აფრენა-დაფრენის მომენტში (უსაფრთხო სიმაღლის აღებამდე) ორი Су-25 ტიპის მოიერიშე და ერთი შვეულმფრენი მიაცილებს. მოიერიშეები ერთგვარი „კამიკაძეების" როლს თამაშობენ, რადგან თავიანთი ძრავების სიმხურვალით უნდა „აარიდონ" პრეზიდენტის თვითმფრინავს ნასროლი სითბური რაკეტა და თავად მიიღონ დარტყმა.

ირაკლი ალადაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გმირის ვარსკვლავი „სტინგერის“ მოპარვისთვის

ცოტა ხნის წინ 16 წელი შესრულდა, რაც ავღანეთიდან საბჭოთა ჯარები გამოიყვანეს. ცხრაწლიანი გააფთრებული ომის დროს ბევრი საინტერესო ამბავი მოხდა, მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კი შემდეგნაირად წარიმართა: 1986 წლის შემოდგომაზე ავღანეთის ომის სასწორი საბჭოთა არმიის საწინააღმდეგოდ გადაიხარა. არ იფიქროთ, რომ საბჭოთა მე-40 არმიის წინააღმდეგ, რომელიც 120 ათასამდე სამხედროს ითვლიდა, მილიონიანი შეიარაღებული ძალები დაირაზმნენ, არც ატომური ბომბი უსვრია ვინმეს, მაგრამ მთლიანად საბჭოთა სამხედრო დოქტრინამ და მისმა სამხედრო სამრეწველო კომპლექსმა კინაღამ დიდი სირცხვილი ჭამა. საქმე ისაა, რომ ავღანეთის ომში საბჭოთა მხარეს შეიარაღების მხოლოდ ერთ სახეობაში – ავიაციაში გაჩნდა 100-პროცენტიანი უპირატესობა. ხმელეთზე ბრძოლისას ავღანელი მოჯაჰედების მცირერიცხოვანი, მაგრამ მობილური ჯგუფები სულ კუდით ქვას ასროლილებდნენ საბჭოთა მძიმე შეიარაღებით აღჭურვილ ბატალიონებსაც კი. საბჭოთა ტანკებსა და ჯავშანმანქანებს ასანთის კოლოფებივით წვავდნენ ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნებით, ანუ როგორც მათ ავღანელები უწოდებდნენ – „შაითან ტრუბებით“.

მოულოდნელად, 1986 წლის შემოდგომაზე საბჭოური ავიაციის უპირატესობა გაქრა. საბრძოლო თვითმფრინავებმა პანტაპუნტით, ერთიმეორის მიყოლებით იწყეს ვარდნა. რა თქმა უნდა, მოჯაჰედებს მანამდეც გააჩნდათ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – მსხვილკალიბრიანი საზენიტო ტყვიამფრქვევი ДШК და ხელის გადასატანი, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები „სტრელა-2მ“ (ძირითადად, ჩინური წარმოების), „ბლოუპაიპი“ (ინგლისი) და „რედაი“ (აშშ). მაგრამ ამ ჰაერსაწინააღმდეგო იარაღს საბჭოთა მფრინავები მეტ-ნაკლები სიმარჯვით უსხლტებოდნენ და მათი დანაკარგები არც ისე შესამჩნევი იყო.

1986 წლის ბოლოსთვის გაზრდილმა დანაკარგებმა საბჭოელები აიძულა, აქტიური სადაზვერვო ოპერაცია ჩაეტარებინათ. დაახლოებით ერთ კვირაში დაზვერვამ დაადგინა, რომ ავღანელმა მოჯაჰედებმა პაკისტანიდან უახლესი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები „სტინგერები“ მიიღეს, რომლებიც თავის წინამორბედებს ერთი თავით სჯობდნენ.

„სტინგერების“ რისხვა თავის თავზე განსაკუთრებით Су-25 მოიერიშე თვითმფრინავებმა გამოსცადეს. თუ მანამდე მათი ჩამოგდება სხვა საბჭოთა თვითმფრინავებთან (Су-17, МиГ-23, МиГ-21) შედარებით ბევრად ჭირდა, „სტინგერების“ გამოჩენამ საბრძოლო თეატრის რაიონში ეს მაჩვენებელი გაათანაბრა.

განსაკუთრებული შეშფოთება ამაზე თბილისის დიმიტროვის სახელობის 31-ე საავიაციო ქარხანაში გამოხატეს, რადგან ყოფილ საბჭოთა კავშირში, ძირითადად, მხოლოდ აქ უშვებდნენ ავღანეთის ცაში „მომუშავე“ Су-25-ებს. საჭირო იყო სასწრაფოდ მიეღოთ გადამჭრელი ზომები Су-25 მოიერიშეების „სტინგერებისგან“ დასაცავად, რისთვისაც ცალკე КГБ-მ და ცალკე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვამ (ГРУ) საზღვარგარეთ მყოფ თავის აგენტურას სასწრაფო დავალება მისცა – რადაც უნდა დასჯდომოდათ, უნდა ეყიდათ, მოეპარათ თუ დაეპყროთ საიდუმლო „სტინგერის“ ერთი ნიმუში, ჩამოეტანათ მოსკოვში და გამოცდებით შეემუშავებინათ მისი საწინააღმდეგო ზომები.

დრო გადიოდა, მაგრამ საქვეყნოდ ცნობილ საბჭოთა КГБ-სა და ГРУ-ს დაზვერვამ „ჩაისვარა“ – „სტინგერის“ ნიმუშის მოპოვება ვერ შეძლეს. სასწორზე უკვე მთლიანად საბჭოთა კავშირისა და მისი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მსოფლიო იმიჯი იდო – ვიღაც, სამკლასდამთავრებული, ჯერ კიდევ უწვერული ავღანელი მოჯაჰედი ერთი „ტრუბით“ საბჭოთა აკადემიკოსებისა და ინჟინრების მიერ შექმნილ, მრავალმილიონიან თვითმფრინავებს რამდენიმე წამში უშეცდომოდ ყრიდა.

საქმემ სერიოზული სახე მიიღო და მისი განხილვა უმაღლეს დონეზე –



ამ რუს პილოტს არ გაუმართლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„სტინგერის“ მოსაპარად მთელი საბჭოთა დაზვერვა მუშაობდა**



გორბაჩოვისა და მთლიანად ცენტრალური კომიტეტის წინაშე მოხდა, სადაც გამოიტანეს „განაჩენი“ – საბჭოთა გმირის ოქროს ვარსკვლავს მიიღებდა ის, ვინც პირველ „სტინგერს“ ჩაიგდებდა ხელში.

აი, მაშინ კი ამუშავდა ავღანეთში მებრძოლი მე-40 არმიის პირადი შემადგენლობა – გმირის ვარსკვლავი ყველას უნდოდა, დაწყებული გენერლით და დამთავრებული უბრალო ჯარისკაცით.

კვირა კვირას მისდევდა, მაგრამ ასე სასურველი „სტინგერი“ ვერავინ მოიპოვა. საბჭოთა პარტიული და სამხედრო ხელმძღვანელობა შეშფოთდა, რადგან თუ არ ჩავთვლით სხვა ტიპის შვეულმფრენებსა და თვითმფრინავებს, ცხრაწლიანი ომის განმავლობაში ჩამოვარდნილი 23 ერთეული Су-25-დან, 12-ზე მეტი „სტინგერებმა“ უმოკლეს დროში იმსხვერპლეს.

ერთხელაც, თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეცდანიშნულების ბატალიონის ერთ-ერთი სადაზვერვო ჯგუფი შვეულმფრენებით გადააწყდა მოჯაჰედების ქარავანს, რომელიც იაპონური მოტოციკლეტებით ცდილობდა მიმალვას. შვეულმფრენებს მოჯაჰედებისთვის არ „დაუზოგავთ“ რაკეტები, ხოლო მოგვიანებით, მათი დაწყებული საქმე სადაზვერვო ჯგუფმა ტყვიებით დაამთავრა. დახოცილი მოჯაჰედების იარაღის შეკრებისას, ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ცარიელი მილი იპოვა და გადაგდება დააპირა, მაგრამ ოფიცერმა, რომელმაც ინგლისური იცოდა, შემთხვევით თვალი მოჰკრა მილზე გაკეთებულ, დაშიფრულ წარწერას და ცივმა ოფლმა დაასხა – მის წინ საბჭოთა გმირის ოქროს ვარსკვლავი, ანუ „სტინგერის“ დანადგარი იყო. მართალია, ის „სტინგერი“ გასროლილი აღმოჩნდა, მაგრამ იქვე მოჯაჰედების ბუნაგში, ჭუჭყიანი ზეწრების ქვეშ სულ ახალთახალი „სტინგერი“ და მისი გასაშვები მოწყობილობა იპოვეს.

მოგვიანებით, ახალი ოპერაციების ჩატარების შედეგად, საბჭოთა სამხედრო მზვერავების ხელში კიდევ აღმოჩნდა, როგორც მინიმუმ, ოთხი-ხუთი „სტინგერი“, რომლებიც ამერიკულ კომპანია „ჯენერალ დაინემიქსს“ სულ რაღაც ერთი თვით ადრე ჰქონდა დამზადებული.

მოპოვებული „სტინგერები“ სასწრაფოდ მოსკოვში, გასაიდუმლოებულ საავიაცო-საცდელ ინსტიტუტში ჩაიტანეს დიდი დაცვით, სადაც მათი დეტალური შესწავლა დაიწყო.

მხოლოდ მაშინ მიხვდნენ საბჭოთა კონსტრუქტორები „სტინგერის“ მთავარ საიდუმლოს – მანამდე, Су-25-ის ძრავში მოხვედრისას, სხვა საზენიტო რაკეტები თავისი ნამსხვრევებით, რა თქმა უნდა, აზიანებდნენ თვითმფრინავს, მაგრამ Су-ები ერთი ძრავით მაინც ახერხებდნენ აეროდრომზე ავარიულ დაშვებას. „სტინგერს“ კი თავისი წინამორბედისგან განსხვავებით, მაღალენერგეტიკული საბრძოლო ქობინი ეყენა, რომელიც არა მარტო ძრავს აზიანებდა, არამედ თვითმფრინავის კუდის ნაწილს წვავდა, რის შედეგადაც წყდებოდა მართვის ბაგირები და მოიერიშე უმართავი ხდებოდა. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ Су-25-ს საგამოცდო სტენდზე ძრავის საქშენში აუფეთქეს ასეთი წვალებით მოპოვებული „სტინგერი“, კონსტრუქტორები მიხვდნენ, როგორ უნდა დაეცვათ თავი ამ მრისხანე იარაღისგან – მათ Су-25-ს კუდის ნაწილში დაუყენეს დამატებითი, 1,5 მ სიგრძისა და 6 მმ სისქის ფოლადის ჯავშანი და გააძლიერეს ხანძარმქრობი მოწყობილობის ეფექტურობა, რამაც მოიერიშეების საბრძოლო სიცოცხლისუნარიანობა ერთიორად გაზარდა.

თუმცა პენტაგონმა უახლესი და საიდუმლო „სტინგერების“ ავღანელი მოჯაჰედებისთვის მიწოდებით მაინც მოიგო, რადგან დიდი დანაკარგით შეშფოთებულმა საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობამ Су-25-ის მფრინავებს საბრძოლო ამოცანების შესრულება 4500 მ-ის სიმაღლეზე დაბლა აუკრძალა, რაც „სტინგერის“ ფრენის ჭერს შეესაბამებოდა. ამით კი დაიკარგა მოიერიშე თვითმფრინავების მოქმედების იდეის დედააზრი – 4,5 კმ-ს სიმაღლიდან დაბომბვა არაეფექტური გახდა, რადგან მოიერიშეები დაბალ სიმაღლეებზე ფრენისას აყენებდნენ ყველაზე დიდ ზიანს მოწინააღმდეგეს.

ასე „გამოაძევეს“ ამერიკულმა „სტინგერებმა“ საქართველოში აწყობილი Су-25-ები ავღანეთის ციდან.

P.S. სხვათა შორის, პირველი „სტინგერის“ მომპოვებელმა საბჭოთა მაიორმა გორბაჩოვისაგან საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ვერ მიიღო, რადგან იმავე პერიოდში ამ უკანასკნელს სხვა ბრძანებაც ჰქონდა გაცემული – „ბრძოლა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ“. „სტინგერის“ მოპოვების მიუხედავად, მაიორი გორბაჩოვის მეორე ბრძანებას ნამდვილად ვერ აკმაყოფილებდა...



**ჩვენი დოსიე:**

**ყველარაკურსიან, ინფრაწითელი დამიზნების „სტინგერის“ სიგრძე მეტრ-ნახევარია. იგი 5,5 კმ-ის სიშორიდან, 4 კმ სიმაღლეზე მფრენ თვითმფრინავისა თუ შვეულმფრენის ძრავების გამონაბოლქვს, 2000 კმ/სთ სიჩქარით ავი ძაღლივით მიჰყვება „კუდში“ და მათთან მიახლოებისას 3 კგ მასის საბრძოლო ქობინს აფეთქებს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვარ ვეტერანი მეზღვაური. ბათუმში ხშირად ვხედავ ხოლმე უცხო ქვეყნების სამხედრო გემებს. „კვირის პალიტრაში“ მუდმივად ვადევნებ თვალყურს სტატიებს „ბლექსიფორსის“ სწავლებების შესახებ. იქნებ დაწეროთ ამ გაერთიანების ისტორიისა და დღევანდელი დღის შესახებ**

*პატივისცემით, დ.მ, ჩაქვი*

# BLACK SEA FORCE რუსეთის გარეშე

1999 წელს თურქეთი შავიზღვისპირა ქვეყნებს შორის სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის გაღრმავების ინიციატივით გამოვიდა და იმავე წლის 24-26 თებერვალს სტამბოლში ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, რუსეთის, საქართველოსა და უკრაინის ექსპერტთა შეხვედრა შედგა.

შეთანხმების მიღწევას ორი წელი დასჭირდა და 2001 წლის 2 აპრილს სტამბოლში შავიზღვისპირა ქვეყნების საზღვაო ძალების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს.

სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ტაქტიკური ჯგუფის BLACK SEA FORCE-ის მიზანი არის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცება, რისთვისაც ექვსივე ქვეყნის ხომალდებისაგან შემდგარი საზღვაო რაზმი შავიზღვისპირა ქვეყნებს სტუმრობს. რაზმს მუდმივი შემადგენლობა არა აქვს და წელიწადში ერთ შეკრება-ლაშქრობას აწყობს, რომლის დროსაც შემდეგი ამოცანების დამუშავება მიმდინარეობს:

საძიებო-სამაშველო და განაღმვითი ოპერაციები;

ჰუმანიტარულ მისიებსა და გარემოს დაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა;

ერთობლივი სწავლებები და კეთილი ნების ვიზიტები;



არალეგალური ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა;

.ზღვაზე ტერორისტული აქტების თავიდან აცილება;

მონაწილეობს გაეროს ან ეუთოს მანდატის მქონე ოპერაციებში. ლაშქრობაში რაზმს მეთაურობენ ოპერატიული სარდალი და ოპერატიული შტაბი, რომელსაც თითოეული ქვეყნის უმაღლესი რანგის საზღვაო ოფიცრები რიგრიგობით ხელმძღვანელობენ. 2004-5 წლებში ოპერატიული სარდალი არის საქართველოს წარმომადგენელი, I რანგის კაპიტანი გენადი ჰაიდაროვი.

პირველი ლაშქრობა თურქეთში 2001 წლის 24 სექტემბერს დაიწყო და მასში საქართველოს წარმოადგენდა საარტილერიო კატარღა „ქუთაისი“. 2002-3 წლების ლაშქრობებში კი სარაკეტო კატარღა „თბილისი“ მონაწილეობდა.

მეოთხე ლაშქრობის აქტიური მოქმედების ფაზა 2004 წლის 11 აგვისტოს, ბათუმიდან დაიწყო. ხომალდების რაზმში შედიოდა: ბულგარეთიდან საშუალო სადესანტო ხომალდი „სირიუსი“, თურქეთიდან სარაკეტო ფრეგატი „ილდირიმი“, რუმინეთიდან კორვეტი „მათელარიუ“, რუსეთიდან დიდი სადესანტო ხომალდი „ცეზარ კუნიკოვი“, საქართველოდან სარაკეტო კატარღა „დიოსკურია“, უკრაინიდან საშუალო სადესანტო ხომალდი „კიროვოგრადი“. გაუგებარია, როგორ აპირებდა რაზმი განაღმვითი ოპერაციების ჩატარებას, თუ მის შემადგენლობაში არც ერთი მტრალავი ხომალდი არ შედიოდა, ან ტერორისტებთან ბრძოლას სათანადო ქვედანაყოფების გარეშე. ხომალდების ექვსივე შავიზღვისპირა ქვეყანაში შესვლის ტრადიცია 2004 წელს რატომღაც დაირღვა და ლაშქრობა უკრაინის პორტ სევასტოპოლში დასრულდა.

21-25 თებერვალს თბილისში შედგა დაგეგმვის კონფერენცია, რომელიც სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალთა შეხვედრას ამზადებს. კონფერენციას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია — მის მუშაობაში რუსეთის წარმომადგენელი არ მონაწილეობდა. მიზეზი კი ძალზე ბანალური იყო — რუსებმა საქართველოში შემოსასვლელი ვიზები დროზე ვერ მიიღეს. თუმცა ვიზები უფრო საბაბია და BLACK SEA FORCE-ის მიმართ ალბათ მოსკოვი დამოკიდებულებას იცვლის.

*თემურ ჩაჩანიძე*

**ჩემი გარდაცვლილი მეუღლე წლების მანძილზე ავიადისპეტჩერად მუშაობდა და უზომოდ იყო შეყვარებული პროფესიაზე. სამწუხაროდ, შვილიშვილი მას ვერ მოესწრო, მე კი მინდა, რომ ის ბაბუის კვალს გაჰყვეს. მას „არსენალი“ ძალიან მოსწონს და ამიტომ გადავწყვიტე, თქვენთვის მეთხოვა, იქნებ რაიმე ცნობები გამოაქვეყნოთ ავიადისპეტჩერებზე, შვილიშვილი რომ უფრო დავაინტერესო.**

*წინასწარ გიხდით მადლობას, მარინა მურღულია*

*კითხვაზე საპასუხოდ „არსენალმა“ პროფესიონალ დისპეტჩერს მიმართა.*

# საჰაერო მოძრაობის მეთვალყურე

საჰაერო მოძრაობის მეთვალყურე (დისპეტჩერი) ერთ-ერთი „ყველაზე უფრო საავიაციო“, უდავოდ რომანტიკული პროფესიაა. რა თქმა უნდა, პილოტის ან ნაოსნის სპეციალობა მეტად მიმზიდველია, მაგრამ ამა თუ იმ სპეციალობაზე რომ იმსჯელო, ყურმოკვრით არ უნდა იცოდე მასზე.

ოდესღაც მეც დავფრინავდი, ახლა კი, აგერ უკვე რამდენიმე წელია, საჰაერო მოძრაობას ვემსახურები. უნდა ითქვას, რომ ჩვენი სამუშაო ის სიმაღლეა, რომელსაც, სპეციალური ცოდნის, შინაგანი ორგანიზებულობისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარის გარეშე ვერავინ გადალახავს. საჰაერო ხომალდის ფრენის მეთვალყურეობისას, გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, როდესაც ეკიპაჟს რთული ვითარებიდან გამოსვლაში ეხმარები, განსაკუთრებით გრძნობ, რომ ადამიანებს სჭირდები და შენს ცოდნას,



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილებას, ოსტატობას უსაზღვროდ ენდობიან.

ავიაციაში დიდი სიჩქარის მქონე ლაინერების მოსვლამ, მოძრაობის სიმჭიდროვემ და დაძაბულობამ, მეტად გაართულა საჰაერო მოძრაობის მომსახურება. ამჟამად მეთვალყურის განკარგულებაშია სრულყოფილი ტექნიკა — რადიოპელენგატორებიდან და ლოკატორებიდან დაწყებული, მრავალმხრივი ელექტრონული სისტემებით დამთავრებული. ამგვარად, საჰაერო მოძრაობის მეთვალყურე ერთდროულად ინჟინერიც არის, ფსიქოლოგიც და ხელმძღვანელიც. იმიტომ, რომ მოძრაობის ეფექტურად სამართავად საჭიროა სერიოზული მომზადება — სამეთვალყურეო ალჭურვილობისა და რადიოკავშირის ფრაზეოლოგიის უზადო ფლობა — ეს ჩვენი სამუშაოს „ანბანია". გარდა ამისა, საჭიროა ამინდის პროგნოზირების, ყველა ტიპის საჰაერო ხომალდის საფრენოსნო-ტექნიკური მახასიათებლების და აუცილებლად — ინგლისური ენის ცოდნა. ერთი სიტყვით, თანამედროვეობა მეთვალყურისგან მოითხოვს, იყოს ფართო პროფილის სპეციალისტი.

შეიძლება, ზოგს ჰგონია, რომ ფრენების მომსახურება მეტად იოლია — ცა ხომ ავტოსტრადა არ არის, აგერ, რამხელა სივრცეა! მცდარი შეხედულებაა. საჰაერო ხომალდები მთელ სივრცეზე უწესრიგოდ არ არიან მიმოფანტული, ისინი დადგენილ დერეფნებში, განსაზღვრულ სიმაღლეებზე მოძრაობენ, განსაკუთრებული სიმჭიდროვეა დიდი ქალაქების აეროპორტების რაიონში და მის მისადგომებთან. სადაც უნდა იყოს საჰაერო ხომალდი, რა პირობებშიც უნდა მოხვდეს, — ძრავის ამუშავებიდან დაფრენამდე — საჰაერო მოძრაობის მეთვალყურე თვალმოუშორებლად მიაცილებს მას და მზად არის, დროის ნებისმიერ მონაკვეთში დახმარების ხელი გაუწოდოს.

საჰაერო მოძრაობის მეთვალყურე ფართო უფლებებით არის აღჭურვილი. შეიძლება ითქვას, რომ ზეცის ბატონ-პატრონია. მის უნებართვოდ ეკიპაჟი ვერ შეასრულებს ვერც ერთ მანევრს, ვერც ჰაერში და ვერც ხმელეთზე. მაგრამ ეს უფლებები მას ენიჭება ერთადერთი აუცილებელი პირობით: მას შეცდომის დაშვების უფლება არა აქვს, მისმა შეცდომამ შეიძლება ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს. საჰაერო ვითარება კი ყოველ წამს იცვლება. აი, ახლახან ინდიკატორის ეკრანზე მხოლოდ ორი-სამი თვითმფრინავი იყო, ერთი წუთის შემდეგ კი კიდევ რამდენიმე თვითმფრინავის ნიშნული გამოჩნდა. და შენ, „სურათზე" ერთი თვალის შევლებით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღო, ამასთან მეხსიერებაში შეინარჩუნო უამრავი სხვადასხვა მონაცემი: საჰაერო ხომალდების ადგილმდებარეობა, მათი ტიპები, ფრენის სიჩქარე და სიმაღლე, ამინდის პირობები, დაფრენის რიგითობა, სამანევრო სქემები... და მრავალი სხვა.

საჰაერო მოძრაობის მომსახურება განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს სპეციალისტის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. მან მყისიერად უნდა შეაფასოს ვითარება, იყოს შინაგანად მობილიზებული, დისციპლინებული, ჰქონდეს ანალიზის უნარი, კარგი მეხსიერება, მხედველობა, სმენა და ძლიერი ნერვული სისტემა, რამეთუ ყველას არა აქვს უფლება, თქვას: „ბორტი № 1, აფრენის უფლებას გაძლევ".

**ზაურ მესხია**

# დაუნდობელი ბრძოლა აფხაზეთის ცისთვის

**აფხზეთის ომი ბურუსით არის მოცული. ზუსტად ვერ გავარკვიე, სამი თუ ექვსი Су-25 ჩამოგვიგდეს, რუსულ პრესაში სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდება. ასევე გთხოვთ გაგვაცნოთ აფხაზების ავიაციის დანაკარგებიც.**

**პატივისცემით, კოტე.**

„არსენალი" აპირებს უახლოეს ნომრებში მკითხველს შესთავაზოს ვრცელი ანალიტიკური სტატია აფხაზეთის ომში დაპირისპირებული მხარეების მიერ ავიაციის გამოყენების შესახებ. მაგრამ ჩვენი მკითხველის თხოვნას გვერდს ვერ ავუვლით და ამჯერად შედარებით მშრალ ინფორმაციას მივაწვდით.

ქართული Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავები აფხაზეთის ომში 1992 წლის სექტემბრის ბოლოს ჩაერთნენ. პირველი საბრძოლო დანაკლისი ქართულმა მოიერიშეებმა 1992 წლის 11 ოქტომბერს განიცადეს, როდესაც ეშერის მიდამოებიდან გაშვებული საზენიტო რაკეტით ვიცე-პოლკოვნიკ სლავა ჯაბუას თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რომელიც ზღვაში ჩავარდა. პილოტის ბედი გაურკვეველია.

1993 წლის 6 თებერვალს სოფელ მერკულასთან მოწინაალმდეგემ ჩამოაგდო თამაზ ნადირაშვილის მოიერიშე თვითმფრინავი. პილოტი ტყვედ აიყვანეს.

1 მაისს გუმისთის თავზე ჩამოაგდეს კაპიტან რეზო ნაროუშვილის Су-25. პილოტი მოწინააღმდეგემ დაატყვევა (მოგვიანებით იგი, ისევე როგორც თამაზ ნადირაშვილი, დატყვევებულ აფხაზებსა და რუს მზვერავზე გაიცვალნენ).

4 ივლისს სოხუმის სიახლოვეს საზენიტო რაკეტით დაზიანდა ქართული Су-25. მფრინავმა, კაპიტანმა კახა თვაურმა მოახერხა ალმოდებული თვითმფრინავიდან კატაპულტირება და იგი სანაპიროზე კატარღით გამოიყვანეს.

13 ივლისს ეშერის თავზე მოწინაღმდეგემ ჩამოაგდო უფროსი ლეიტენანტის, ზურაბ იარაჯულის მოიერიშე. კატაპულტირებული ქართველი პილოტი მტრის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დაეშვა პარაშუტით და სამი დღე-ღამე ცდილობდა ფრონტის ხაზზე გადმოსვლას. გმირი მფრინავი მოწინააღმდეგის პატრულს ცოცხალი არ ჩაჰბარდა, სროლა აუტეხა, რამდენიმე ექსტრემისტი მოკლა და დაჭრა, თუმცა თავადაც დაიღუპა...

24 სექტემბერს ქალაქ სოხუმთან, სინოპის თავზე საზენიტო რაკეტის მოხვედრის შედეგად ჰაერშივე დაიშალა საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის, პოლკოვნიკ იზანი ცერცვაძის Су-25. კატაპულტმა იმოქმედა და პილოტი პარაშუტით დაეშვა მიწაზე, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, უკვე დაღუპული გახლდათ (ამ სტატიის ავტორი თავად შეესწრო ამ ფაქტს, ისევე როგორც სლავა ჯაბუას ჩამოგდებას და 10-15 წუთში კატასტროფის ადგილზე იყო, მაგრამ პოლკოვნიკ ცერცვაძის გადარჩენა შეუძლებელი გახლდათ, რადგან იგი, ეტყობა, ჰაერშივე დაიღუპა, მისი მუზარადი სერიოზულად იყო დაზიანებული).

მეშვიდე Су-25 სამოქალაქო ომის დროს სენაკთან ჩამოაგდეს „ზვიადისტებმა", პილოტმა მოასწრო კატაპულტირება, იგი ტყვედ აიყვანეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს.

აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დანაკარგები მოწინააღმდეგე მხარესაც ჰქონდა. ოღონდ მოწინააღმდეგეში მარტო აფხაზი სეპარატისტები და ჩრდილოკავკასიელი დაქირავებულები როდი უნდა ვიგულისხმოთ. ქართული მხარის წინააღმდეგ რუსეთის გუდაუთაში განთავსებული ყოფილი საბჭოთა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მე-19 არმიის 171-ე გვარდიელი გამანადგურებელი პოლკის Су-27-ები და გუდაუთაში რუსეთიდან გადასროლილი Су-25-ები გამოიყენებოდნენ.

მოწინააღმდეგე მხარის დანაკარგები შემდეგნაირად გამოიყურება:

1992 წლის 14 დეკემბერს აფხაზეთის სვანეთში, სოფელ ლათასთან სვანებმა „სტრელათი" ჩამოაგდეს რუსული Ми-8МТ საბორტო ნომრით „03" (სხვათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის, ამ შემთხვევამდე ორიოდე კვირით ადრე ამ სტატიის ავტორმა „03“ ბორტს გუდაუთის აეროდრომზე, ტყვეების გაცვლის დროს სურათი გადაუღო). კატასტროფის ადგილზე 70 ადამიანის, მათ შორის ქალებისა და ბავშვების გვამები აღმოაჩინეს, თუმცა შვეულმფრენში იმყოფებოდა ორი ცნობილი აფხაზი საველე მეთაური — ასლან ზანტარია და ვლადიმირ არცუპოვი. როგორც ამბობენ, არცუპოვი აფხაზების „სპეცნაზის“ მეთაური გახლდათ. აფხაზური და განსაკუთრებით რუსული მხარეები ქართველების დადანაშაულებას ცდილობდნენ ქალებისა და ბავშვების წინასწარგანზრახულ დაღუპვაში, მაგრამ, ვინაიდან რუსული Ми-8МТ-ს სამხედრო კამუფლაჟი და შეიარაღება ჰქონდა, იგი აღიქმებოდა, როგორც სამხედრო შვეულმფრენი, ანუ — მოწინააღმდეგე. სხვათაშორის, ეს კატასტროფა გინესის წიგნში შევიდა შვეულმფრენში ერთდროულად დაღუპული (70 კაცამდე) ადამიანების რიცხოვნობით. ეს „რეკორდი“ ჩეჩნეთის ომში მოიხსნა, როდესაც ერთ-ერთმა ჩეჩენმა გროზნოს სიახლოვეს უზარმაზარი რუსული სამხედრო-სატრანსპორტო Ми-26 ტიპის შვეულმფრენი ჩამოაგდო „იგლათი“ — შველმფრენში 140-მდე რუსი სამხედრო დაიღუპა.

1993 წლის დასაწყისში რუსულმა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსმა БУК-მა ზემო ეშერის თავზე შეცდომით ჩამოაგდო აფხაზებისთვის ჩეჩნეთის პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევის მიერ ნაჩუქარი ჩეხური წარმოების სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი L-39 „ალბატროსი“, რომელშიც აფხაზების ერთადერთი სამხედრო პილოტი ოლეგ ჩანბა დაიღუპა. ამ ინციდენტს საინტერესო გაგრძელება მოჰყვა — აფხაზი რადიო-ოპერატორი, რომელმაც რუს მეზენიტეებს აუწყა, რომ ეშერაზე მათი კი არა, ქართველების თვითმფრინავი მიფრინავდა, გვარად არძინბა იყო. დაღუპული ჩანბას ახლობლები მას მიუვარდნენ და დაჭრეს. რადიოეთერში გადაიცა, რომ დაჭრილი არძინბასთვის დახმარების აღმოჩენა იყო საჭირო. ეს რადიოსაუბარი „დაიჭირეს“ ქართველმა სპეცსამსახურებმა, რის შემდეგაც თბილისში გავრცელდა ხმები, რომ არძიბნა დაჭრილია და მალე მოკვდებაო...

1993 წლის 18 იანვარს გულრიფშის რაიონში რაკეტით დაზიანდა რუსული Ми-8 ტიპის შვეულმფრენი, რომელიც ადლერის ავიარაზმს ეკუთვნოდა და ტებერდიდან (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) ტყვარჩელში იარაღისა და მნიშვნელოვანი პერსონების ტრანსპორტირებას ახდენდა. ეკიპაჟმა სასწაულებრივად მოახერხა რაკეტამორტყმული შვეულმფრენის დასმა



სწორედ ეს Ми-8 ტიპის შვეულმფრენი, საბორტე ნომრით 03 ჩამოაგდეს ქართველმა მეზენიტეებმა. ფოტო გადაღებულია სტატიის ავტორის მიერ კატასტროფამდე რამდენიმე დღით ადრე გუდაუთის აეროდრომზე

სვანურ სოფელ საკენთან. ქართულმა მხარემ ტყვედ აიყვანა აფხაზი სეპარატისტების მთავრობის მინისტრი ლაბახუა.

19 მარტს მოხდა დღემდე ბოლომდე გამოუცნობი შემთხვევა — სოხუმის სიახლოვეს, სოფელ შრომასთან ტყეში ჩამოვარდა რუსული, იმ დროისთვის თანამედროვე Су-27СК ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი, რომელსაც მაიორი შიპკო მართავდა. ეს გამანადგურებელი გუდაუთიდან აფრინდა, რათა ჰაერში გაენადგურებინა კოპიტნარიდან (ქუთაისი) გამოფრენილი ქართული Су-25-ები. მაიორმა შიპკომ ქართველი მოიერიშეები ვერ აღმოაჩინა და უკან, გუდაუთისკენ მოხვევისას მხოლოდ ბოლო სიტყვების გადაცემა მოასწრო რადიოეთერში — სიმაღლე 800 მ, ღრუბლების ქვეშ ვარ, სამიზნეები ვერ აღმოვაჩინე, ვუხვევ სიმაღლის აღებით...

შიპკოს Су-27 ტყეში შეიჭრა, ოღონდ არ აფეთქებულა, თუმცა პილოტმა ვერ მოასწრო კატაპულტირება და მისი სხეული დარტყმის ძალამ კაბინიდან გადმოაგდო.

ტელეკადრებში კარგად ჩანს, თუ როგორ უკაკუნებს ჯოხით ედუარდ შევარდნაძე რუსული თვითმფრინავის ნარჩენებს. რუსულმა კომისიამ დაიჯერა, რომ მათი სუპერგამანადგურებელი ქართულმა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ ჩამოაგდო, რადგან გამანადგურებლის ერთ-ერთ ძრავას საქშენში აფეთქებული საზენიტო რაკეტის ნარჩენები იპოვა...

სინამდვილეში, ეს Су-27 არავის არ ჩამოუგდია, იგი თავად შეეჯახა ტყიან ფერდობს, უბრალოდ, ქართულმა სპეცსამსახურებმა უკვე ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ძრავაში ააფეთქეს რაკეტა და ასე მოატყუეს რუსი გენერლები...

1 აპრილს სოხუმის თავზე ქართველმა მეზენიტეებმა დააზიანეს მოწინააღმდეგის თვითმფრინავი Су-25 ან L-39, რომელიც კვამლის შლეიფით ეშერისკენ გაუჩინარდა.

24 მაისს სოფელ საკენთან ჩამოაგდეს რუსების უზარმაზარი სატრანსპორტო Ми-6 ტიპის შვეულმფრენი, რომელიც ტყვარჩელში მიფრინავდა, თუმცა ფრენის მარშრუტი არ ჰქონდა შეთანხმებული ქართულ მხარესთან.

4 ივლისს აფხაზებმა Ми-8 ტიპის შვეულმფრენიდან დესანტი გადასხეს ერთ-ერთ მთაზე, მაგრამ იქ უკვე იყვნენ გამაგრებული ქართველი მებრძოლები, რომლებმაც ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნით ააფეთქეს შვეულმფრენი და შიგ მსხდომი რუსები და აფხაზები.

17 სექტემბერს რუსულმა მხარემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ აფხაზეთის ცაში დაეკარგათ Су-25 ტიპის მოიერიშე, თუმცა დაწვრილებითი ცნობები ამ შემთხვევაზე არ მოიპოვება.

აფხაზეთის ომში მოწინააღმდეგე მხარეების ავიაციის დანაკარგების ზუსტი სია უფრო დიდია, რადგან ჩვენ ზემოთ არ გვიხსენებია ქართული შვეულმფრენებისა და სამოქალაქო ავიაციის დანაკარგები (ეს ცალკე სტატიის თემაა), თუმცა ისედაც ცხადი უნდა იყოს მკითხველისთვის, რომ 1992-93 წლებში აფხაზეთის ცაში დაუნდობელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა.

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვიშის კარიერის მზვერავები

**თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, რომელიც ავტომანქანების ბაზრობებით, იაფი დუქნებითა და ამიტომაც, ყოველდღიური აურზაურითაა გამორჩეული, უკვე მესამე წელია საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, ორმაგი მავთულხლართებისა და მაღალი, კაპიტალური კედლის მიღმა, „სტახანოვური“ ტემპებით აშშ-ის საელჩოს ახალი კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს.**

საელჩო, გარდა იმისა, რომ ქვეყნისა და ერის სახეა უცხოეთში, თან სამშობლოს ღია თუ ფარული პოლიტიკის გამტარებელია. ასე რომ, საელჩოში თავს იყრის ის ყველაზე საიდუმლო ინფორმაცია, რომლის ხელში ჩასაგდებადაც სპეცსამსახურები ძალღონეს არ იშურებენ.

თანაც, საელჩო ნებისმიერი ნორმალური ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სადაზვერვო დანაყოფი და იმავდროულად უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების შეღწევის სანუკვარი ოცნებაა. აგენტებს სულ ის „ესიზმრებათ“, თუ როგორ აყენებენ „ჟუჩოკებს“ ელჩის ან დაზვერვის რეზიდენტის კაბინეტებში, ან როგორ „ავერბოვკებენ“ ყველაზე მსუყე „ლუკმას“ – მშიფრავს, რის შემდეგაც წყნარად ეცნობიან საელჩოს ყველა საიდუმლო ინფორმაციას. თავის მხრივ, საელჩოს უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლებსაც არ სძინავთ და ყველანაირად ცდილობენ თავიდან აიცილონ საელჩოდან საიდუმლო ინფორმაციის გადინება.

ამასთან დაკავშირებით, სამი-ოთხი წლის წინანდელი ამბავი მახსენდება, როცა საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის ღია სხდომაზე, სადაც სპეცსამსახურებისა და „ძალოვნების“ დაფინანსების საკითხი განიხილებოდა, როგორ ეხვეწებოდა დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მაშინდელი შეფი ფინანსთა მინისტრს ცოტაოდენი დაფინასების გამოყოფას, საზღვარგარეთ მდებარე საქართველოს საელჩოებში თითო კინკილა მზვერავის (იმავე უშიშროების საკითხებში ოფიცრების) შტატის შესანახად. ამ სიტუაციას ტრაგიკომიკურობას ისიც მატებდა, რომ თვით დაზვერვის დეპარტამენტს სულ რაღაც მილიონ-ნახევარი ლარის (იმდენი, რამდენიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტს) ბიუჯეტი ჰქონდა დამტკიცებული. ფინანსთა მინისტრი კი, ან იმის გამო, რომ სახელმწიფოს ფულს უფრთხილდებოდა ან იმიტომ, რომ ქართველი „მზვერავების“ აგენტურული სიჩაუქის იმედი არ ჰქონდა, ჩვეული სიჯიუტითა და შემართებით სასტიკ უარზე იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი შეთანხმებული იყო მაშინდელ პრეზიდენტთან, ფინანსთა მინისტრმა თავისი გაიტანა. ქართველი ჯეიმს ბონდები და შტირლიცები იძულებულნი იყვნენ ევროპაში ბოჰემური ცხოვრების მაგივრად, ისევ „ხეივანში“ მდებარე თავის უსახურ შტაბბინაში დარჩენილიყვნენ.

დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ ყოფილი ფინანსთა მინისტრი მართალი იყო. ის თანხაც ალბათ იმ „შავ ხვრელში“ გაუჩინარდებოდა, სადაც, ვითომდა ქვეყნის უსაფრთხოების მიზნებისათვის გამოყოფილი, მრავალი ათასი დოლარი, ლარი და „ჯუჯალარი“ დაიკარგა. ექსპრეზიდენტის რეზოლუციებით საიდუმლო და სრულიად საიდუმლო სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი ოპერაციების ჩატარება ხშირად იმ ჩინოვნიკებს ევალებოდათ, რომლებიც თავადვე იყვნენ იმ ქვეყნის სამსახურში, რომელიც მათ მატერიალურ მდგომარეობას და კარიერულ წინსვლას ხელს უწყობდა და საკუტარ „კუდს“ ხომ არ მოიჭრიდნენ?

საერთოდ კი, ყოფილი პრეზიდენტის დამოკიდებულება სპეცსამსახურებთან, ძალზე საინტერესო და დამაფიქრებელი საკითხია და მას შემდეგ სტატიებში დაწვრილებით გავაანალიზებთ (მით უფრო, რომ ალბათ სულ მალე მის „ცინცხალ“ მემუარებსაც გავეცნობით). ახლა კი კვლავ ჩვენს დღევანდელ თემას დავუბრუნდეთ.

ათწლეულების მანძილზე მოსკოვში აშშ-ის საელჩო ჩაიკოვსკის ქუჩაზე იყო განთავსებული. პერსონალი დღითი დღე იზრდებოდა, განსაკუთრებით ნიკიტა ხრუშჩოვის პერიოდში. ამიტომ საელჩოს ტერიტორიის გაფართოება და ახალი კორპუსის აშენება, ამერიკელების დიდი ხნის საზრუნავი იყო. მაგრამ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი, მსოფლიოში „მისტერ არა“-დ ცნობილი ანდრეი გრომიკო, სასტიკ უარზე იდგა. ის სანაცვლოდ ვაშინგტონში საბჭოთა კავშირის საელჩოსთვის დამატებითი ფართობის გამოყოფას მოითხოვდა. ამერიკელების „გაფართოების“ ფარული მოწინააღმდეგე იყო აგრეთვე „კგბ“-ს შეფი იური ანდროპოვიც. ამ ფრთხილ და უეშმაკეს პოლიტიკოსს მოსკოვში ამერიკელი მზვერავების (რაც ყველა საელჩოს აუცილებელი ატრიბუტია) მომრავლების ეშინოდა. ურთიერთშეთანხმებას მხოლოდ 1970-იანი წლების დასაწყისში, ნიქსონ-ბრეჟნევის მოლაპარაკების დროს მიაღწიეს. ვაშინგტონში ახალი საბჭოთა საელჩოს მშენებლობისათვის მიწის ფართობის გამოყოფის სანაცვლოდ, ამერიკელებს უფლება მისცეს მოსკოვში საელჩოს ტერიტორია გაეფართოებინათ და ახალი, თანამედროვე კორპუსი აეგოთ. „იანკები“ ჩვეული სიბეჯითით შეუდგნენ საქმიანობას, ჩაატარეს ტენდერები შიდა სამშენებლო და მოსაპირკეთებელი სამუშაოების საწარმოებლად საუკეთესო ფირმის გამოსავლენად. შეადგინეს ხარჯთაღრიცხვა და საკმაოდ მცირე თანხით – 190 მლნ. დოლარით დაკმაყოფილდნენ. დაფინანსების სიმცირე იმ მიზეზით იყო გამოწვეული, რომ „უოტერგეიტის სკანდალის“ შემდეგ აშშ-ის კონგრესი საკმაოდ ამრეზით უყურებდა თავისი ქვეყნის სპეცსამსახურებს, ძველ ცოდვებს უქექავდა და დაფინანსებას სისტემატურად უმცირებდა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით სამშენებლო ხარჯების შესამცირებლად საელჩოს ახალი კორპუსისთვის საჭირო სამშენებლო კონსტრუქციები და მასალები (ცემენტი, ქვიშა და ა.შ.) ადგილობრივ საბჭოთა სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა მიეწოდებინათ, ხოლო უფრო მნიშვნელოვანი და ხარისხიანი მასალა და კონსტრუქციები კი ევროპიდან, მათ შორის ფინეთიდან უნდა შემოეტანათ. თანხების დაზოგვის მიზნით მშენებლობას, ძირითადად, საბჭოთა სპეციალისტები და მუშები აწარმოებდნენ. ბუნებრივია, რომ მათ შორის მრავლად იყვნენ „კგბ“-ს თანამშრომლებიც. სამშენებლო მასალების შემოწმებას აშშ-ის შესაბამისი სპეცსამსახურები შერჩევით ახორციელებდნენ: უფრო მკაცრი კონტროლი საბჭოთა მასალებს უტარდებოდა, ხოლო შედარებით ნაკლები – ფინეთიდან შემოტანილ სამშენებლო კონსტრუქციებს. მშენებლობა 1979 წელს დაიწყო. ექვსი წელი გავიდა, დაახლოებით 80 მლნ დოლარამდე დაიხარჯა, როდესაც 1985 წლის აგვისტოში ამერიკელებმა მოულოდნელად და ცოტა არ იყოს კაზური პირდაპირობით განაცხადეს: „მორჩა, ჯო, ვწყვეტთ მუშაობასა. აზრი არა აქვს საელჩოს შენობის დამთავრებას, იმიტომა რომა კედლებში იმდენი „ბაღლინჯოა“ შეჩურთული, რომ ცალ-ცალკე მათ გამოთრევას აზრი არა აქვს და შენობა მთლიანადაა დასანგრევიო“... და ყოველგვარი სამუშაოები შეწყვიტეს. აშშ-ის ხელისუფლების ოფიციალური პირების განცხადებით, საბჭოთა სპეცსამსახურებმა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საელჩოს ახალი შენობა ერთ ვებერთელა მიკროფონად აქციეს, საიდანაც ოდნავი ჩურჩულიც კი საელჩოს პირდაპირ აღმართულ ეკლესიაში დამონტაჟებულ მიმღებ აპარატურაზე იწერებოდა და შემდეგ პირდაპირ „კგბ"-ს შეფის ანდროპოვის სამუშაო მაგიდაზე იდებოდა.

ამ, მსოფლიო დონის სკანდალის შემდეგ, აშშ-ის კონგრესმა 1985 წელსვე მიიღო სპეციალური კანონი, რომლის ძალითაც ვაშინგტონში უკვე აშენებულ საბჭოთა საელჩოში საბჭოთა დიპლომატების შესახლება იკრძალებოდა. კანონის მიხედვით ორივე ქვეყნის დიპლომატების შესვლა ახლად აშენებულ საელჩოებში მხოლოდ პარალელურად და ერთდროულად უნდა მომხდარიყო.

ამერიკის სპეცსამსახურები ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ სად დაუშვეს შეცდომა და როგორ შეძლო „კგბ"-მ მათ ცხვირწინ მშენებარე საელჩოს კედლებში მოსასმენი აპარატურის ჩამონტაჟება. თვით აღმოჩენილი აპარატურაც იმ დროისთვის უნიკალური იყო – სამშენებლო ბეტონის ფილებში ჩამონტაჟებულ „ჟუჩოკებს" ავტონომიური კვების წყარო ჰქონდათ, რომელსაც რამდენიმე წელი განახლება არ სჭირდებოდა. თან მცირე ჩურჩულსაც მკაფიოდ აფიქსირებდნენ და საელჩოს გარეთ გადასცემდნენ. ამერიკელებს დიდი არჩევანი არ ჰქონდათ: ან უნდა დაენგრიათ თითქმის დამთავრებული შენობა და ახალი აეგოთ (ერთსაც და მეორესაც ბევრი ფული სჭირდებოდა), ან ასე, „მოჩვენებასავით" დაეტოვებინათ რვასართულიანი შენობა მოსკოვის ცენტრში. ამ ბჭობაში გორბაჩოვის „პერესტროიკამაც" ჩაიარა თავის „გლასტნოსტთან" ერთად, „გკჩპ"-მაც „გაიბრწყინა" და საბჭოთა კავშირიც დაინგრა. ამერიკელები კი კვლავ რაჭული სიდინჯით ირჯებოდნენ, სანამ 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა „კგბ"-ს უკანასკნელმა ხელმძღვანელმა ვადიმ ბაკატინმა, გორბაჩოვთან და ელცინთან შეთანხმების შემდეგ, ამერიკელებს საელჩოში დამონტაჟებული მოსასმენი აპარატურის 70-გვერდიანი ტექნიკური დოკუმენტაცია არ გადასცა. მხოლოდ ამის შემდეგ გაარკვიეს ამერიკელებმა, რომ მოსასმენი აპარატურის დაყენება საბჭოთა პოლიტბიუროს მიერ იყო სანქცირებული, ხოლო სამშენებლო კონსტრუქციებში „ჟუჩოკები" ჯერ კიდევ ფინეთში, უშუალოდ ქარხანაში ჩაემონტაჟებინათ, მოსკოვში კი მხოლოდ გარკვეული სქემით (დომინოს პრინციპით) აწყობაღა იყო საჭირო, რათა ერთიანი „წრედი" შეკრულიყო. „კგბ"-ს ამგვარი ეშმაკობა – სხვა ქვეყნის გამოყენება საკუთარი სადაზვერვო მიზნებისთვის, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ამერიკელებისათვის, რადგანაც მათთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ფინეთი, უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობით დაწყებული და ხელოვნების სფეროთი დამთავრებული, ჯერ კიდევ სტალინის დროიდან „წითლად იყო აბიბინებული" საბჭოთა დაზვერვის „ყაყაჩოებით" – აგენტურითა და სანდო პირებით. ჯერ კიდევ არსებული, უფრო სწორედ ოდნავ მფეთქავი, საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ამ მეგობრულ ჟესტს ამერიკელები არ მოელოდნენ და ამიტომაც ეჭვის ჭია არ ასვენებდათ. მათ მიაჩნდათ, რომ მარადი მოწინააღმდეგე კვლავ ჩვეულად ბლეფობდა და ბოლომდე მაინც არ ენდობოდნენ, ამიტომაც შენობის დაკავებას არ ჩქარობდნენ. თუმცა მათ მაინც გამოიჩინეს კეთილი ნება და 1992 წლის 4 ივლისს უფლება მისცეს რუს დიპლომატებს დაეკავებინათ მრავალი წლის წინ აგებული საბჭოთა საელჩოს შენობა ვაშინგტონში.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მხოლოდ 1994 წლის 28 ივლისს მიიღო საკუთარი საელჩოს „ტანჯული" შენობის რეკონსტრუქციის გადაწყვეტილება, რისთვისაც ბიუჯეტიდან დამატებით 240 მლნ დოლარი გამოიყო. სამშენებლო მასალები აშშ-დან შემოიტანს, ასევე ამერიკის მოქალაქე იყო ის 300 მუშაც, რომლებმაც მხოლოდ სათანადო შემოწმების შემდეგ მიიღეს მუშაობის უფლება.

რეკონსტრუქციის პროცესში მთლიანად შეცვალეს შენობის გარე მოპირკეთება, ხოლო ბოლო ორი სართული დაანგრიეს და ზემოდან ახალი ოთხი დააშენეს. დიდი მკითხაობა არ უნდა იმის გარკვევას, რომ სწორედ ეს ბოლო სართულებია განკუთვნილი ელჩისა და დაზვერვის რეზიდენტის კაბინეტებისთვის. ხოლო ქვემოთა ექვსი სართული, სადაც ამერიკელების აზრით, მოსასმენი აპარატურა კვლავ ჩართულია, გადაეცა საელჩოს შედარებით არასაიდუმლო – დამხმარე და ტექნიკურ სამსახურებს, სადაც ძირითადად, რუსეთის მოქალაქეები მუშაობენ.

1999 წლის 12 მაისს საელჩო ოფიციალურად გაიხსნა და მასზე აშშ-ის დროშა აღიმართა. აი, ასეთი „ჰეპიენდით" დამთავრდა მოსკოვში ამერიკის საელჩოს ოცწლიანი ეპოპეა, რაც ამერიკელებს გათვალისწინებულზე ბევრ ფულად, „დაწყვეტილ" ნერვებად და მათი სპეცსამსახურების შელახულ რეპუტაციად დაუჯდათ.

ნათქვამია, „ბუნებაში არაფერი იკარგება", ჩვენ შეიძლება დავამატოთ – მით უფრო სპეცსამსახურებში, განსაკუთრებით კი შეცდომებისაგან მიღებული მწარე გამოცდილება. ამ ისტორიას მოულოდნელი გაგრძელება თბილისში რომ არ ჰქონდეს, ამერიკელები ალბათ თავს იზღვევენ და ახალი საელჩოს მშენებლობისას ცდილობენ ყველა წვრილმანი გაითვალისწინონ. ამაში დასაძრახი და საქილიკო ნამდვილად არაფერია. მით უმეტეს დღეს, გლობალური ტერორიზმისა და შპიონაჟის ხანაში, ამიტომ მით უფრო გასაკვირია აშშ-ის საელჩოს მხრიდან ჩვენ მიერ დასმული კითხვების სრული იგნორირება.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და მის ადგილზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის შემდეგ „ცივი ომის" დროინდელი დაპირისპირება ორ ზესახელმწიფოს შორის, ამ ორი ქვეყნის (აშშ-ის და რუსეთის) სპეცსამსახურების ფარულ და დაუნდობელ ბრძოლაში გადაიზარდა. ასპარეზად კი, არცთუ იშვიათად, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიებიც გამოიყენება. ეს დაპირისპირება ხშირად ტრაგიკული შედეგითაც მთავრდება, თუმცა ორივე მხარე ცდილობს „მუნდირის ღირსება" არ შებღალოს, საიდუმლო არ გაამჟღავნოს და მოჩვენებითი გულგრილობით ხვდება გამარჯვებასაც და დამარცხებასაც. დაზვერვის „გიგანტების" სასიკვდილო ჭიდილში, რომლის ათვლის წერტილადაც, ჩვენი აზრით, აშშ-ის ცსს-ის თანამშრომლის ფრედ ვუდროფის დღემდე სათანადოდ გამოუძიებელი მკვლელობა უნდა ჩაითვალოს, ჯერჯერობით ანგარიშია 2:1 რუსეთის სასარგებლოდ.

ამ ფარულ ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ორივე ქვეყნის საელჩოებს, რადგანაც სწორედ იქიდან იმართება მათი ლეგალური დაზვერვა. ამიტომ საელჩოსთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობებს და მათ ადგილმდებარეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოწინააღმდეგის მხრიდან ცოცხალი ძალითა და ტექნიკური საშუალებებით თვალთვალის, მიყურადებისა და სათანადო ოპერატიული ღონისძიებების გატარების დროს. საქართველოში საელჩოს გახსნა ამერიკელებს გერმანელებმა დაასწრეს. თუმცა იმ პერიოდში დიდი არჩევანი არ იყო და ორივე ქვეყანას, უსაფრთხოების თვალსაზრისით, საკმაოდ შეუფერებელ უბნებსა და ძველ შენობებში მოუხდათ საელჩოების გახსნა. განსაკუთრებით ამერიკელებს არ გაუმართლა, რადგანაც მათ ყველაზე დიდი დიპლომატიური კორპუსი ჰყავთ საქართველოში და არსებულ შენობაში ფიზიკურად უჭირთ განთავსება, რომ არაფერი ვთქვათ შეუმჩნეველ დაზვერვით საქმიანობაზე. დღეისათვის აშშ-ის რომელიმე „მეგობარი" ქვეყნის (რუსეთი, ჩინეთი, ირანი) აგენტურას საკმაოდ იოლად შეუძლია ამერიკელი მზვერავების იდენტიფიცირება. ამიტომაც ეს უკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა





საქართველოში ამერიკის ახალი საელჩოს მშენებლობა

ნასკნელნი იძულებულნი გახდნენ თბილისის სხვადასხვა უბნებში (მაგ. სასტუმრო „მეტეხში") გადაეტანათ, საელჩოს რამდენიმე სამსახური. თანაც (რა საინტერესო დამთხვევაა!) ზუსტად ისინი, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ „კრიშად" სპეცსამსახურების ფარული თანამშრომლები.

ანალოგიური პრობლემები ჰქონდა რუსეთის საელჩოსაც, მაგრამ მათ „თავს უშველეს" და ვაკის პარკის წინ, საკმაოდ დაცულ ტერიტორიაზე დაიდეს ბინა.

ამერიკელებმა კი, თბილისში საელჩოს ახალი კომპლექსის აშენება გადაწყვიტეს და რადგანაც შიშს დიდი თვალები აქვს, მოსკოვში დაშვებული შეცდომის თავიდან აცილებას მეტად გულმოდგინედ და საკმაოდ ორიგინალურად ცდილობენ.

ბუნკერები, რომლებიც სურათზე მოჩანს, ატომური რეაქტორის შენობა არ გეგონოთ, ეს... ჩვეულებრივი ქვიშის დასახარისხებელი ბუნკერებია, რომელსაც იქვე ცემენტსაც (იმედია, რაიმე ფალსიფიცირებული ცემენტი არ იქნება) უმატებენ და მშვენიერ სამშენებლო ბეტონის ხსნარს ამზადებენ, რომელსაც შემდეგ საელჩოს მშენებლობაზე აწვდიან. საელჩოს ტერიტორიაზე ატომური რეაქტორივით წამოჭიმულ ბუნკერებს ასევე „ატომურ რეჟიმში" იცავენ მაღალი კედლითა და მავთულხლართებით.

რატომ აირჩიეს ახალი საელჩოს მშენებლობისათვის მაინცდამაინც ის ტერიტორია ქალაქგარეთ, რომელიც ქვეყნის ადმინისტრაციული მართვის ძირითადი ორგანოებიდან თითქმის 15 კმ-ითაა დაშორებული?

საელჩოს თანამშრომლების ყოველდღიური გადაადგილებები საკმაოდ დიდ მანძილზე უფრო ხომ არ გაზრდის საფრთხეს?

რამდენად იქნება დაცული ახალი საელჩო მოსმენებისაგან, თუ გავითვალისწინებთ უახლესი ოპერატიული ტექნიკის შესაძლებლობებს და საელჩოს ცუდ სტრატეგიულ მდებარეობას (ირგვლივ ღია ტერიტორიაა, რომელზეც არ არის გამორიცხული სულ მალე ახალი ნაგებობები აშენდეს, საიდანაც შესაძლებელი იქნება ანტიამერიკული ოპერაციების ჩატარება)?

რა არგუმენტებით აირჩიეს ამერიკელებმა საელჩოს ტერიტორიაზე ბეტონის ქარხნის მოწყობა — ფულის ეკონომიის თუ უსაფრთხოების?

ამ და სხვა, ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო კითხვებზე, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლას, საელჩოს უსაფრთხოებასა და საქართველოს სპეცსამსახურების რეორგანიზაციას ეხებოდა, პასუხის გაცემა თბილისში აშშ-ის საელჩოს ვთხოვეთ, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომ შემოგთავაზეთ ამ საკითხის ჩვენეული ხედვა.

**P.S.** დაიცავს კი ამერიკელებს საელჩოს ტერიტორიაზე ქვიშის კარიერის მოწყობა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მოსმენებისაგან?

ამ კითხვაზე პასუხს, ალბათ, მომავალში შევიტყობთ. თბილისელები კი, ამერიკის საელჩოს იმ ტერიტორიაზე აშენებას დიდი იმედით და მოლოდინით შესცქერიან, რადგანაც ესაა ერთადერთი და ბოლო შანსი, რომ ქალაქის მერიამ გამოიღვიძოს და „კატაკომბებსა" და „ტანკების საცდელ პოლიგონს" დამსგავსებულ გზაზე ასფალტის დაგება ინებოს.

*ბესიკ ალადაშვილი*

**ფოტოებზე ნაჩვენებია აშშ-ის საელჩო მოსკოვში. მარცხენა ფოტოზე ახალაშენებული, მოსასმენი აპარატურით გაძეძგილი კორპუსია. მარჯვენაზე კი — უკვე ნაწილობრივ გამოსუფთავებული, ეკრანდამაგრებული და 4 სართულით გამაღლებული შენობა.**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# რჩევები მოყვარული მეთევზეებისთვის



მართალია, ნადირობის სეზონი დაიხურა, მაგრამ თევზაობისთვის ახლა საუკეთესო პერიოდია. თევზაობის ხელოვნების დაუფლებას უპირველეს ყოვლისა პრაქტიკა სჭირდება. ქვემოთ შემოგთავაზებთ მეთოდს, რომლის საშუალებითაც შეძლებთ თევზის მოზიდვას თქვენთვის სასურველ ადგილასა და დროს. თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებთ, ყოველთვის ნაყოფიერი თევზაობა გექნებათ.

## მოსაჩვევი სატყუარა

ეს არის საკვები, რომელსაც თევზაობამდე რამდენიმე დღის განმავლობაში, რეგულარულად უყრიან თევზს, რათა არა მხოლოდ განსაზღვრულ ადგილას, არამედ განსაზღვრულ დროს მოსვლას მიეჩვიოს, რაც წარმატებული თევზაობის საწინდარია. სატყუარა საჭმელი არა მარტო იზიდავს თევზს, არამედ მადას აღუძრავს და ამცირებს მის უნდობლობას. რადგანაც თევზების გუნდი საკვების ძებნისას გადაადგილდება, სასურველია, 2-3 მოსატყუებელი ადგილი მოაწყოთ და მონაცვლეობით ითევზაოთ. უცნობ ტერიტორიებზე კი უმჯობესია მოსატყუებელი საკვების რამდენიმე სახეობა გამოიყენოთ და შეარჩიოთ იქ მობინადრე თევზისთვის ყველაზე საყვარელი სატყუარა. თევზის მოტყუების ხანგრძლივობა წყალსაცავის სიდიდის მიხედვით განისაზღვრება. სატყუარას დაყრის მომენტი დაგეგმილი თევზჭერის დროს უნდა ემთხვეოდეს. თევზს უფრო ხშირად იტყუებენ ადრე დილით ან გვიან საღამოს იმავე საკვებით, რომელსაც ჭერის დროს გამოიყენებენ, თუმცა ეს აუცილებელი არ არის. მოსატყუებლის ეფექტურობა დამოკიდებულია მის არომატულობაზე, გემოზე, მრავალფეროვნებაზე. თევზი სატყუარას სუნმა უნდა მიიზიდოს. მეთევზეთა უმრავლესობა ერთსულოვანია იმაში, რომ საკვებში არომატული დამატებები უფრო ეფექტურია ღამით ან ამღვრეულ წყალში თევზაობისას, როცა თევზი საკვებს ძირითადად სუნის მიხედვით ეძებს. საკვები არეული უნდა იყოს ისეთ ნივთიერებასთან, რომელიც წყალში ნელა იხსნება. ამისთვის ხშირად იყენებენ თიხას, რომლის მეშვეობითაც აკეთებენ ბურთულებს. თიხა ნელ-ნელა იხსნება წყალში და ათავისუფლებს საკვების ნამცეცებს, რომლებმაც თევზი კი არ უნდა გამოაძღოს, არამედ მიაჩვიოს, ეძებოს საკვები თქვენ მიერ შერჩეულ ადგილებში.



მცენარეულ საკვებს თიხაში ურევენ შემდეგი პროპორციით: 1:1, ცხოველურს – 2:1. ნარევის სისქე დამოკიდებულია წყლის დინების სიჩქარეზე. სუსტი დინების მდინარეში შეგიძლიათ გამოიყენოთ შედარებით ნაკლები სისქის სატყუარა ან დაუმატოთ ქვიშა. სწრაფი დინების ადგილებში ამზადებენ სქელ თიხის ბურთულებს. წყნარ ტბებში სატყუარას თიხიან ქვიშასა და კვერცხის ნაჭუჭში ურევენ. სატყუარას დასამზადებლად საუკეთესოა კოპტონი (მზესუმზირის გამოწურვით დარჩენილი მასა), ფქვილთან არეული ჭვავის ქატო, პურის გული, პურის შემწვარი ქერქები, ხაჭო, დაჭრილი ჭიაყელები, კოლოს მატლი, სხვადასხვა თესლეული. სუტს დინებაში ბურთულებს უბრალოდ ფსკერზე ყრიან, ხოლო სწრაფ დინებაში პატარა, სიმძიმიანი ტომრით ან ვედროთი უშვებენ. თუ ტბა ღრმაა, მაშინ ვაშლისოდენა ბურთებს ამაგრებენ ანკესზე, უშვებენ სიღრმეში, შემდეგ კი ნემსკავს ამოქნევით ათავისუფლებენ. თევზებს უვითარდებათ პირობითი რეფლექსი, მალე ეჩვევიან მისატყუებელ ადგილს და გროვდებიან შერჩეულ დროს.

მოსატყუებლის ეფექტურობა დამოკიდებულია მის არომატულობაზე, მაგრამ იგი ზომიერად უნდა ვიხმაროთ, გადამეტებამ შეიძლება პირიქით – დააფრთხოს თევზი. მოსატყუებლის რაოდენობა დამოკიდებულია თევზის ზომაზე, წყალსაცავის სიდიდეზე, ჭერის სახეობაზე. მხედველობაში უნდა იქონიოთ ერთი რამ: უმჯობესია სატყუარა იყოს ცოტა, ვიდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედმეტი, რადგან დიდი პროპორციების შემთხვევაში ფუჭდება და თევზს აღარ იზიდავს.

გთავაზოთ სატყუარას რამდენიმე რეცეპტს:

1) მშრალ კონცენტრატს ასე ამზადებენ: 1 კგ ქატოს ვასხამთ 1 ლიტრ თბილ წყალს. 15-20 წუთის შემდეგ მასას საცერში ვატარებთ და 15-20 საათით ვტოვებთ ქვაბში. შემდეგ ზედმეტ წყალს გადავასხამთ და დარჩენილ მასას ვამატებთ 2-3 წვეთ ცერეცოს ზეთს, 5 გრამ სოდას და 10 გრამ მზესუმზირის ზეთს. ფქვილის დამატებით ცომს მოვზელთ. ვამზადებთ ბერძნული კაკლისოდენა ბურთულებს და ღია ღუმელში ვაშრობთ. ასეთი საკვები დიდხანს ინახება. ღუმელში გაწითლებამდე შემწვარი ჭვავის პურის ორცხობილას სატყუარასთან ერთად ყრიან წყალში. ორცხობილა სუნით იზიდავს, ხოლო სატყუარა ადგილზე აჩერებს თევზს; 2) ჭვავის ორცხობილას მოხალულ მზესუმზირასთან ერთად ატარებენ ხორცსაკეპ მანქანაში და ცელოფნის პარკში ინახავენ. თევზაობისას მისგან მოზელენ ცომს და წყალში ყრიან. როგორც წესი, ასეთ სატყუარასთან ღამის განმავლობაში ნაფოტას და კაპარჭინას დიდი გუნდი გროვდება; 3) მოსატყუებელი მზადდება დანამცეცებული კომპონენტებისგან, რომლებიც აქტიურად ზემოქმედებენ თევზის გემოს რეცეპტორებზე. ის მაგნიტივით მიიზიდავს თევზებს ჭერის ადგილთან. სატყუარას კომპონენტები შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს: გასაფუებელი, მისაზიდი, არომატიზატორები, საკვების ძირითადი ნივთიერება და ბურთულების შესაკრავი საშუალება. ეს დაყოფა პირობითია. სატყუარას წებოვნება წყლით მოზელვის დროს დიდადაა დამოკიდებული შემდეგ კომპონენტებზე: სიმინდისა და პურის ორცხობილა, ქერი და მოხალული „ჰერკულესი“, თიხა და ა.შ. შვრიის ღერღილი არა მარტო იზიდავს თევზს, არამედ ყველაზე კარგად კრავს კომპონენტებს. პურის ფქვილი ამისთვის არ გამოდგება, ის სითხეში წებოვანი ხდება და წყალი ველარ გამოდევნის ბურთულიდან სხვა კომპონენტებს. რაც უფრო ღრმა და სწრაფი დინებისაა წყალი, მით უფრო მეტი შვრიის ღერღილია საჭირო. თუ ღერღილი არა აქვთ, მაშინ იყენებენ მოხალულ და დაფქვილ „ჰერკულესს“. ქატო ყველაზე მსუბუქი კომპონენტია. მდინარეში მას წყალი დიდ მანძილზე წაიღებს და თევზს შორიდან მიიზიდავს. თუ დინება სუსტია და ფსკერზე დაეშვება, მაშინაც დიდ ხანს იზიდავს თევზს. ქატო საერთო შემადგენლობის 50 პროცენტი უნდა იყოს. თიხის ან ქვიშის დანიშნულებაა ბურთულას წონა მისცეს. ის მასის 30 პროცენტს შეადგენს. გასაფუებელი კომპონენტი ბურთულას ფორებიანს ხდის. ამისთვის გამოიყენება სოდა ლიმონის მჟავით, რაც 1 პროცენტი უნდა იყოს. თევზის მოსაზიდ კომპონენტად იყენებენ რძისა და კვერცხის ფხვნილს, მოხალულ, დანამცეცებულ არახისს. ეს კომპონენტები (მასის 10%) თევზს მადას ულვიძებენ. არომატიზატორად ხმარობენ ვანილის კრისტალებს, გაზაფხულ-ზაფხულში – დარიჩინს, შემოდგომაზე – ხილის ესენციებს, ოღონდ არ გამოდგება ციტრუსების სუნიანი ესენცია, კარგია – კამა. კოპტონი უნდა იყოს ახალი, არა უმეტეს ორი თვის დამზადებული. ცხოველური დანამატები განუსაზღვრელი რაოდენობით შეგვიძლია ვიხმაროთ. ცხელი ივლისის დღეებში დაფქვილი წყალმცენარეები საკვების ხარისხს გაზრდის.

სწორად შედგენილმა საკვებმა წყალში მოხვედრისას უნდა წარმოშვას მადის მომგვრელი, მღვრიე ღრუბელი, რომელიც ნელა უნდა დაილექოს, ასეთ შემთხვევაში წარმატებული თევზაობა გარანტირებული გაქვთ.

**ლევან ებრალიძე**



# სამხედრო ლექსიკონი

**მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.**

ВОЛНА СВЕТОВАЯ – შუქის ტალღა

ВОЛНА ТЕПЛОВАЯ – სითბური ტალღა

ВОЛНА УДАРНАЯ – დარტყმითი ტალღა

ВОЛОКУША – სათრეველა

ВОРВАТЬСЯ – შეჭრა, შევარდნა

ВОСХОДЯЩИЙ – აღმავალი

ВПЕРЕД – წინ!

ВПРЫСК - შეშხაპუნება

ВРАГ – მტერი

ВРАСПЛОХ- მოულოდნელად, ანაზდად

ВРАТА КРЕПОСТИ – ციხესიმაგრის კარიბჭე

ВРОЗЬ – ცალ-ცალკე

ВСАДНИК – ცხენოსანი, მხედარი

ВСЕПОГОДНЫЙ – საყოველამინდო

ВСПОМОГАТЕЛЬНЫЙ – დამხმარე

ВСПЫШКА – აფეთქება ალებით

ВТОРЖЕНИЕ – შეჭრა, შესევა

ВТУЛКА – მილისი

ВТУЛКА ЗАПАЛЬНАЯ – საფალიე მილისი

В УПОР – მიბრჯენით

ВЫБИВАТЬ – გაგდება, გაძევება

ВЫБРАСЫВАТЕЛЬ ГИЛЬЗ – ვაზნების ამომყრელი

ВЫБРАСЫВАТЬ ДЕСАНТ – დესანტის გადასროლა

ВЫВЕРКА – შემოწმება

ВЫВОД – გაყვანა

ВЫГОВОР – საყვედური

ВЫГРУЗКА – გადმოტვირთვა

ВЫДАЧА – გაცემა

ВЫЖИВАНИЕ (ВЫЖИВАТЬ) – გადარჩენა, გაძლება

ВЫЖИДАТЕЛЬНЫЙ – ლოდინისა, სალოდინო

ВЫЗОВ – გამოძახება, გამოწვევა

ВЫКЛАДКА ПОХОДНАЯ – სალაშქრო ანაკრები

ВЫЛАЗКА – გამოხტომა, მოულოდნელი თავდასხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნიკალური დარნი

**1881 წელს რეჟი დარნმა (Regis Darne) სენტ-ეტიენში საიარაღო ფაბრიკა დააარსა. საქმე მშვენივრად დაიწყო. ახალგაზრდა მეიარაღის შემოქმედებითმა ფანტაზიამ, ოსტატობამ და დაუშრეტელმა ენერგიამ იმ დროისთვის ერთ-ერთი საუკეთესო, ორიგინალური სამხედრო და სანადირო იარაღის საწარმოს შექმნა განაპირობა.**

თავიდან ფირმა ფეხოსანთა ტყვიამფრქვევების კეთებაზე იყო დაოსტატებული. პირველი მსოფლიო ომის დროს ქარხანამ ერთობ ხელსაყრელი შეკვეთა მიიღო, მას უნდა დაემზადებინა საავიაციო ტყვიამფრქვევები. ეს სწრაფმსროლელი ტყვიამფრქვევი საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებში მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ გამოჩნდა.

დარნის საწარმოში მხოლოდ 350 ადამიანი მუშაობდა, მაგრამ სამხედრო იარაღის პარალელურად, ფირმა ბაზარს ორიგინალური კონსტრუქციის, იაფი სანადირო იარაღითაც ამარაგებდა. როჟე დარნის სანადირო თოფს ორი უძრავი ლულა და მცურავი საკეტი კოლოფი ჰქონდა, მის ავტორს ამ მანამდე უცნობი კონსტრუქციული გადაწყვეტისთვის, 1900 წელს, პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი მიაკუთვნეს.

როჟე დარნი 1939 წელს გარდაიცვალა. მის მიერ დაარსებული ფირმა 1968 წლამდე არსებობდა, მერე კი, საწარმო დაიხურა – ამის მიზეზი ცალკე საიარაღო ბაზრის კონკურენცია და ცალკე საფრანგეთის მიერ კოლონიების დაკარგვა იყო. 1981 წელს სენტ-ეტიენის საიარაღო ქარხნის სახელოსნოს ყოფილმა უფროსმა, პოლ ბრიუშემ (Poul Bruchet) უნიკალური ორლულიანების წარმოება განაახლა. მან გამოისყიდა საწყობში დარჩენილი იარაღის მარაგი, ოთხი წლის შემდეგ კი სავაჭრო მარკა Darne-ს ყველა უფლება. 1995 წელს ფირმას სათავეში ჩაუდგა პოლ ბრუშეს შვილი ერვე ბრუშე. ტრადიცია გრძელდება.

მოხდენილმა და ლამაზმა, ეგრეთ წოდებულმა „გადასახსნელმა" თოფებმა, მოხმარების სიმარტივით (დატენვა-მასრების გამოცვლა, დაშლა-აწყობა) მონადირეთა შორის საყოველთაო აღიარება და სიყვარული მოიპოვეს. მიუხედავად ამისა,მათი კონსტრუქცია, რბილად რომ ვთქვათ, ჯერჯერობით შორსაა სრულყოფილებისგან. მათი მთავარი ნაკლი ის არის, რომ ადრე თუ გვიან თოფის საკეტი მოირყევა ხოლმე და თოფი სახმარად აღარ ვარგა.

გადასახსნელი თოფების გამძლეობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად ზუსტად ერგება ლულები კოლოფს, აგრეთვე მათი შეერთების მეთოდებზე, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, საკეტის ტიპზე. მაგრამ ნებისმიერი ტიპის საკეტის გამოყენებისას, ლულებისა და საკეტის შეხების წერტილებში, ერთობ სწრაფად წარმოიშვება ღრიჭო-ნაპრალები. ამის მიზეზია სროლის დროს დიდი დატვირთვა და მონადირეთა მოუფრთხილებლობა. თოფის ხშირი გადახსნა-დაკეტვა და ამ პროცედურის სწრაფად და მკვეთრად ჩატარება, საკეტის დეტალებზე საგრძნობლად მოქმედებს, ასევე უარყოფით გავლენას ახდენს თოფის დეტალებზე ნადირობისას და იარაღის ტრანსპორტირებისას, თოფის გაუთვალისწინებელი მიხლა-მოხლა სხვადასხვა საგანზე.

ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ გადასახსნელი თოფები ჯარების შეიარაღებაში არასოდეს ყოფილა, რადგან ლულებზე მცირე დინამიკური ზემოქმედებაც კი, მთელი ძალით გადაეცემა ჩამკეტ სისტემას და სწრაფად გამოჰყავს მწყობრიდან, სანადირო თოფების დამახასიათებელი თვისებებია: მოხდენილობა-სილამაზე, სიმსუბუქე და მოხერხებულობა. სამხედრო იარაღის კონსტრუირების ძირითადი პრინციპები კი სიმარტივე, სიმყარე, საიმედოობა და სიიაფეა. მსოფლიო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ყველა ამ თვისების ერთად შეკრება სამხედრო იარაღში, ერთობ პრობლემატურია. მაგრამ ფრანგმა გამომგონებელმა, ფაბრიკანტმა რეჟი დარნმა თავისებურად გადაჭრა ეს პრობლემა.

1881-1894 წლებში მან შექმნა უძრავლულიანი (არაგადასახსნელი) სანადირო თოფების საკეტების რამდენიმე წინასწარი მოდელი. თავიდან ეს იყო ჰორიზონტალურლულიანი, ჩახმახიანი თოფი, რომელსაც მცურავი ჩამკეტი ჰქონდა. ეს მოდელი მაქსიმალური სიმარტივით გამოირჩეოდა და იაფი ჯდებოდა. 1891 წელს დარნმა ახალი მოდელი შეიმუშავა – თოფს უკანმცურავი მასიური საკეტი და შიგნითა ჩახმახები ჰქონდა. სამი წლის შემდეგ კი უფრო გაუმჯობესებული, ეჟექტორებიანი თოფიც შექმნა. და აი, 1898 წელს, მეიარაღემ შეძლო, ნაწიბურში მოძრავი, ჩამკეტი კოლოფის კონსტრუქციის ერთობ იღბლიანი გადაწყვეტისთვის მიეგნო. ამჯერად გამოგონება იმდენად სრულყოფილი და გამძლე გამოდგა, რომ დღესაც, რაიმე პრინციპული ცვლილებების გარეშე უცვლელად გამოიყენება. რეჟი დარნის სისტემა მარტივია. იგი ნაწილების სიმცირით გამოირჩევა, არა აქვს მრავალრიცხოვანი მოგრძო ნაწიბურები და ნასვრეტები, რომლებიც იარაღის წარმოებას ართულებს და ამასთან ერთად, ზრდის მათ თვითღირებულებას.

დარნის სანადირო თოფის ბოლო ვარიანტი მხოლოდ ხუთი ძირითადი ნაწილისგან შედგება: კონდახი, კონდახის ბოლო, ლულები, ჩამკეტი კოლოფი და მზიდი ფილა. იარაღის საბაზო ნაწილი სწორედ ეს ფილაა, იგი მკვიდრადაა ჩამჯდარი კონდახში, იარაღის დანარჩენი ნაწილების



ეროვნული ბიბლიოთეკა



გამართიანებლად გვევლინება და დარნის სანადირო თოფის სიმყარესა და სხვა დადებით თვისებებს უზრუნველყოფს.

თოფის ლულები ერთ ადგილას ფოლადის ქუროთია შეერთებული. დანარჩენი ადგილები მთელ სიგრძეზე რბილი შედუღებითაა შესრულებული. ქუროდან ლულის ბოლომდე თოფს დასდევს მეტალის ორი ღერო: ზედა და ქვედა, ზემოთა სამიზნე ღერო, უფრო ხშირად ჩაღრმავებულია. თოფის ლულები შემკვეთის სურვილის მიხედვით, 600 მილიმეტრიდან 760 მილიმეტრამდე მზადდება. მარჯვენა ლულა ჩვეულებრივ ნახევრად ჩოკია, მარცხენა კი – ჩოკი, რომელიც 35 მეტრის მანძილზე საფანტის 72 პროცენტის გროვის მოხვედრას უზრუნველყოფს. გათვალისწინებულია იმ მყიდველთა სურვილებიც, რომლებიც ნახევარ ჩოკს მთლიან ცილინდრს ამჯობინებენ. თოფის გასაწმენდად ლულები მზიდ ფილას მარტივად ეხსნება. ამ ოპერაციის ჩასატარებლად საჭიროა გამოვწიოთ საჩერელი და კონდახის ბოლოზე ხელის გულის მირტყმით ლულების კავები მზიდი ფილიდან მსუბუქად ამოვარდება. საჩერელი, სხვადასხვა მოდიფიკაციის დროს ან მცირე ზომის ბერკეტის ტიპის მოწყობილობითაა აღჭურვილი, ანდა მის მოსახსნელად ღილაკია გამოყენებული.

იარაღის აწყობისას საჭიროა თოფის მოხსნილი ლულები, თავისი მასიური კავების მეშვეობით, მზიდ ფილაში ჩავაყენოთ და საჩერელით გავამაგროთ. ლულის კავებს შორის დაცილება „დარნის“ თოფებს სამჯერ მეტი აქვს, ვიდრე სხვა ფირმათა ნაწარმს. ფრანგული თოფების გამძლეობაც ამით აიხსნება. თოფის გასატენად საჭიროა ცერა და საჩვენებელი თითი გამოვდოთ საკეტის „ყურებს“, ოდნავ ზევით აწევისა და დაქაჩვის შემდეგ საკეტის მთელი მოწყობილობა უკან დაცურდება, სავაზნეში ვაზნების ჩალაგების შემდეგ ხელის გულით მივაწვებით საკეტს და თოფი სასროლად მზად არის.

ამ თოფის 1898 წლის ბაზაზე 1909 წელს გამოუშვეს P, R, და V ორლულიანი მოდელები. მათგან მოდელი P განეკუთვნება ძვირფას კატეგორიას, მისი წარმოება 1965 წელს შეწყდა, რაც შეეხება R და V კატეგორიებს, „დარნის“ ფირმა მათ დღესაც წარმატებით ამზადებს. მოდელებს შორის სხვაობა არც ისე დიდია, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე მათი ფასი ერთობ განსხვავებულია. R მოდელის ორლულიანი თოფები გაცილებით იაფი ღირს. მათ საკეტის მომცრო ბერკეტი აქვთ და რამდენიმე მოდიფიკაციად იწარმოებიან. მათი კონდახის ხის მასალისა და მეტალის ნაწილების მოვარაყების დონე საშუალოდან საუკეთესომდე მერყეობს, დეკორი კი უბრალო ორნამენტიდან ცარიელ ფონზე შესრულებულ მდიდრულ ჩუქურთმებამდე.

V მოდელის თოფებს, რომლებიც აგრეთვე რამდენიმე მოდიფიკაციის იწარმოება, აქვთ მოზრდილი ჩამკეტი რაზა და მაღალი ხარისხის ნაკეთობის კატეგორიას მიეკუთვნებიან. ეს მოდელი მხოლოდ საგანგებო შეკვეთებით მზადდება და მაღალი მხატვრული დონის გრავირება ახლავს. V მოდელებს გაცილებით სრულყოფილი დამსხლეტ-დამცემი მექანიზმი აქვს, რომელიც სროლისას მაქსიმალურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, V მოდელის ყველა თოფი აღჭურვილია სპეციალური კონსტრუქციებით, რომლებიც სავაზნეების ჰერმეტულობას ამაღლებენ, რაც დენთის გაზის ჩამკეტ კოლოფში შეღწევის საშიშროებას გამორიცხავს. ხშირად მონადირეთა ხელში ერთობ კოხტად დამზადებული ყალბი „დარნის“ თოფები აღმოჩნდება ხოლმე. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ფირმის ყველა ორიგინალს თან ახლავს საკუთარი დამღა, რომელსაც ყოველთვის საკეტის რაზაზე და ლულების ბალიშებზე ადებენ. დამღების რაოდენობის მიხედვით შეგვიძლია გავარკვიოთ თოფის მოდიფიკაციის ნომერი. ამისთვის საჭიროა, მათ რაოდენობას რიცხვი 10 დავუმატოთ. მაგალითად, თუ თოფზე ოთხი დამღაა, „დარნის“ სანადირო თოფის ეს მოდიფიკაცია იქნება R-14 ან V-14.

რეჟე დარნის ორლულიანი თოფები საუკეთესოდაა დაბალანსებული და გადასახსნელი თოფების უმრავლესობაზე ნაკლებს იწონის. ეს უპირატესობა არა მსუბუქი შენადნობების გამოყენებით, არამედ გონივრული კონსტრუქციების წყალობითაა მიღწეული.

„დარნის“ სტანდარტული სანადირო თოფების მასა საშუალოდ 2.8 კილოგრამია – 12-კალიბრიანისთვის, 2.6 კილოგრამი – 16-კალიბრიანისთვის, ხოლო 20-კალიბრიანი თოფის წონა 2.5 კილოგრამია. საგანგებო შეკვეთების შემთხვევაში შესაძლებელია თოფის წონა 100-200 გრამით შემცირდეს.

სასტენდო სპორტული სროლისთვის განკუთვნილი „დარნის“ ფირმის თოფები კი უფრო მასიურია, მათი წონა 3.3-3.6 კილოგრამია.

თავისი არსებობის ასი წლის განმავლობაში „დარნის“ ფირმამ 600 ათასი სანადირო თოფი დაამზადა, რომლებიც დღეს მთელი დედამიწის ზურგზეა მოფენილი. მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ მონადირეებს, მეცნიერებს, მოგზაურებს, თავგადასავლების მაძიებლებს სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეებში, ინდოჩინეთის მთებში, აფრიკის უდაბნოებში „დარნებით“ ნადირობენ ინგლისელები, ფრანგები, ესპანელები, გერმანელები, რუსები და რა თქმა უნდა, ქართველებიც. ყველა გამოცდა ამ უნიკალურმა თოფებმა ღირსეულად ჩააბარეს. სანადირო იარაღის მრავალი მწარმოებელი ფირმა, როგორც უმნიშვნელო, ასევე სახელგანთქმულნიც (მაგალითად Charlin, Schnitt, Freres, Soleihac), ფირმა „დარნის“ პატენტის ამოწურვის შემდეგაც ცდილობდნენ მისი ჩამკეტი სისტემის კოპირება მოეხდინათ და გარეგნულადაც მიემსგავსებინათ თავიანთი ნახელავი სახელგანთქმული ფირმის პროდუქციისთვის. მიუხედავად ამისა, „დარნი“ მათ კონკურენტებად არასდროს თვლიდა, რადგან რეჟე დარნის სისტემის სანადირო თოფების პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მონადირეებს, რომლებსაც ამ იარაღის ფლობისა და გამოყენების ბედნიერება განუცდიათ, არასდროს გასჩენიათ გადასახსნელი თოფის შეძენის სურვილი.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ „დარნის“ არაჩვეულებრივი პოპულარობის საიდუმლო მის მაღალხარისხიანობასა და სხვებთან შედარებით, დაბალ საბაზრო ფასშია. კიდევ იმაში, რომ ეს თოფები არასოდეს ირყევა, გადასახსნელ თოფებზე გაცილებით სწრაფად იტენება, იდეალურადაა დაბალანსებული და საუკეთესო სასროლი თვისებებით ხასიათდება. დაბოლოს, „დარნის“ აქვს თავისებური საკეტი, რომელიც მშვენივრად მუშაობს არაკალიბრირებული, ეგრეთ წოდებული გაბერილი ვაზნების გამოყენების დროსაც. ეს კი, ასე თუ ისე, თუ მთავარი არა, „დარნის“ ერთ-ერთი დადებითი თვისებაც არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნადირობა თავგადასავლების მაძიებელთათვის საუკეთესო საშუალებაა

*მართალია, ნადირობის სეზონი დაიხურა, მაგრამ თეორიული ცოდნის შეძენა და სანადირო გამოცდილების გაზიარება ყოველთვის შეიძლება. ეს გამოცდილება ზოგჯერ ხიფათსაც შეიცავს. ერთ-ერთ ასეთ ფათერაკიან თავგადასავალს მონადირე თეიმურაზ ლომინაძე გაგვიზიარებს. თუმცა მანამდე კინოლოგი შალვა ციხისთავი მწყერზე და მასზე ნადირობის თავისებურებებზე გვესაუბრება.*

— საქართველოში ალბათ არ არსებობს მონადირე, რომელიც გულის ფანცქალით არ ელოდება აგვისტოს. ამ დროს მწყერზე ნადირობის სეზონი იხსნება. მწყერი ქათმისნაირებში ყველაზე მცირე ზომისაა. ის გადამფრენი ფრინველია, რაც ქათმისნაირთა შორის მეტად იშვიათია. ჩვენში მოფრენას აპრილის პირველ ნახევარში იწყებს, ხოლო მასიურად ამავე თვის შუა რიცხვებიდან მაისის ბოლომდე მოდის. მწყრის დაბრუნებას მონადირეები ხმით იგებენ: მამლების „ქვივირო“ ძალიან შორს ისმის მინდორში. მოფრენილები მალე „წყვილდებიან“ და გამრავლებისთვის მზადებას იწყებენ. მდედრი მყუდრო ადგილას (ხშირ ბალახში, ბუჩქნარში, მარცვლეულის ნათესებში მრავალწლიან კულტურებში და სხვა) პრიმიტიულ ბუდეს აწყობს და კვერცხებს დებს, დღეში ერთს. სრული ბუდობა ოცამდე კვერცხს აღწევს. კრუხობა 17-20 დღეს გრძელდება. წიწილებს, გამოჩეკიდან რამდენიმე საათის შემდეგ, სრულიად დამოუკიდებლად გადაადგილება შეუძლიათ და დედასთან ერთად ტოვებენ ბუდეს. წიწილების აღზრდაში მამრი არ მონაწილეობს. თუ რაიმე მიზეზით პირველი ბუდობა დაიღუპება, მდედრი მეორედ ჯდება ბუდეზე, მაგრამ ამ შემთხვევაში კვერცხების რაოდენობა ნაკლებია. მწყრის საკვები, ძირითადად, მცენარეულია — თესლები და ახალგაზრდა ყლორტები, მაგრამ გაზაფხულსა და ზაფხულის პირველ ნახევარში ნაწილობრივ ცხოველურსაც მიირთმევს — ჭიები, მუხლუხოები და სხვა მწერები. დედა მწყერი თავის ნაშიერებს პირველ ხანებში შედარებით მოფარებულ, ძნელად მისადგომ ადგილებში ატარებს. ზაფხულის მეორე ნახევარში მწყრის ბუდობები, ძირითადად, ნამკლებში და ძურწიანებში გადადის,



სადაც უხვი საკვები ეგულებათ. ახალგამოჩეკილი წიწილები 5-7 გრამს იწონიან, თვე-ნახევარში 90 გრამს აღწევენ, ხოლო გადასაფრენად მომზადებული მწყერი შემოდგომის პირზე ძლიერ სუქდება და ხშირად 150 გრამს აღემატება, რის გამოც ნაკლებ მოძრავი ხდება და აფრენაც უჭირს.

მწყერს საკმარისად ბევრი ბუნებრივი მტერი ჰყავს, ფრთოსნებიდან თითქმის ყველა მცირე და საშულო ზომის მტაცებელი ფრინველი, ხოლო ოთხფეხებიდან — მელა, ტურა, დედოფალა და სხვა წვრილი მტაცებლები. მწყრის პოპულაციაზე ყველაზე უარყოფითად ბრაკონიერული მეთოდით ნადირობა მოქმედებს. ოდითგანვე ცნობილია ჩვენს ზღვისპირეთში გავრცელებული ნადირობა — გადაფრენისას დიდ მანძილზე ფრენით დაღლილი ფრინველები, ცუდი ამინდისას, ელექტროშუქით განათებულ ადგილებს ეტანებიან დასასვენებლად. ამ დროს მათ ადგილობრივი მცხოვრებლები დიდი რაოდენობით აგროვებენ. ყოფილა შემთხვევა, ერთ ვაიმონადირეს 200-მდე მწყერი მოუგროვებია. ღამით გადიან მწყრების ძირითად სამყოფელ ადგილებში და ელექტროშუქით დაბრმავებულ ფრინველებს განუკითხავად კრეფენ. ამგვარ „ნადირობას“ სპორტთან არავითარი კავშირი არა აქვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწყერზე ნადირობა აგვისტოს მეორე ნახევარში იწყება. ამ პერიოდში ახალგაზრდა თაობა თითქმის ზრდასრულია, გარდა გვიანი და მეორე ბუდობის მწყრებისა. მწყერზე ნაყოფიერი ნადირობის საწინდარია კარგად გაწვრთნილ-დაგეშილი მეძებარი ძაღლი. უძაღლოდ ამ ფრინველზე ნადირობა ყოველგვარ სპორტულობასა და სიამოვნებას მოკლებულია და ნაკლებად შედეგიანიცაა. მწყერზე სანადიროდ, ფრინველზე მონადირე ყველა ჯიშის ძაღლი და სპანიელი გამოდგება. ჯიშის შერჩევა მონადირის გემოვნებაზეა დამოკიდებული. ჩემი აზრით, გრძელ და ფაფუკბეწვიანი სეტერები ნაკლებად გამოსადეგნი არიან, რადგან მინდვრებში ბირკა და ძურწი ედებათ. ამგვარ ადგილებში მოკლებეწვიან ჯიშებს — პოინტერსა და კურცჰაარს ენიჭება უპირატესობა. მწყერზე ნადირობისას ძაღლს, პირველ რიგში, სრული დამჯერობა და პატრონთან კონტაქტი მოეთხოვება.

იარაღებიდან მწყერზე სანადიროდ მოსახერხებელია მსუბუქი, წვრილკალიბრიანი თოფები, რომელთაც ლულები ცილინდრული ან სუსტი ჩოკებით აქვთ, ვინაიდან ასეთი თოფები დეფიციტურია და ჩვენს მონადირეებს მეტწილად რუსული წარმოების მძიმე, 12 და 16 კალიბრის თოფები აქვთ, საჭიროა, სპეციალური, „ახლომსროლელი“ ვაზნების დამზადება. ასეთი ვაზნების მიზანია ახლოდან ნასროლმა არ გააფუჭოს ნანადირევი და ამავე დროს საფანტის დიდი მოფანტულობა მოგვცეს, ამგვარად უკეთეს შედეგს ვიღებთ. სამწყრე ვაზნების დამზადების მრავალი მეთოდი არსებობს. მე შემოგთავაზებთ ერთ-ერთს, რომლითაც უკვე ნახევარი საუკუნეა ვსარგებლობთ: 1,8 გრ დენთი „სოკოლი“ და 22 გრ საფანტი №9. ასეთი ვაზნა ჩოკებიანი თოფიდან საფანტს კარგად შლის და მოზრდილ მანძილზეც კარგად ჭრას ინარჩუნებს.

მწყერზე ნადირობისას სათანადო ყურადღება ტანისამოსსაც უნდა მივაქციოთ. ფეხზე უნდა გეცვას კედები ან მსუბუქი, მოკლე რეზინის ჩექმები. ტანზე ყველაზე ხელსაყრელია თბილი ბრეზენტის შარვალი, რასაც ბირკა, ძერწა და მცენარეთა თესლები არ ედება, რაც ძალიან შემაწუხებელია. თავზე უნდა გეხუროთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსუბუქი პანამა. თან უნდა იქონიოთ პოლიეთილენის საწვიმარიც. ვგონებ, არაფერი გამომრჩა. ბედნიერ ნადირობას გისურვებთ.

### თეიმურაზ ლომინაძე:

– ალბათ ყველა სიამაყით იხსენებს თავის ხიფათიან თავგადასავალს და სიამოვნებით ჰყვება ნაცნობ-მეგობრების წრეში. არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ ისეთი ფათერაკიც გადამხდენია, რომლის არა თუ მოყოლა, გახსენებაც კი მზარავს. ერთი ასეთი ხიფათიანი ნადირობის შესახებ მინდა მოგითხროთ.

მე და ჩემი აწ განსვენებული მეგობარი გურამ გაბაშვილი, მუდამ ერთად ვნადირობდით ჯავახეთის ტბებსა და მდინარისპირა ჭაობებში, მტკვარზე, ხრამისა და ალგეთის ნაპირებზე, ალაზანზე... ამათ შორის უპირატესობას მტკვარზე, „კრეპკი უგოლში“ ნადირობას ვანიჭებდით. უქმე დღე არ გაგვიცდენია. უთენია მივადგებოდით ნაცნობ ადგილებს, გადავლახავდით მტკვარს გასაბერი ნავით და მოვიკალათებდით წინასწარ შერჩეულ და საკუთარი სახლივით ნაცნობ საფრებში. სხვა მონადირეთა მსგავსად არასოდეს გვიშენებია საფრები. ყოველთვის ბუნებრივ პირობებს ვიყენებდით და ამის გამო სხვებზე უფრო შედეგიანი ნადირობა გამოგვდიოდა. მე და გურამი უსიტყვოდ ვუგებდით და გასაჭირში ერთმანეთის იმედი გვქონდა. ერთხელ გურამი შეუძლოდ გახდა და ვერ წამოვალო, შემატყობინა. თებერვლის ნამდვილი „საიხვე“ ამინდი იდგა და სახლში რა გამაჩერებდა. მარტო წასვლა არც მიფიქრია. სანადიროდ წასვლის მსურველი ბევრი იყო, მაგრამ... საგონებელში ჩავვარდი. უცებ ჩემი სიყრმის მეგობარი, შესანიშნავი პოეტი გიორგი კაპანაძე გამახსენდა: – ერთხელ მაინც წამიყვანე, ბიჭო, სანადიროდ, თორემ ჩემი ცოდვით ხეირი არ დაგადგებაო, – მთხოვდა. გოგი ნადირობაში გამოცდილი არ მყავდა და ასეთი „თოფიანი უცნობების“ გვერდით ყოფნას მუდამ ვერიდებოდი. – რაც იქნება, იქნება, წავიყვან! – გადავწყვიტე. ის ღამე შფოთიანად გავატარე. გურამის წამოუსვლელობით გამოწვეულ შინაგან დისკომფორტს ვერა და ვერ გავქცეოდი. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო. ავდექი, მანქანა გავაწყვე და გოგისკენ გავემართე. ისევ ის შეუცნობელი წუხილი გამომყვა. მინდოდა წასვლა და არც მინდოდა. თითქოს ბუნდოვანი წინათგრძნობა უკან მეწეოდა. ვერ გამეგო რა მომდიოდა. ამ ფორიაქში გოგის სახლს გავცდი. ცუდად მენიშნა. მანქანა მოვაბრუნე, გოგის შევძახე და წავედით. ლაპარაკი უყვარდა სულგანათლებულს, მალე გამიქარვა დარდი. სოღანლუღს რომ გავცდით, გზაზე ერთი ზურგჩანთამოკიდებული მონადირე დავლანდე. ხელი აგვიწია, წაყვანას გვთხოვდა. რომელი მონადირე დატოვებს თავისი გატაცების თანამოზიარეს ღამით გზის პირას?! რამდენჯერმე წავილე მუხრუჭისკენ ფეხი და... არ გავუჩერე. უსიამოვნო შეგრძნება დამიბრუნდა. ადგილზე რომ მივედით, მანქანა მტკვრის მაღალ ნაპირზე, ვიწრო, ძალზე დამრეც ჩასასვლელთან გავაჩერე. – პირველი ვარ, – ვიფიქრე, ჯერ არავინ მოსულიყო. სწრაფად უნდა გადავსულიყავით მდინარეზე ხელსაყრელი საფრების დასაკავებლად. ავიკიდეთ ჩვენი მოწყობილობა და მდინარისკენ დავეშვით. ჯერ კიდევ ღამე იყო. თებერვლის ცივი ქარი წვიმის ყინულიან წვეთებს გვაყრიდა სახეში. თვალწინ ისევ ის ხელაწეული, შეცივნული მონადირე დამიდგა. უსიამო ჟრჟოლამ დამიარა. თავდაჯერებულობა და საღად განსჯის უნარი დავკარგე. ანგარიშმიუცემლად მივიწევდი წინ და ვცდილობდი, არაფერზე მეფიქრა. გავბერეთ ნავი, თოფები მხარილლივ გადავიკიდეთ, სავაზნეები შემოვირტყით და წყალში შევცურეთ. გოგი ნავის ბოლოში მოთავსდა. ნავს მივაწექი და მუხლამდე წყალში შევედი.



გადაბრუნების შიშით ფრთხილად ჩავჯექი, ნიჩბები მოვიმარჯვე და უცებ თითქოს ჯადოსნური ფარდა ასწიესო, უცნაური, მრუმე სინათლე მოეფინა ბნელ მიდამოს. მყისვე დამიბრუნდა რეალობის შეგრძნება და ადიდებული მდინარის მღვრიე ტალღები დავინახე. შიში არ მიგრძნია, ამის დრო არც იყო. ტალღამ ნავი ნაჭუჭივით აათამაშა და დაატრიალა. გაღმა ნაპირი არ ჩანდა, ორიენტირი დავკარგე. რეზინის პატარა ნავი ტალღებში ცურვისთვის არ არის განკუთვნილი. მივხვდი, რომ ვიჩქარე, გათენებას უნდა დავლოდებოდი. უცებ სიბნელიდან გამოყოფილ, უწმინდურის ხელივით დაღვარჭნილ ტოტს სახით წამოვედე, წყალში ჩავვარდი და გადმობრუნებული ნავი ზევიდან დამემხო. ცივ უკუნეთში ჩავიძირე. წინგაშვერილი ხელის თითებით ვგრძნობდი წყალქვეშა ხის ტოტებს. „თოფის თასმით არ წამოედო!“ – ჩამესმა გონებაში. გურამი, გოგი, გზის პირას მიტოვებული უცნობი მონადირე... ერთმანეთში ამერია ყველაფერი. „საჭიროა, ქვემოთ ჩასვლა!“ – კვლავ მშვიდად მკარნახობდა ვიღაც. რის ვაივაგლახით გავთავისუფლდი ტოტებისგან და ფეხი ფსკერს დავკარი. ზევიდან სვეტივით ჩამომავალი შუქი ვიგრძენი. ხელ-ფეხი ღონივრად მოვიქნიე, სინათლეს ამოვყევი და ზედაპირზე ამოვვარდი. ჩემს არაადამიანურ ხრიალს გოგის ხმაც შეუერთდა. გადავრჩით! ირგვლივ ნისლისფერი ნათელი იდგა. ჩვენს გადაბრუნებულ ნავს მოშორებით მიათამაშებდა ტალღა. სამშვიდობოს გასულებმა ტანსაცმელი გავწურეთ. ერთ ადგილზე დგომა არ შეიძლებოდა. ყოველი შემთხვევისთვის თოფები ავაწყვეთ და გასახურებლად ნაპირის გასწვრივ სირბილი დავიწყეთ. როგორ მოვახერხებდი უკან გადსვლას, ამაზე ფიქრიც არ მინდოდა. ამასობაში გადაფრენაც დაიწყო. იხვების დანახვაზე მონადირულმა ჟინმა შემიპყრო და წყალწაღებულის მდგომარეობა დამავიწყა. ვაზნებს დასველება ვერ მოესწროთ და თითო დიდი და პატარა იხვის მოკვლა მოვახერხე. გოგი სადღაც სხვა მხარეს დარბოდა. წინ და უკან სირბილში უცნობ მონადირეს გადავეყარეთ. ახლახან გადმოსულიყო მდინარეზე. შემხედა თუ არა, უსიტყვოდ მიხვდა ჩემს გასაჭირს და თავისი ნავი შემომთავაზა. გოგის დავუძახე, ჩავსხედით და ამჯერად მშვიდობიანად გადმოვცურეთ ადიდებული მტკვარი. მანქანა დავათბე და თბილისის გზას დავადექით. გოგი ისევ ალაპარაკდა. თავისებურად, პოეტურად აფასებდა მომხდარს, ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდაო. მთელი სიცხადით წარმოვიდგინე, თუ რას გადავურჩით და შიშმა გვიანლა ამიტანა – არც გოგიმ და არც გურამმა ცურვა არ იცოდნენ.

**ლევან ებრალიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისური „შებოლილი თევზი“ — ამერიკული ავიამზიდების ჩასაძირად



**თბილისში დამზადებული „შებოლილი თევზის“ — K-10C ტიპის ფრთოსანი რაკეტების მატარებელი საბჭოთა ბომბდამშენი Ту-16-ი ამერიკულ ავიამზიდებს ეძებს...**

დაძაბულობა კრემლისა და თეთრ სახლს შორის პიკს აღწევს. ხრუშჩოვი თავის „კუნთებზე“ – შეიარაღებაზე იყურება და კენედის გაფრთხილებებს არაფრად აგდებს. მოსკოვს სურს ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტთან, ამერიკელებს ყურისძირში თავისი „ჩაუძირავი ავიამზიდი“ – რაკეტებით გაძეძგილი კუბა „დაუყენოს“. ფიდელ კასტროც სრულ მზადყოფნაშია და აქტიურად ათავსებს კუნძულზე საბჭოეთიდან მალულად გამოგზავნილ ბირთვულ რაკეტებსა და თვითმფრინავებს. აღშფოთებული ამერიკელები კუბაზე საჰაერო იერიშების მიტანასაც კი ფიქრობენ, რისთვისაც კუბის გარშემო აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ავიამზიდების, კრეისერებისა და წყალქვეშა ნავების რკალი იკვრება.

იწურება 1962 წლის ცხელი ზაფხული და დგება არანაკლებ „ცხელი“ (პოლიტიკური დაძაბულობის მხრივ) შემოდგომა. მესამე მსოფლიო ომი ნელ-ნელა ახლოვდება.

და ამ დროს ამერიკელები აფიქსირებენ, რომ საბჭოთა კავშირი ახალ მიწაზე ახდენს პირველ წყალზედა აფეთქებას, რომლის სიმძლავრე 6 კილოტონას აღწევს. თითქოს რა უნდა იყოს 6 კილოტონა, როდესაც ჯერ კიდევ 17 წლის წინ ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოგდებული პირველი ატომური ბომბების აფეთქების სიმძლავრე 20 კილოტონა ტროტილის ეკვივალენტი იყო. თუმცა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აგენტურული დაზვერვის საშუალებით არკვევს, რომ ბირთვული ქობინი ჩვეულებრივ ბომბში კი არ იდო, არამედ მართვად ფრთოსან რაკეტაში, რომელიც ბომბდამშენმა თვითმფრინავმა ასეული კმ-ის სიშორიდან გაისროლა და ზუსტად მოარტყა პოლიგონზე მოდრეიფე სამიზნეს – ბარჟას.

პენტაგონში პანიკაა – თუკი რუსებს უკვე გააჩნიათ ასეთი სიზუსტის ხომალდსაწინააღმდეგო და თანაც ბირთვულქობინიანი ფრთოსანი რაკეტები, მათი კუბაში ჩატანის შემთხვევაში, ახლომახლო მცურავი ყველა ამერიკული ავიამზიდი სრული განადგურების წინაშე დადგება. რამდენიმე ხანში პენტაგონამდე მიდის დაზუსტებული ინფორმაცია, რომ დაახლოებით 100-მდე ამგვარი რაკეტა უკვე კუბაშია...

ეს ინფორმაცია პრეზიდენტ კენედის ადმინისტრაციისთვის უღრუბლო ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასია – როდის დაიწყეს საბჭოელებმა ასეთი რაკეტების შექმნა და სად აწყობენ? ეს მთავარი კითხვა აწუხებს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს და მხოლოდ დიდი ძალისხმევისა და ფინანსების დახარჯვის შემდეგ არკვევენ – ახალ ბირთვულქობინიან ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსან რაკეტებს K-10C-ს საბჭოთა კავშირი თბილისში, საავიაციო ქარხანაში აწყობს.

სწორედ ასე, 40 წლის წინ თბილისური საიდუმლო ნაწარმი სასიკვდილოდ დაუპირისპირდა ამერიკელების სიამაყეს – ავიამზიდებს, რისთვისაც მას NATO-ში „მოფერებით“ – „KIPPER“-ი – „შებოლილი თევზი“ შეარქვეს.

K-10C-ი ათწლეულების განმავლობაში მართლაც წარმოადგენდა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ერთ-ერთ ძირითად იარაღს ამერიკელების მსხვილგაბარიტიანი ხომალდების წინააღმდეგ და განსაკუთრებით გასაიდუმლოებული იყო. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ თბილისის საავიაციო ქარხნის ტერიტორიაზე, შესასვლელში არსებულ ვიტრინაში მისი ადგილი არ „გამოინახა“. არადა, იქ გამოფენილია ყველა ის მფრინავი აპარატი, რაც ამ ქარხანას 60 წლის მანძილზე გამოუშვია.

გადაწყვეტილება K-10 (Комета-10) ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტის შექმნის შესახებ 1955 წელს იქნა მიღებული და ეს საქმე მიქოიანის საკონსტრუქტორო ბიუროს დაავალეს. უშუალოდ რაკეტა მოსკოვსა და დუბნაში იქმნებოდა მთავარი კონსტრუქტორების – გურევიჩისა და ბერეზნიაკის ხელმძღვანელობით, ხოლო თბილისში, მისი სერიაში გასაშვები სამუშაოები 50-იანი წლების ბოლოდან დაიწყო და ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული.

როგორც თბილისის საავიაციო ქარხნის

**ავიამზიდი „ამერიკა“, რომელიც „ცივი ომის“ დროს თბილისურ „შებოლილ თევზს“ გადაურჩა, მაგრამ დღედღეზე თავისიანები უპირებენ ჩაძირვას ატლანტის ოკეანეში...**



უხუცესი თანამშრომელი, იმ დროს რადიოელექტრონიკის დარგში ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე, ბ-ნი აკაკი გუმბერიძე იხსენებს, К-10-ის წარმოება განსაკუთრებით საიდუმლოდ მიმდინარეობდა. ამ რაკეტის საიდუმლო შიფრი „изделие 081“ იყო და გადიოდა „Совершенно секретно, особой важности“-ის გრიფით. მის საამწყობო საამქროს სხვა თანამშრომელს ახლოს არ აკარებდნენ, ხოლო ერთხელ, როდესაც საამქროში ნამდვილი ბირთვული ქობინი მოიტანეს, განსაკუთრებული სიფრთხილის ზომებიც იქნა მიღებული. ქობინი სამხედრო მეზღვაურებმა გასინჯეს, მოერგებოდა თუ არა ის რაკეტის ნაკვეთურს. აწყობილ რაკეტებს ფრთებს ხსნიდნენ, სპეციალურ კონტეინერში ათავსებდნენ და გაძლიერებული დაცვის თანხლებით ღამღამობით გზავნიდნენ დანიშნულების ადგილზე.

ერთხელ, როდესაც რაკეტების მორიგი უშედეგო გამოცდის შემდეგ, რადიოელექტრონიკის მწყობრიდან გამოსვლა მისმა კონსტრუქტორმა თბილისელ ავიამშენებლებს დააბრალა — თქვენ მიერ უხეიროდ გაკეთებული სადენებიდან ნავთი იღვრება, ხელსაწყოს ხვდება და მოკლე ჩართვას ახდენსო, ქარხნის წარმომადგენელმა აკაკი გუმბერიძემ, ბუნებრივია, თავისი კოლექტივი დაიცვა, მაგრამ რას გახდებოდა რუს მთავარ კონსტრუქტორებთან ერთი ჩვეულებრივი ქართველი ინჟინერი, რომ მისთვის მხარი ისევ К-10-ის მთავარ კონსტრუქტორს გურევიჩს არ დაეჭირა — რად მჭირდება ისეთი რადიოელექტრონული ხელსაწყო, რომელიც ნავთის სუნზე ფუჭდებაო!

მიუხედავად მრავალი პრობლემისა, К-10 შეიარაღებაში მიიღეს და Ту-16 ტიპის ბომბდამშენებზე განათავსეს.

რაკეტის გაშვება შემდეგნაირად ხდებოდა — თვითმფრინავი-მატარებელი 5-11 კმ-ის სიმაღლეზე მიფრინავდა და მოწინააღმდეგის ხომალდის აღმოჩენისთანავე 110-325 კმ-ის დისტანციიდან უშვებდა რაკეტას. ეს უკანასკნელი თვითმფრინავიდან მოცილებისთანავე 1,5 კმ-მდე სიმაღლეზე ეშვებოდა (მოგვიანებით, ეს მაჩვენებელი 600 მ-მდე შემცირდა) და ჯერ თვითმფრინავიდან რადიობრძანებებით იმართებოდა, ხოლო მიზნამდე 15-20 კმ-ზე მიახლოებისთანავე ირთვებოდა რაკეტის რადიოლოკატორი და რაკეტა უკვე თვითონ ემიზნებოდა ხომალდს.

К-10С-ს საგამოცდო სროლები კასპიის ზღვაში, პორტ შევჩენკოსთან მოდრეიფე ტანკერ „ჩკალოვის“ მიმართულებით სრულდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ „ჩკალოვის“ წყალწყვა 9000 ტონას აღწევდა, ხოლო სიგრძე 111 მ იყო, როგორც ტანკერს, დაბალგვერდიანი კორპუსი ჰქონდა. ამიტომაც მასზე 13 მ სიმაღლის ლითონის ბადე გაჭიმეს, რათა მისი რადიოლოკაციური სილუეტი ამერიკული ავიამზიდისათვის მიემსგავსებინათ.

სულ თბილისის საავიაციო ქარხანამ, 60-იანი წლების ბოლომდე, „არსენალის“ ინფორმაციით, არანაკლებ 1669 ცალი ღ-10 ფრთოსანი რაკეტა გამოუშვა. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ Ту-16-ს მხოლოდ ერთი ასეთი რაკეტის წაღება შეეძლო, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი (საწყობებში შენახული რაკეტების ჩაუთვლელადაც) ბირთვული თუ ჩვეულებრივქობინიანი რაკეტა იყო ერთდროულად დამიზნებული ჩრდილოეთ ატლანტიკისა თუ წყნარ ოკეანეებსა და ხმელთაშუა ზღვაში მოცურავე დასავლეთის სამხედრო გემებზე.



**ჩვენი დოსიე:** პირველი საბჭოთა ზებგერითი ხომალდსაწინააღმდეგო მართვადი ფრთოსანი რაკეტა К-10С-ი 10 მ-ის სიგრძისა იყო, ხოლო კორპუსის დიამეტრი 92 სმ-ს აღწევდა. ფრთების გაშლილობა — 4,1 მ-ს. სასტარტო წონა 4,5 ტ-ს აღემატებოდა, აქედან 940 კგ საბრძოლო ნაწილზე მოდიოდა. ფრენის სიჩქარე 2050 კმ/სთ-ს აჭარბებდა.





Ту-16 ბომბდამშენიდან ფრთოსანი რაკეტა К-10С-ის გაშვების მომენტი

რამდენჯერმე, საჰაერო აღლუმის დროს, მოსკოვის თავზე ნაჩვენები იქნა К-10С-ებით აღჭურვილი Ту-16-ის გადაფრენა, რამაც უცხოელი სამხედრო ატაშეების განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია. მოგვიანებით К-10С ბაზაზე შეიქმნა სპეციალური უპილოტო რაკეტები რადიოელექტრონული ბრძოლის საწარმოებლად. რუსეთმა ხომალდსაწინააღმდეგო კომპლექსი Ту-16К-10 თავისი შეიარაღებიდან მხოლოდ 1994 წელს მოხსნა.

სხვათა შორის, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის გაძლიერება ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებში ასე თუ ისე უკავშირდება საქართველოს ან ქართველებს. თუკი К-10С-ს თბილისში აწარმოებდნენ, მისი წინამორბედის, პირველი საბჭოთა ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტის КС-1 „Комета“-ს შექმნაში მთავარი როლი ბერიას ვაჟმა, სერგო ბერიამ შეასრულა. დღეს მრავალი ცნობილი რუსი კონსტრუქტორიც კი აღნიშნავს, რომ საბჭოთა პარტიული ლიდერების უნიჭო და უმაქნისი ნაშიერებისგან განსხვავებით, სერგო ბერია ყოველთვის გამოირჩეოდა ცოდნით. მეორე ქართველი კონსტრუქტორი კი გიორგი ბერიაშვილი იყო. იგი რუსეთში ბერიევად იხსენიებოდა. მან შექმნა უნიკალური საზღვაო-საჰაერო კომპლექსი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნდა. ეს კომპლექსი აერთიანებდა პირველ რეაქტიულ მფრინავ ნავს Бе-10-სა და ფრთოსან რაკეტას К-12БС-ს, თუმცა მისი სერიული წარმოება არ მომხდარა.

*იარაკლი ალადაშვილი*

# USS HARRY S. TRUMAN
## (CVN-75) CLASS - NIMITZ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დობერმანი

## ჭკვიანი ძაღლი თუ მრისხანე იარაღი





დობერმანი, როგორც ჯიში, მე-19 საუკუნეში გერმანიაში გამოიყვანეს. ამ ჯიშის დამაარსებლად ფრიდრიხ ლუის დობერმანი ითვლება და სწორედ მისი სახელი ეწოდა კიდეც. ის სანიტარიულ ორგანიზაციაში მუშაობდა, რომელიც მაწანწალა ძაღლების დაჭერითა და დახოცვით იყო დაკავებული. სანიტრების დამატებით შემოსავალს სხვადასხვა ჯიშის მაწანწალა ძაღლების გაყიდვით შემოსული თანხა შეადგენდა. ფრიდრიხ დობერმანი თავისთვის განსაკუთრებით ავ ძაღლებს იტოვებდა, რომლებსაც შემდგომ ერთმანეთთან აჯვარებდა. იგი ძაღლებს ზრდიდა აგრესიულებად, ერთგულებად და რაც მთავარია, უშიშრებად. დობერმანმა მიზნად უნივერსალური ჯიშის გამოყვანა დაისახა და კაცობრიობას მცველის თვისებების მქონე ძაღლი აჩუქა, რომელმაც სწრაფად და ადვილად დაიპყრო მსოფლიო.

ზუსტი მონაცემები დობერმანის წინაპრების შესახებ არ არსებობს. კინოლოგთა უმრავლესობა თვლის, რომ დობერმანში როტვეილერის, გრეიჰაუნდის, მასტიფისა და პინჩერის სისხლი ურევია. სხვათა შორის, თავდაპირველად დობერმანებს ასე მოიხსენიებდნენ — დობერმან-პინჩერი. კამათი კი დობერმანის გარშემო დღემდე გრძელდება.



დობერმანი ყველა თავის ლეკვს ყურებსა და კუდს აჭრიდა, რომ ძაღლისთვის კიდევ უფრო ლამაზი შესახედაობა მიეცა. ფრიდრიხ დობერმანის გარდაცვალების შემდეგ მეორე ადამიანი, ვინც ამ ძაღლების სრულყოფაში თავისი როლი შეასრულა, იყო ოთო გელერი, რომელმაც დობერმანის რამდენიმე ძაღლი შეიძინა და მათ გამრავლებას შეუდგა. სწორედ ამ პერიოდში გახდა დობერმანი ბევრ ქვეყანაში ცნობილი, მათ შორის სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში.

1899 წლის 27 აგვისტოს კინოლოგთა გამოფენაზე აპოლოდში დაარსდა დობერმან-პინჩერის კლუბი, რომელიც 1900 წელს ნაციონალურ დობერმან-კლუბად გარდაიქმნა.

1949 წელს ოფიციალური სახელიდან პინჩერი გაქრა, რადგან თანამედროვე დობერმანი შორს წავიდა თავისი წინაპრის-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



გან — გერმანული პინჩერიდან. დღეისთვის კი ამ ჯიშს, ამერიკის გარდა ყველა ქვეყანაში უბრალოდ დობერმანი ეწოდება.

დობერმანი, თუნდაც გაუწვრთნელი, არაჩვეულებრივი მცველია. წყვილი დობერმანი კარგად მუშაობს ერთად და მაშინ ისინი ძალიან მრისხანე ძალას წარმოადგენენ. ინტელექტი ამ ძაღლისა იმდენად მაღალია, რომ მას მომენტალურად შეუძლია საჭირო გადაწყვეტილების მიღება. ის შესანიშნავი კომპანიონია თავისი გაწონასწორებული ფსიქიკით. დაბოლოს, ძალიან ალერსიანი და ერთგული მეგობარია. თუ სპეციალისტებს დავუჯერებთ, შეიძლება, დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ ამ ძაღლის მომშენებლებმა მართლაც უნივერსალური ჯიში შექმნეს დობერმანის სახით. თუმცა თავისი უნივერსალურობით დობერმანი ყველასთვის არ არის საჭირო. დობერმანის პატრონი უნდა იყოს ჭკვიანი, გაწონასწორებული, ძლიერი ნერვებით. მათ, ვისაც სურთ, დობერმანი თავად გაწვრთნან, პირველ რიგში, საკუთარი თავის კონტროლი უნდა შეეძლოთ. ეს ძალიან ტემპერამენტიანი და შრომისმოყვარე ძაღლია. იგი პატრონისგან მუდმივად დიდ ყურადღებასა და ენერგიას მოითხოვს. არასდროს იქნება ბედნიერი, თუკი მას ვერ შეამჩნევენ და საკმარის დროს არ დაუთმობენ. ეს ძაღლი აქტიური და ენერგიული ადამიანებისთვისაა.

როგორც ჟან მადე (ძაღლების მწვრთნელი) აცხადებს, დობერმანი არც პონია და არც ცხენი, ეს არის „სუფთა სისხლის მორბენალი“. იგი ჰგავს იმ მანქანას, რომლის მართვა ყველას არ შეუძლია. თუკი ის იგრძნობს, რომ გიყვართ და სათანადო დროს დაუთმობთ მის აღზრდას, შედეგად ბრწყინვალე კომპანიონს მიიღებთ. აღსანიშნავია დობერმანის განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემები. ამ ძაღლების მოშენების ერთ-ერთი მიზანია, რომ მივიღოთ ძლიერი ძაღლი, რომელიც თავისი სიძლიერის მიუხედავად, ინარჩუნებს მოქნილობასა და ელეგანტურობას. ის განსაკუთრებით გამოსადეგია კომპანიონად, მცველად, მომსახურე ძაღლად და ოჯახის მეგობრად.

ახლა კი გავეცნოთ დობერმანის საერთო სტანდარტს. იგი საშუალო სიმაღლის, ამაყი ტანის მქონე ელეგანტური ძაღლია. კარგად აქვს განვითარებული ძვლები. ხვადის სიმაღლე 68-72 სმ-ია, ძუსი — 63-68. ხვადის წონაა 40-45 კგ, ძუსი — 32-35 კგ. აქვს ელასტიკური ტყავი. მოკლებალნიანია, პირდაპირი, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი, უხეში ბეწვის გარეშე. ბუნებაში გვხვდებიან შავი ან ყავისფერი დობერმანები. მოწითალო-აგურისფერები ლაქები ოდნავ შესამჩნევია ლოყებსა და წარბებზე. ასევე მკერდზე, მხრების შიგნით და თეძოებზე. იგი მოძრაობს მსუბუქად, დარბაისლურად, დგამს დიდ და თავისუფალ ნაბიჯებს. დობერმანის ტანის ფორმა კვადრატულია. კისერი გრძელი, მშრალი, მაღლად მდგომი და დაკუნთული, ხოლო წელი ფართო და მოკლე აქვს. მუცელი ოდნავ აწეულია, მოჭრილი კუდი ზემოთაა აპრეხილი. წინა ფეხები პირდაპირი და პარალელურია. მხრები კუნთოვანი. ფრჩხილები მჭიდროდ მიჯრილი და უკან მიმართულია. თათები კატისებრი აქვს. ძლიერი, მშრალი თავი აქვს. სამკუთხედის ფორმის ყურები, რომელიც ასევე მოჭრილი აქვს, მუდამ ზემოთაა აცქვეტილი. თუკი ყურები მოჭრილი არა აქვს, მაშინ იგი ფართოდაა დაშვებული და ლოყამდე სწვდება. შუბლი სწორია, სახეზე მკვეთრად არ გადადის, მოგრძო სახე აქვს, ღრმა და ფართო, ძლიერი მასიური ყბებით. დრუნჩი მსხვილი, დიდი და შავია, ფართოდ გაღებული ნესტოთი. ყავისფერ დობერმანებს დრუნჩი შედარებით ღია ფერისა აქვთ, ტუჩები მშრალი და მჭიდროდ მიჯრილი. თვალები მუქი და ნუშისებრი აქვს, გამოხედვა ყურადღებიანი და დადარაჯებული.

*დობერმანის შესახებ კომენტარები კინოლოგ კოტე ქვლივიძეს ვთხოვეთ.*

— რატომღაც დობერმანებზე ისეთი შეხედულება იყო გავრცელებული, რომ ისინი სულელი და აგრესიული ძაღლები არიან. სინამდვილეში კი დობერმანი უჭკვიანესი ძაღლია, ხალხის მოყვარული და ბავშვებთან მეგობრული. პატრონისა და მისი ოჯახის წევრების უსაზღვროდ ერთგულია. მისი მომაკვდინებელი სიავე (თუკი შეიძლება ასე ეწოდოს) ვლინდება სპორტში — მოქნილი, სწრაფი, ძლიერი ნერვული სისტემით და არაჩვეულებრივი რეაქციით, დობერმანი ბრწყინვალედ ემორჩილება წვრთნას. ამასთან, ძალიან უყვარს მუშაობა. იგი ყველგან და ყოველთვის, ნებისმიერ სიტუაციაში საკუთარ თავში დარწმუნებლობის დემონსტრირებას ახდენს. დობერმანის სახასიათო შტრიხია ის, რომ იგი მგრძნობიარე და ყურადღებიანია ყველაფრის მიმართ, რაც კი მის გარშემო ხდება. დობერმანი ყურადღებას იქცევს თავისი ელეგანტური ბუნებით, ამაყი ტანადობითა და ჭკვიანური გამოხედვით. ყველაზე ხშირად დობერმანს მეძებრად იყენებენ. თუმცა არცთუ იშვიათად გამოიყენება სადარაჯოდაც. ეს ჯიში ლეკვობიდანვე საჭიროებს მეთოდურ აღზრდას და კარგ მოპყრობას.

— **რამდენი ხანია, რაც ჩვენში დობერმანები ჰყავთ?**

— დობერმანების მასიურად შემოყვანა საქართველოში გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და სხვათა შორის, მაშინვე გახდნენ პოპულარულები, რადგან ადვილად შესანახი იყო, თანაც მოკლე ბეწვის გამო ძალიან მოსწონდათ.

— **როგორ უნდა აღვზარდოთ დობერმანი?**

— თუ ამ ძაღლს გაზრდიან ისე, როგორც მას შეეფერება, უძლიერესი ძაღლი იზრდება. თუ არასწორედ გაზარდეს, გამოდის უტვინო, არანორმალური ძაღლი, იმიტომ, რომ ეს არის სასწაულად მოძრავი ცხოველი. დღევანდელ დღეს წმინდა ჯიშის დობერმანები თბილისში გადაშენებამდე არიან მისული, რადგან ამ ძაღლების ოჯახში შენახვამ მათი ფსიქიკის დარღვევა გამოიწვია. არასწორი გამრავლების შედეგად ეს ძაღლები გამოდიან ან ძალიან ჭკვიანები და წყნარები, ხან ლაქუცები, ხანაც ძალიან ავები. გაწონასწორებული თვისებები მათ დაკარგული აქვთ. ავიღოთ გამოფენა, სადაც დობერმანები გამოჰყავთ. არსებობს რამდენიმე კლუბი, სადაც არავინ არ უყურებს გენეტიკას. მხოლოდ შოუსატარებენ და მხოლოდ სილამაზით აფასებენ ძაღლს. საზღვარგარეთ კი ნებისმიერი ძაღლის ჯიში რომ აიღოთ, ჯერ იმ ძაღლის მუშაობას და ხარისხს უყურებენ, შემდეგ კი შეხედულებას. ძაღლი, რომელსაც ფსიქიკა დარღვეული აქვს, არ უნდა გამრავლდეს. როგორ შეიძლება ძაღლის ერთი, მეორე, მესამე თაობა იყოს უსწავლელი, მეოთხე ხომ თავისთავად უსწავლელი და არანორმალური იქნება. უმეტესობას დღეს დობერმანი სილამაზის ან სიავის გამო ჰყავს, სწავლება კი არავის უნდა. ამიტომ ბევრი ვიცი, რომელიც წუწუნებს, ჩემმა ძაღლმა დამკბინა, ძაღლის გამო ოჯახში ადამიანი ვერ მომიყვანია და სხვა უამრავი მაგალითი. ძაღლი, პირველ რიგში, არის ცხოველი, ცხოველი კი რაც მეტ სიმკაცრეში გაიზრდება, უფრო ჭკვიანია. ნათქვამია, სიმწარეში გაზარდე, სიტკბოს დაგანახებსო. ხშირად კი რა ხდება? მოჰყავთ ძაღლი ოჯახში, იწვენენ ლოგინში, ანებივრებენ და ა.შ. ასე არ შეიძლება, ძაღლმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს და თავისი მოვალეობები შესრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლოს.

— **რამდენად მოსახერხებელია დობერმანის ბინაში შენახვა?**

— არა აქვს მნიშვნელობა, ბინაში ოცსანტიმეტრიანი ძაღლი გეყოლება თუ ორმეტრიანი. ძაღლი ძაღლია, ყველა უნდა გაწვრთნა. მე დიდი სიხარულით მივესალმები, თუ პარლამენტი მიიღებს დადგენილებას, რომ ძაღლი, რომელმაც ელემენტარული ბრძანებების შესრულება არ იცის, ქუჩაში არ გამოიყვანონ, თუნდაც პუდელი ან ბალონკა იყოს. წარმოიდგინეთ, მიგყავთ ბავშვი ქუჩაში, უსწავლელმა ძაღლმა შეიძლება დაუყეფოს და შეაშინოს, ან სულაც დაკბინოს. ამაზე საზღვარგარეთ, იცით, რამხელა ჯარიმაა? ჩვენთან კიდევ შეიძლება აქეთ შემოგედავონ და გაგამტყუნონ. ბევრი ოჯახი ვიცი, რომლებმაც ძაღლი სახლიდან გააგდეს ან გააჩუქეს, რადგან არასწორად იყო აღზრდილი.

— **როგორი ხასიათი აქვს დობერმანს?**

— თვითნებური, დამოუკიდებელი ძაღლია. თუ რამე მოსწონს, გააკეთებს, არ აწყობს — არ გააკეთებს. რაღაც ეწყინება, გაიბუტება. პატრონი ძალიან უყვარს. საერთოდ, ვისი შიში და რიდიც აქვს, ის უყვარს ყველაზე მეტად. კლუბის მაგალითზე გეტყვით, ჩვენთან ნებისმიერი ჯიშის ძაღლი შემოჰყავთ... მოიყვანენ ერთხელ, მომვარდება, დამიღრენს, მაგრამ რომ ვაჩვენებ, მასზე მაგარი ვარ, მეორედ მოსვლისას ჩემთან თამაშობს, პატრონს კი უღრენს. მე უფრო მემორჩილება, რადგან ჩემი შიში და რიდი აქვს.

— **დობერმანის ძირითადი მოვალეობა რა არის?**

— როგორც გითხარით, ის სამომსახურებო ძაღლია, თუმცა ჩვენთან სამომსახურებო-სპორტულს ეძახიან. ევროპაში ისინი პოლიციის ძაღლები არიან, კარგად მუშაობენ. ჩვენში კი სპეციალისტების სიმცირის გამო სათანადოდ ვერ იწვრთნება, თორემ ყნოსვითა და ჭკუით იგი არც ერთ ძაღლს არ ჩამოუვარდება.

— **რა ფერის დობერმანი გვხვდება ბუნებაში?**

— არიან ყავისფერი, შავი და ცისფერი დობერმანები. ეს უკანასკნელი უკვე გამოყვანილია. როცა აჯვარებენ შავ და ყავისფერ დობერმანს, გამოდის ვაჩი ძაღლები, თუმცა ხანდახან პიგმენტაცია ვერ ნაწილდება კარგად. მაშინ ღია ფერის ძაღლი გამოდის. სწორედ ასეთი ძაღლების შეჯვარებით გამოიყვანეს ცისფერი დობერმანი.

— **რამდენ ხანს ცოცხლობენ დობერმანები?**

— საშუალოდ 10-დან 12 წლამდე, თუმცა 15 წლამდეც აღწევს.

— **დაბოლოს, როგორ უნდა შევარჩიოთ და აღვზარდოთ დობერმანის ლეკვი?**

— აღზრდა იწყება ერთი თვიდან, როცა დედას მოაშორებენ. ცემა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. საერთოდ ძაღლთან სიმკაცრე უნდა გამოვიჩინოთ, მით უმეტეს, დობერმანთან, რადგან თავისებური ძაღლია. რაც შეეხება ლეკვების არჩევას, გააჩნია, რამდენია დაბადებული, თანაც პატრონზეა დამოკიდებული, როგორ მოეხმარება დედას ლეკვების გაზრდაში. კარგი დობერმანის ლეკვი საშუალოდ სამ კილოგრამ-ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს. საერთოდ, კი ვისაც დობერმანი ჰყავს, ვურჩევ, რომ წესიერად მოეპყრან ძაღლს, სწორად აღზარდონ, რაც მთავარია, ძაღლის საწოლში ჩაწვენა და გატუტუცება საჭირო არ არის.

# ეჭვიანი დორა

ჩვენი რესპონდენტის ელზა ბჟანიას ბავშვობის ოცნება იყო, რომ დობერმანი ჰყოლოდა. დაბადების დღეზე მამამ დობერმანი აჩუქა. „ყოველთვის მინდოდა, რომ დობერმანი მყოლოდა, რადგან მიმაჩნია, რომ ძაღლებს შორის ყველაზე ელეგანტურია“, — ამბობს ელზა. „როცა მამამ დობერმანი მაჩუქა, უკვე ერთი წლის იყო. მას უკვე ერქვა სახელი — დორა, ამიტომ აღარ გადამირქმევია. ძალიან მოუსვენარი და ცელქი იყო, ამასთან, ჭკვიანიც. მე მომავალი დიზაინერი ვარ, ხშირად, როცა ესკიზებს ვხატავდი, გვერდზე მომიჯდებოდა, თათს თათზე გადადებდა, სფინქსივით გაირინდებოდა და ჩემს მუშაობას ისეთი ინტერესით უყურებდა, გეგონებოდა, თვითონაც რაღაცას სწავლობსო“.

როგორც ელზამ გვიამბო, იგი ორიგინალური სამოსითაც კი მოსავდა თავის ძაღლს.

„გენახათ ერთი, ოთხივე ფეხზე წითელბანტიანი ფაჩუჩები რომ ჩავაცვი, რა ისტერიკაში ჩავარდა. ამხელა ძაღლი კაუჩუკის ბურთივით დახტოდა, არიქა, გამხადეთ, ეს საშინელებაო. მას შემდეგ, როცა სიცელქით თავს ძალიან მომაბეზრებდა, ფაჩუჩებით ვაშინებდი“. თურმე დორას ძალიან არ ჰყვარებია, როცა სეირნობისას საყელურით დაჰყავდათ. ამიტომ სანამ არ მოხსნიდნენ, არ ისვენებდა. „ვირივით ჯიუტობდა და ფეხს არ გადადგამდა“. მაინცდამაინც არც ელზას მეგობრებს სწყალობდა ცელქი დორა. „ვერ იტანდა, როცა ჩემი მეგობრები მოდიოდნენ, რადგან ამ დროს სათანადო ყურადღებას ველარ ვაქცევდი. ყურადღების მისაქცევად რას აღარ აკეთებდა. ხან ერთს დაახტებოდა, ხან მეორეს. არც ყავით სავსე ჭიქის მაგიდიდან გადმოგდებაზე იხევდა უკან“.

ამ ცელქ, ჭკვიან დორას თურმე ზოგჯერ ნოსტალგიაც აწვებოდა და იწყენდა. „სახლში დობერმანზე წიგნები მქონდა. ზოგჯერ ჩემი მეგობრები გარეკანზე გამოსულ დობერმანს უჩვენებდნენ დორას. როცა თავის მსგავსს ნახავდა, კუთხეში ჯდებოდა და სევდიანი ხდებოდა. ამიტომ წიგნები დობერმანებზე, დიდ ყუთში შევინახე და კარადაზე შემოვდე.“.

დორა ახლა მოსკოვში ჰყავთ წაყვანილი და პატრონს ერთი სული აქვს, როდის ნახავს მას.

სალომე გოგოხია
მაკა ქობალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტერორისტული კუნძულები

**არსებობს სახელმწიფოები, რომელთათვის დემოკრატია განგრენის ტოლფასია. მათი მართვა მხოლოდ გენერლებს ძალუძთ. სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ინდონეზია, რომელსაც ეს ერთი ხანია, დრო მაგრად „ანჯღრევს“.**



მოლუკური სასაკლაო

1999 წლის სექტემბერში მოლუკის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძულის (რომელიც ინდონეზიის შემადგენლობაშია) მკვიდრმა მუსლიმანმა მგზავრობისას ავტობუსის მძღოლს დაუყვირა — ეი, მონგრეულსიფათიანო, ერთი აქ გამიჩერეო. უბრალოდ, ალალად უყვირა, არც უფიქრია მძღოლის შეურაცხყოფა, რომელიც ქრისტიანი იყო და მოსახლეობის იმ 15%-ს ეკუთვნოდა, რომელიც ამ აღმსარებლობის მიმდევარია. მაგრამ მძღოლი რატომღაც გაბრაზდა, ძრავა ჩააქრო, რკინის კეტს დაავლო ხელი და ჩხუბი გაჩაღდა.

მუშტი-კრივს ელვისუსწრაფესად შეუერთდნენ დანარჩენი მგზავრებიც. ერთ საათში მთელი ქალაქი ჩხუბობდა. ორი დღის შემდეგ კი მთელი არქიპელაგი გრანდიოზულმა შეტაკებამ მოიცვა, მისი დედაქალაქის — ამბონის ჩათვლით. ეს პროცესი, მეტ-ნაკლები სიმძაფრით, დღემდე გრძელდება. შედეგი საგალალოა, ორივე მხარეს მოკლულია 6 ათასზე მეტი კაცი, ნახევარი მილიონი ლტოლვილია, დანგრეულია 34 ათასი სახლი, დამწვარია 208 მეჩეთი და 295 ეკლესია.

პროვინციაში, პრაქტიკულად, აღარ არსებობს მრეწველობა. სამაგიეროდ, ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც კუსტარულ სახელოსნოებში გამალებით აკეთებენ ბრტყელლულიან იარაღებს, ხანჯლებს თუ ცულებს. იყენებენ ყველა ხელთ არსებულ რესურსს. მაგალითად, მეთევზეებში ძალზე პოპულარულია მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ნაღმების ჭერა. რქიან ურჩხულს ხმელეთზე ამოათრევენ და ხერხავენ, რათა სანატრელი ასაფეთქებელი მოიპოვონ. ეს მეტად სახიფათო საქმეა, სამი წლის განმავლობაში ასეთი ნაღმების აფეთქებას დაახლოებით 200 კაცი შეეწირა.

**ინდონეზიაში ყოველ მესამე ბავშვს უნდა მამასავით ტერორისტი გამოვიდეს**

მაინც რამ გაამძვინვარა სხვადასხვა აღმსარებლობის მოლუკელები, რომლებიც წინათ შეხმატკბილებული თუ არ ცხოვრობდნენ, ერთმანეთს მოთმინებით მაინც ეკიდებოდნენ და სხვა რჯულის თანამოქალაქეების არსებობას აღიარებდნენ? უბრალოდ, ჩვეულებრივმა განუკითხაობამ, რომელიც ქვეყანაში აგერ უკვე 5 წელია მეფობს. სწორედ მან გაახსენა მოლუკელ ქრისტიანებს ის, რომ 1950 წელს მათმა პაპებმა და მამებმა ინდონეზიისგან დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოაცხადეს და ლამაზი დროშაც კი შექმნეს. მაგრამ ამას იქით საქმე არ წასულა, რადგან მაშინდელ დიქტატორებს ქვეყანა მაგრად ეჭირათ ხელში.

მას შემდეგ კი, როცა სუჰარტოს დიქტატურა წარსულს ჩაჰბარდა, მკვეთრად გააქტიურდა „მოლუკის დამოუკიდებლობის ფრონტი“. არქიპელაგის ქალაქებსა და სოფლებში აქტივისტებმა თვითაღიარების წლისთავის აღნიშვნა და დროშების გამოფენა დაიწყეს. ამან რადიკალური ისლამისტური მოძრაობა „ლაშქარ ჯიჰადის“ აქტივისტები გააცოფა. ისინი კუნძულ იავაზე იყვნენ დაბანაკებული. იმამების მოწოდებით ათეულათასობით ბოევიკი „ალაჰ აქბარის!“ შეძახილით კატ-



ეროვნული ბიბლიოთეკა




**ინდონეზიის პრეზიდენტ მეგავათი სუკარნოპურტის მმართველობა სამხედროებზეა დამოკიდებული**

ერებსა და ნავებში ჩაჯდა და ერთმორწმუნეების მისაშველებლად მეამბოხე ნაპირისაკენ დაიძრა.

რა თქმა უნდა, ასეთი „თვითრეგულაცია“ ხელს აძლევდა ჯაკარტას, რადგან სეპარატიზმის ჩახშობა ისე, რომ სახაზინო ფული და ტყვია არ დახარჯულა, ძალზე მაცდუნებელი იყო. თუმცა გაეროს უშიშროების საბჭოს აზრით, ეს არცთუ ესთეტიკური გზა გამოდგა. ამიტომაც ინდონეზიის პრეზიდენტმა ვაჰიდმა წესრიგის დასამყარებლად მოლუკზე სამთავრობო ჯარები გაგზავნა.

მაგრამ საქმე უფრო გართულდა. არეულობა დაიწყო ჯაკარტაშიც, სადაც ათასობით წვეროსანი და ხანჯლებით შეიარაღებული ახალგაზრდა პრეზიდენტის სასახლესთან მიიჭრა უკმაყოფილო იმით, რომ სეპარატისტების ამოჟლეტის უფლებას არ აძლევდნენ. ისტერიამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ თვით ვაჰიდს გამოუცხადეს ჯიჰადი.

სამთავრობო ჯარებმა იყოჩაღეს, რადგან, ძირითადად, მუსლიმანებისგან შედგებოდა. ჯარისკაცებმა ბრძოლა გაუჩაღეს ადგილობრივ საპოლიციო ნაწილებს, რომლებიც სეპარატისტებს ემხრობოდნენ. მოკლედ, ისეთი ამბავი ატყდა, რომ ავტობუსის იმ ბედნავს მძღოლს ერჩივნა მონასტერში წასულიყო ცოდვების მოსანანიებლად.

## ხალხთა მამა დიდი ჯუმბოთი

დღევანდელი ინდონეზია სამოთხეა სეპარატისტებისთვის. 13700 კუნძულზე 210 მილიონი კაცი ცხოვრობს, რომლებიც 300 ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება. თითოეულს თავისი ენა და კულტურული თავისებურებები აქვს. მოქალაქეების უმრავლესობა (82%) – ისლამს აღიარებს, მაგრამ არიან ქრისტიანები და ინდუისტები, ბუდისტები, კერპთაყვანისმცემლებიც კი, რომლებიც კუნძულ ახალ გვინეაზე სახლობენ.

და ყველა ამ ხალხს ჯერ კიდევ ინდონეზიელები ჰქვია, თუმცა ბევრი კარგა ხანია ღარაფრად აგდებს დიადი და უძლეველი გენერალ სუკარნოს ხსოვნას. დიახ, გენერალი მართლაც დიადი იყო. მან არა მხოლოდ კოლონიზატორი ჰოლანდიელებისგან მოუპოვა დამოუკიდებლობა ქვეყანას, არამედ ჰქონდა ძველინდური ეპოსის გმირის სახელიც, მაჰაბჰარატა – კარნო, ზედ მიმატებული თავსართით „სუ“ („საუკეთესო“).

აჰმედ სუკარნოს ავტორიტეტი, რომელიც 1945 წელს ინდონეზიის პირველი პრეზიდენტი გახდა, უცილობელი იყო. ეს არა მხოლოდ მისი მოქნილი პოლიტიკის დამსახურება იყო, რომელიც სახელმწიფო დოქტრინის საშუალებით (ნაციონალიზმის, რელიგიისა და სოციალისტური იდეების კონგლომერატი) დანაწევრებული ტომების ერთ ხალხად გაერთიანებას ისახავდა მიზნად, სუკარნოს სხვა, მამაკაცური ღირსებებიც ჰქონდა. 62 წლისა მეშვიდედ დაქორწინდა 23 წლის ქალიშვილზე, რომელმაც ორი შვილი აჩუქა. გენერალს სერიოზულად ადარებდნენ კუნძულ იავას მითიურ გმირს არჯუნას, რომელსაც იაველების საამაყოდ ათასამდე ქალი ჰყავდა.

გაპრეზიდენტებიდან სულ მალე სუკარნო დიქტატორი გახდა და ინდონეზიას ერთპიროვნულად მართავდა. ისედაც „კუდმოჭრილი“ კონსტიტუცია, რომელიც მხოლოდ პრეზიდენტის უფლებებს აღიარებდა, სამი წლის შემდეგ სრულიად მიივიწყა. აკრძალა თვით ოპოზიციური კი არა, პარტიის ავტორიტარული სქემისთვის შეუფერებელი პარტიებიც. ერთპიროვნულად ნიშნავდა მინისტრებს, რამდენიმეჯერ გარეკა პარლამენტი, რადგან მან შეახსენა სუკარნოს, რომ კონსტიტუცია არსებობდა. 1963 წელს იგი უვადო პრეზიდენტად აირჩიეს.

თუმცა სუკარნო ტახტზე არ მომკვდარა, იგი შინაპატიმრობაში გარდაიცვალა, რომელიც 4 წელიწადს გაგრძელდა. მოკვდა ისე, რომ ნაციონალური გმირის სახელის მოპოვებისთვის საჭირო 1000 ლამაზმანის გამოცვლა ვერ მოასწრო.

ამ კოლიზიაში უთუოდ დიდ როლს ასრულებდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელმაც 1964 წელს პენსიაზე გაუშვა სუკარნოს საუკეთესო მეგობარი – ხრუშჩოვი. ინდონეზიის „ღმერთი და მეფე“ გვარიანად შეშინდა, რომ მასაც სწორედ ასე მოექცეოდნენ თავისი გენერლები და მაშინვე ჩამოაყალიბა „წითელი ასეული“, რომელშიც მისი ერთგული ახალგაზრდა ოფიცრები შედიოდნენ.

1965 წელს „წითელმა ასეულმა“ გენერალური შტაბის ნახევარი ამოწყვიტა. გადარჩენილმა გენერლებმა მყისიერად აუღეს ალღო სიტუაციას და ქვეყანაში წარმოუდგენელი მასშტაბის სასაკლაო მოაწყვეს, კომუნისტებთან ბრძოლის დევიზით რომ მიმდინარეობდა და რომლებმაც ვითომ სახელმწიფო გადატრიალება სცადეს (კიდევ კარგი, ადგილობრივი რაიხსტაგის დაწვაც რომ არ დააბრალეს). ოფიციალური მონაცემებით, ერთ წელიწადში კომუნისტური პარტიის 500 ათასი წევრი მოკლეს. რეალურად კი ეს ციფრი უნდა გაორმაგდეს. ამასთან, რაკი ღმერთების მოკვლა არ შეიძლება, ერთი წლის შემდეგ სუკარნო მხოლოდ ჩამოაშორეს ხელისუფლებას და მის ერთ-ერთ მდიდრულ სასახლეში გამოკეტეს.

ასეთი მხეცობის არსი კალაშნიკოვის ავტომატის კონსტრუქციასავით მარტივია – ინდონეზიის გენერალიტეტმა ამ ხოცვაჟლეტით დიდი ხნით გაამეფა პოტენციური მეამბოხეების გულებში შიში.

## დიდი ოჯახის თავკაცი

სუკარნო, რომელმაც მაინც შეძლო კუნძულებზე სოციალიზმის ინდონეზიურად აშენება, მსგავსგვარიანმა გენერალმა სუჰარტომ შეცვალა. მან კაპიტალიზმის შენება დაიწყო... და კვლავ ინდონეზიურად.

სუჰარტო სასტიკად ახშობდა ყველა მისთვის არასასურველ გამოვლინებას. მაგალითად, 1975 წელს, მიუხედავად გაეროს უშიშროების საბჭოს პროტესტისა, პორტუგალიური კოლონია აღმოსავლეთ ტიმორი დაიკავა. ინდონეზიის ჯარებმა პროვინციის ყოველი მეოთხე მცხოვრები მოსპო, მოხუცებისა და ბავშვების ჩათვლით.... წინააღმდეგობა რომ არ გაეწიათ(!). ბევრი სისხლი დაიღვარა სეპარატისტების მოსათვინიერებლადაც სახელმწიფოს სხვადასხვა კუნძულზე.

მოუხედავად ასეთ „ონავრობისა", სუჰარტომ ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავალი 60-დან 1100 დოლარამდე გაზარდა, რაც ინდონეზიელებისთვის სამოქალაქო უფლებების უქონლობის სამაგიერო ძალზე კარგი კომპენსაცია იყო. ასეთი სწრაფი ზრდა უცხოური კაპიტალის დამსახურება იყო — აშშ-ისა და ევროპის ბანკები სიამოვნებით აბანდებდნენ ფულს ინდონეზიის ეკონომიკაში. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სუჰარტო არა კონსტიტუციის, არამედ უცხოური კაპიტალის დაცვის მყარი გარანტი იყო. ...რაც, ისევ და ისევ, სხვასთან ერთად, ინდონეზიური „პერესტროიკის" მამის ქალთა სქესისადმი დაუოკებელი ლტოლვით აიხსნებოდა. გასაოცარი სისწრაფით გამრავლდა სუჰარტო — მას ექვსი ვაჟი და ქალიშვილი ჰყავდა, შექმნა საოჯახო კლანი, რომელშიც შედიოდნენ მისი ცოლი, ძმები და დები, რძლები და სიძეები, ქვისლები და ცოლისდები. სუჰარტოს კლანს ეკუთვნოდა და დღემდე ეკუთვნის ბანკები, საბადოები, ქარხნები, ფლოტილიები, სასტუმროები და სათამაშო სახლები, სულ 60 მლრდ დოლარის ღირებულების ქონება.

იმას კი, რაც არ ეკუთვნოდა, მკაცრად აკონტროლებდა. ამიტომაც უცხოური ინვესტიციების დაბრუნების გარანტია ასპროცენტიანი იყო. ყველაფერი შესანიშნავად აეწყო — მდიდრები მდიდრდებოდნენ, მაგრამ არც ღარიბებს სწყვეტდნენ გულს.

თუმცა ავტორიტარიზმი სამუდამო არ არის. ინდონეზიელების კეთილდღეობის ამაღლებით სუჰარტომ თავისი მესაფლავეები გამოზარდა. გაძლიერდა საშუალო ფენა, რომელსაც არ სურდა შერიგებოდა ქვეყანაში გამეფებულ პოლიტიკურ განუკითხაობას. საშუალო კლასმა, რომელსაც მავნებელი უცხოური საგაზეთო პუბლიკაციებით ჰქონდა თავი გამოტენილი, პატიოსანი არჩევნები მოისურვა; თავისთვის სასარგებლო კანონები, კონტრაქტების, ლიცენზიებისა და კრედიტების (რომლებიც ჩვეულებრივ სუჰარტოს მცირერიცხოვან არისტოკრატიას ხვდებოდა წილად) სამართლიანად გაცემა მოინდომა. და რაც არცთუ უმნიშვნელოა, ახალგაზრდა ინდონეზიელ ბიზნესმენებს უკვე აღარ ახსოვდათ 60-იანი წლების სისხლიანი შეტაკებები.

ჭექა-ქუხილმა 1998 წელს იმძლავრა. აზიის რეგიონში სასტიკი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო. სუჰარტო, რომელიც 32-წლიანი ერთპიროვნული მმართველობის განმავლობაში გვარიანად დაუძლურებულიყო ფიზიკურადაც და ინტელექტუალურადაც, ალბათ, მოახერხებდა წყლიდან მშრალად გამოსვლას, რომ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელმაც ინდონეზიას 40-მილიარდიანი ფინანსური დახმარება გაუწია და ამიტომ თამამად კარნახობდა, რა და როგორი თანამიმდევრობით გაეკეთებინა პრეზიდენტს. მაგრამ დასავლურმა მეცნიერებამ ვერ არგო აღმოსავლურ დესპოტიზმს. სუჰარტო იძულებული შეიქნა, გაეშვა ვალუტა, ენერგეტიკასა და ტრანსპორტს სუბსიდიები შეუწყვიტა. ბენზინის ფასი 70%-ით ავარდა, ტრანსპორტისა კი 60-ით.

**სწორედ აჰმედ სუკარნოს დამსახურებაა, რომ ინდონეზია 300 ცალკეულ სახელმწიფოდ არ დაიშალა**

და ცულებითა და ხმლებით შეიარაღებული განრისხებული ინდონეზიელები პრეზიდენტის სასახლეს მიაწყდნენ. დაიწყეს სუჰარტოს ჰიტლერისულვაშიანი პორტრეტების დაწვა. ტირანი იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

## ღვთისმოსავი მეოცნებე

1999 წელს 80 წლის, ნაქურდალით გამძღარი დესპოტის ნაცვლად 60 წლის ზომიერი პოლიტიკოსი, მუსლიმანური პარტია „გამოღვიძების" ლიდერი, აბდურაჰმან ვაჰიდი აირჩიეს.

პრეზიდენტი, პრაქტიკულად, ბრმა იყო და გულიანად ეძინა სამთავრობო და საპარლამენტო სხდომებზე. მისთვის საგანგებოდაც კი ჰყავდათ მიჩენილი კაცი, სიზმრების ამხსნელი, რომელიც კვალიფიციურ რჩევებს აძლევდა პრეზიდენტს, როგორ მოქცეულიყო ამა თუ იმ შემთხვევაში. ვაჰიდს ყველა ინდონეზიელის ძმური სიყვარულით გაერთიანება და სუჰარტოს კლანის სასამართლოს წინაშე წარდგენა სურდა. ექსპრეზიდენტს ქვეყნის ხაზინიდან 25 მლრდ დოლარი ჰქონდა მიტაცებული — ის ამაში აბსოლუტური რეკორდსმენი აღმოჩნდა.

თუმცა ორივე ეს სტრატეგია ჩავლავდა. სუჰარტოს გასამართლება არ შეიძლება, რადგან ინსულტის შემდეგ მან მეტყველების უნარი დაკარგა. მისი ოჯახისთვის ბანკებისა და გემების წართმევა ვერ ხერხდებოდა. ხაზინიდან მოპარული ფულის ანგარიშების დაყადაღებაც ძნელი აღმოჩნდა, რადგან ექსდიქტატორმა მარჯვედ წაშალა ყველა კვალი. განტევების ვაცი მხოლოდ სუჰარტოს 37 წლის ვაჟი, ტომი შეიქნა. ის 15 წლით



ჩასვეს ციხეში ინდონეზიის უზენაესი სასამართლოს წევრის მკვლელობაში მონაწილეობისათვის და ისიც კარგა ხნის შემდეგ. ორი წლის განმავლობაში პარპაშებდა ტომი ჯაკარტაში და აფეთქებებსა და ხანძრებს აწყობდა.

რაც შეეხება ერის დამშვიდებას, ინდონეზიელების უმრავლესობას იმისთვის არ აურჩევია პრეზიდენტი, რომ საყოველთაო ძმური სიყვარულისთვის საკუთარი ემოციები ჩაეხშო და კუნძულებზე ისევ აირია ყველაფერი.

პირველად აღმოსავლეთ ტიმორის მოქალაქეებმა გაიღვიძეს და მაშინვე ჩაატარეს რეფერენდუმი ინდონეზიისგან გამოყოფაზე. არმიისა და პოლიციის დანაშაულებრივი უნებისყოფობის გამო კუნძულზე თვალის დახამხამებაში გაჩნდნენ მუსლიმანური თავდაცვის შეიარაღებული რაზმები, რომლებმაც ერთ კვირაში 2 ათასი კაცი მოკლეს, დაანგრიეს ყველაფერი, რისი დანგრევაც შეიძლებოდა და პროვინცია დასავლეთ ტიმორში ძალით გაიყვანეს 250 ათასი კაცი. საბედნიეროდ, გაერომ ქვეყანაში 10 ათასი მშვიდობისმყოფელი მიავლინა. მათ მოახერხეს აღმოსავლეთ ტიმორელების სავსებით გა-



ეროვნული ბიბლიოთეკა





ნადგურებისგან გადარჩენა. დადგა ნანატრი ჰეფი-ენდი: ჯაკარტამ უარი თქვა უკანონოდ დაკავებულ პორტუგალიურ კოლონიაზე და გასულ წელს რუკაზე გაჩნდა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო — ტიმორ ლოროსაე.

მეზობლების გამარჯვებით შთაგონებული მოლუკის სხვა კუნძულელებიც აჯანყდნენ. მათ მიჰბაძა საკმაოდ დიდმა კუნძულმა სულავესმაც, სადაც ადგილობრივ ქრისტიანებს დამოუკიდებელი ცხოვრება სურდათ. ხელი მოჰკიდეს იარაღს — ძირითადად, ტრადიციულ მშვილდ-ისარს, შუბებსა და დანებს — კერპთაყვანისმცემლებმაც, რომლებიც კუნძულ ახალი გვინეის ნახევარზე არიან დასახლებული. მათი მისწრაფება სავსებით გასაგებია — იმავე კუნძულზე მათი მოძმე პაპუასები დამოუკიდებელ სახელმწიფო პაპუა-ახალ გვინეაში ცხოვრობენ. ისინი კი იძულებული არიან ჯაკარტას დაემორჩილონ. ამასთან, ხელისუფლება მათ აბუჩად იგდებს. თუნდაც პროვინციის დასახელება — ირიან-ჯაია რად ღირს, სადაც მეორე ნაწილი „შიშველს" ნიშნავს, უფრო უარესი, კონკიაულარუნას.

ამ ხალხს, რომელიც 1961 წელს დაუკითხავად შეუერთეს ინდონეზიას, თავის სახელმწიფოში ცხოვრება სურს. უკვე არსებობს დასახელებაც — დასავლეთი პაპუა, დროშაც და პაპუასური კონგრესიც. პაპუასებმა ჯერ კიდევ ვაჰიდის დროს დაიწყეს ჯაკარტის ხელისუფლების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა და ისევ, ხელისუფლების დანაშაულებრივი დუმილის წყალობით კუნძულს ისლამისტი მკვლელები შეესივნენ. თუმცა, პაპუასები სულაც არ ჩამოუვარდებიან მათ სისასტიკით. როცა კუნძულს მოლუკელი ლტოლვილებით სავსე გემი მიადგა, ზუსტად მათნაირებმა, სეპარატისტმა პაპუასებმა საბრალოები მძევლად აიყვანეს და ადმინისტრაციასთან შელავათებზე ვაჭრობა გაჩაღეს. ჯაკარტამ განაცხადა, დამნაშავეებთან მოლაპარაკებას არ ვიკადრებო. მაშინ პაპუასებმა დღეში თითო-თითო მძევლის მოკვლა დაიწყეს. როცა სამთავრობო ჯარებმა წესრიგის დამყარება სცადეს, პაპუასებმა ერთბაშად 200 კაცი ამოწყვიტეს, ბავშვების, მოხუცებისა და ქალების ჩათვლით.

დასავლეთშიც დაიწყო მღელვარება — კერძოდ, პროვინცია აჩეში, სადაც მოსახლეობა ისლამური სოციალიზმის აშენებას აპირებს. ისეთის, როგორიც ლიბიაში, პოლკოვნიკ კადაფის აქვს. მათაც შეიძლება გავუგოთ — ისინი ჩვეულებრივი მუსლიმანები არიან და მე-19 საუკუნის დამლევს ჰოლანდიურ კოლონიას შეუერთეს. ამიტომაც მიაჩნიათ თავი განსაკუთრებულ ხალხად. დამოუკიდებლობისთვის თვით სუჰარტოსაც ებრძოდნენ. ახლა ინდონეზიის არმიას ებრძვიან და არც მტერს ინდობენ და არც საკუთარ თავს.

და კიდევ ერთი საინტერესო მომენტი — რადგან ქვეყანაში ცოტა მიწაა, ხალხი კი ბევრი, სუჰარტომ მცხოვრებთა ერთი ნაწილი შედარებით თავისუფალ მიწებზე გადაასახლა. დემოკრატიის ერა რომ დაიწყო, მკვიდრმა მოსახლეობამ უცხოების ცეცხლითა და მახვილით გაძევებას მიჰყო ხელი. დაიწყო სისხლიანი ტომთაშორისი გარჩევები. 1998 წელს კუნძულ ბორნეოს მკვიდრმა მოსახლეობამ, დაიაკებმა, 2 ათასი იაველი და მადურელი ამოწყვიტეს. გასულ წელს სისხლის ღვრამ უფრო დიდი ძალით იფეთქა და ახალმოსახლეებიც იძულებული არიან წინაპრების მიწას დაუბრუნდნენ.

ებრალება თუ არა ინდონეზიის ხელისუფლებას ეს ხალხი? სრულიადაც არა. აი, რით არის შეშფოთებული პარლამენტის სპიკერი, როცა ბორნეოს სასაკლაოზე ლაპარაკობს: „თუ კონფლიქტის გაშუქება პრესაში ასეთივე მანერით გაგრძელდება, ეს უცხოელებს დააფრთხობს და თავს აარიდებენ ინდონეზიაში ჩამოსვლას. თუ ეს მოხდა და კონფლიქტებმა უცხოელი ინვესტორები დააშინა, მაშინ ჩვენ, ინდონეზიელები, როგორღა შევძლებთ ქვეყნის განვითარებას?"

## ხალხთა მამის ქალიშვილი

ასე რომ, ჯაკარტის მმართველმა ვაჰიდმა მოსახლეობის ყველა ფენას გაუცრუა იმედი. თვით ორგანიზაცია „ლაშქარ ჯიჰადის" ისლამისტებსაც, რომელთაც პრეზიდენტი არც ისე ათამამებდა მეამბოხე ტერიტორიებზე პარპაშით, და ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც, რომელთა ცხოვრების დონე სუკარნოს დროინდელ სოციალიზმის დონეს უახლოვდება.

ვაჰიდის გადაყენების საბაბიც მოიძებნა. გაირკვა, რომ ვაჰიდის პირადმა მასაჟისტმა სასურსათო ფონდიდან 4 მლნ დოლარი მიიტაცა. თავად პრეზიდენტმა კი 2 მილიონი, რომელიც პოლკოვნიკმა კადაფიმ ჰუმანიტარული დახმარების სახით გადასცა პროვინცია აჩეს. ჯაკარტას სიმართლისმაძიებელ მცხოვრებთ გული მოეცათ და პრეზიდენტის სასახლეზე მიიტანეს იერიში. ისევ დაწვეს ჰიტლერისულვაშიანი მისი პორტრეტები. პარლამენტმა ვაჰიდს იმპიჩმენტი გამოუცხადა, ვაჰიდმა პარლამენტს — წმინდა ომი.

მაგრამ პარლამენტი, რომელიც ხალხის სამართლიან რისხვას ეყრდნობოდა, უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ვაჰიდი გადაყენებულია და მის საქმეს ახლა პროკურატურა იკვლევს. სხვა ბრალდებებთან ერთად მას სუჰარტოს ვაჟი ტომიც ადებს ხელს — ამტკიცებს, ვაჰიდს 4 მილიონი გადავუხადე იმაში, რომ სასამართლო დევნისგან გავეთავისუფლებინეო.

გასულ წელს ქვეყნის პრეზიდენტი გახდა მეგავატი სუკარნოპუტრი, ინდონეზიის ყოფილი კერპის, სუკარნოს ქალიშვილი, მისი მესამე ცოლის ნაშიერი. დღევანდელი შეშლილი ინდონეზიისთვის ეს ქალი საკმაოდ უცნაური ფიგურაა. უნივერსიტეტში აგრონომობის შესწავლა არ დაუმთავრებია. 1970 წელს ცოლად გაჰყვა საჰაერო ძალების ლეიტენანტს, რომელიც მალე დაიღუპა. ერთი წელიწადი ეგვიპტელ ბიზნესმენთან ცხოვრობდა სამოქალაქო ქორწინებაში. მერე ცოლად გაჰყვა ინდონეზიელ ბიზნესმენს. ზრდიდა სამ შვილს. შესანიშნავი მზარეული იყო და ოჯახს კარგად უვლიდა. ერთი სიტყვით, კარგი დიასახლისი იყო. მაგრამ 80-იანი წლების დამლევს მამის თაყვანისმცემლების ვედრება ყურად იღო და დემოკრატიულ პარტიას ჩაუდგა სათავეში. მშვიდია, თავდაჭერილი, არ უყვარს მიტინგები, სხდომებზე დუმილს არჩევს. სერიოზულ პოლიტიკურ სვლებს არ აკეთებს, სუჰარტოსდროინდელი სამხედროების რჩევებს ითვალისწინებს.

მაგრამ ხალხს ის უყვარს, მეგავატიში ისინი მამამისისეულ სიბრძნეს ხედავენ. თუმცა, თავდაპირველად ვაჰიდიც ასე უყვარდათ. მაგრამ ხალხი ისაა, ვისითაც მარჯვედ მანიპულირებენ პოლიტიკოსები. პოლიტიკოსებმაც ნელ-ნელა მისი დისკრედიტება დაიწყეს. პროკურატურამ სუკარნოპუტრის პარლამენტის წევრებისთვის ქრთამის მიცემაში (ვაჰიდის გადაყენების მიზნით) მონაწილეობის დადგენა დაიწყო. ამ პროცესში სუკარნოპუტრის დაც ჩაითრიეს — რაჰმავატი, რომელიც სათავეში ჩაუდგა საპრეზიდენტო ოპოზიციას.

სანამ ეს გველების ბუდე ნელ-ნელა ძალას იკრებს, ქვეყანაში პრინციპულად არაფერი იცვლება. ცხოვრება სწრაფად ძვირდება, სეპარატისტები ყალყზე დგანან. ისლამისტი ექსტრემისტები საერთაშორისო არენაზე გამოდიან და უდანაშაულო უცხოელ ტურისტებს ხოცავენ, ისევე როგორც ეს არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა კუნძულ ბალიზე, სადაც თითქმის 300 კაცი დაიღუპა.

ერთი სიტყვით, სრული „ლაშქარ ჯიჰადია"!

ლია შერვაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მსოფლიო კორპორაციაზე მეოცნებე გამომგონებელი თავის ყველაზე პოპულარულ გამოგონებას არ სწყალობდა

**2005 წლის იანვარში ჰიგიენური საშუალებების მწარმოებელმა უმსხვილესმა ფირმამ Procter & Gamble-მა საპარსი საშუალებების სფეროში მსოფლიო ლიდერი კომპანია, Gillette შეისყიდა, რაც ასტრონომიული თანხა 57 მლნ დოლარი დაუჯდა.**

კაცობრიობისგან გიგანტური კორპორაციის შექმნაზე მეოცნებე უბრალო ფოსტალიონის ვაჟმა კინგ ჯილეტმა, რომელიც ჩვენი პლანეტის სრულყოფაზე ზრუნავდა, უსაფრთხო საპარსი საშუალება ე.წ. ,,ბეწვაპასნი ბრიტვა“ სრულიად შემთხვევით გამოიგონა. გამოგონების ხარჯზე კინგმა მილიონები მოიპოვა, ამ მილიონების დაბანდება კი, არც მეტი და არც ნაკლები, თავისი უტოპიური მიზნების განხორციელებაში მოისურვა.

კინგ კემპ ჯილეტი (KING CAMP GILLETTE) 1855 წელს 5 იანვარს პატარა ჩრდილოამერიკულ ქალაქში, ფონ-დიულაში დაიბადა, სადაც მისი ოჯახის ცხოვრება ძალზედ წყნარად და დუნედ მიედინებოდა. მამამისს, უბრალო ფოსტალიონს არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ თავისი მცირე ანაზღაურებით ოჯახის ნორმალური არსებობა უზრუნველეყო. ამიტომაც ოჯახი მალე შეერთებული შტატების ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ ჩიკაგოში გადასახლდა. აქ კინგის მამამ სახელოსნო გახსნა, სადაც საკერავი მანქანების შეკეთება დაიწყო. მალე თავისი რამდენიმე პატარა გამოგონებაც დააპატენტა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მოულოდნელად 1871 წლის მასშტაბურმა ხანძარმა, რომელმაც თითქმის მთელი ჩიკაგო გადაწვა, ჯილეტის ოჯახის საწარმოც იმსხვერპლა. ამ დროს კინგი ყმაწვილი იყო, გალატაკებულ ოჯახს კი მისი განათლების საკითხის მოგვარება აღარ შეეძლო. სკოლის დამთავრებისთანავე მან სარეკლამო აგენტად დაიწყო მუშაობა. შემდეგ სხვადასხვა საოჯახო წვრილმანით ვაჭრობდა. სწორედ ამ დროს თომას ედისონმა ნაციონალური გმირის სახელი მოიპოვა, მან თავისი გამოგონების პატენტების გაყიდვით დიდძალი ფული დააგროვა. ედისონს მალევე გამოუჩნდნენ მიმბაძველები და გამომგონებლობა თითქმის მანიად იქცა. ამ მანიაკალური სენით შეპყრობილ ადამიანთა რიცხვს კინგ ჯილეტიც ეკუთვნოდა. 1879 წელს მან წყლის ონკანის საკუთარი მოდელი, 1889-ში კი ახალი სახის ელექტროსადენები დააპატენტა. მაგრამ ამას მისთვის ფული არ მოუტანია. ოჯახის სიდუხჭირეს კინგის დედამ — ფენი ლამისა კემპმა მოუღო ბოლო. მთელი ცხოვრების განმავლობაში იგი ეგზოტიკური კერძების რეცეპტების შეგროვებით იყო გატაცებული, რომლებიც შემდეგ წიგნად გამოსცა. რეცეპტების ამ კრებულმა მყისიერად მოიპოვა საერთო აღიარება და არაერთგზის გამოიცა კიდეც. 1891 წელს ჯილეტი უზრუნველყოფილ მშობლებს ჩიკაგოში ტოვებს და ბედის საცდელად ბოსტონში მიემგზავრება, სადაც კომპანია Crawn Cork & Seal-ში მოეწყო სამუშაოდ. ფირმის მეპატრონე უილიამ პეინტერიც გამომგონებელი იყო, მან კანალიზაციის საწმენდი საშუალება და ბოთლის, რეზინისძირიანი მეტალის სახუფი გამოიგონა, რითაც ურიგო თანხა არ უშოვია. ჯილეტის კარიერა წარმატებული იყო. მალე პეინტერი მისით დაინტერესდა. ხშირად ოჯახურ ვახშამზე იწვევდა სახლში, სადაც ერთად იჭყლეტდნენ ტვინს იმაზე, თუ რის გაუმჯობესება შეიძლებოდა. მალე კინგი გამომგონებლურმა ,,ცხელებამ“ შეიპყრო.

ერთხელ, როდესაც კინგი ფანჯრიდან იყურებოდა, გარეთ კი კოკისპირულ წვიმაში მოხვედრილი ორი ეტლი სიჩქარის გამო ერთმანეთს ხელს უშლიდა გავლაში და გზასაც არ თმობდნენ, ჯილეტი მიხვდა, რომ ყველა გლობალური პრობლემის მიზეზი არაეფექტურ მართვაში მდგომარეობს. ამ იდეამ იგი ისე შეიპყრო, რომ 1894 წელს გამოსცა წიგნი ,,კაცობრიობის მომავალი“, რომელშიც ერთი კორპორაციის შესაქმნელად მსოფლიოს ინტეგრაციის ეტაპობრივ გეგმას აყალიბებდა. მისი აზრით, ქვეყნის მთელ მოსახლეობას (იმჟამად 60 მლნ



„ჟილეტი“ სპეციალურ, ოქროს საპარსებსაც აკეთებდა



პატენტზე გამოსახული პირველი უსაფრთხო სამართებელი




„ჯილეტმა“ თავიდანვე დიდი მნიშვნელობა მიანიჭა რეკლამას...




...და დღეს ამ ფირმის სარეკლამო კამპანია ერთ-ერთ საუკეთესოდ არის მიჩნეული.

ადამიანი) და ყველა საწარმოს ერთ დიდ ქალაქში — მეტროპოლისში უნდა მოეყარა თავი. ეს უტოპია უნდა ემართა United company-ს (დირექტორთა საბჭოს), რომლის აქციონერიც ყველა მოქალაქე იქნებოდა. ამ გზით საზოგადოებაში აღმოიფხვრებოდა სოციალური უთანასწორობა, არ იარსებებდა შური, ბოროტება და ეგოიზმი, შრომა კი ადამიანთათვის საკუთარი თავის სრულყოფის საშუალებად გადაიქცეოდა. ეს წიგნი მყისვე აიტაცეს უტოპიურმა და სოციალისტურმა გაზეთებმა. აღფრთოვანებული მკითხველები წერილებს წერდნენ ავტორს, ზოგი მათგანი ფულსაც კი აგზავნიდა მსოფლიო კორპორაციის აქციების შესაძენად.

ჯილეტმა ამ კორპორაციის მართვა ამერიკის მაშინდელ პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს შესთავაზა, რომელსაც ანაზღაურებად მილიონ დოლარს უნიშნავდა. მაგრამ რუზველტმა უარი განაცხადა, უარი განაცხადა მეორე კანდიდატმა — ჰენრი ფორდმაც. წიგნმა ჯილეტს პოპულარობა მოუტანა, მაგრამ არც მილიონები და არც აღიარება არ მოუპოვებია.

ერთხელ, როდესაც კინგმა წვერის გაპარსვა მოისურვა, აღმოაჩინა, რომ სამართებელი დაბლაგვებული იყო, მისი გალესვა კი მხოლოდ საპარიკმახეროში ან სახელოსნოში შეიძლებოდა. ჩვენ არ ვიცით, გაიპარსა თუ არა წვერი იმ დღეს ჯილეტმა, მაგრამ ნამდვილად ვიცით, რომ სწორედ იმ დღეს გამოიგონა ერთჯერადი უსაფრთხო საპარსი საშუალება. მანამდე სამართებელი ლამის ქვის ხანიდან არ შეცვლილიყო. ეს იყო პატარა მჭრელი დანა, რომელიც ცივ იარაღს უფრო წააგავდა, ვიდრე საპარს საშუალებას. ჯილეტმა კი სრულიად სხვა კონსტრუქცია შესთავაზა მამაკაცებს.

1901 წლის 28 სექტემბერს შეიქმნა ფირმა American safety Razor Company (ამერიკული უსაფრთხო საჭრისების კომპანია). მისი დამფუძნებლები იყვნენ ჯილეტი, მისი მეგობარი ნიკერსონი და კიდევ ორი ნათესავი. ჯილეტმა მიატოვა პეინტერის ფირმა და მთელი ენთუზიაზმით შეუდგა თავისი პროექტის განხორციელებას. კინგმა მთელი თავისი დანაზოგი 25.000 დოლარი დახარჯა. წარმოება კი ჯერ არ იყო დაწყებული, კომპანიას ამისთვის ფული ესაჭიროებოდა. პარტნიორებმა გადაწყვიტეს, კომპანია 500.000 დოლარად შეეფასებინათ, აქციების 40% კი გაეყიდათ. ასეც მოიქცნენ. მაგრამ ამან მათ მხოლოდ 5.000 დოლარი მოუტანა. რა თქმა უნდა, ამ თანხით შეუძლებელი იყო წარმოების დაწყება. ჯილეტმა ინვესტორების ძიება დაიწყო და 1902 წელს ლუდის ქარხნის მფლობელი ჯონ ჯოისი დაითანხმა, საქმეში 60.000 დოლარი ჩაედო. საპარსის წარმოება დაიწყო, ოღონდ შეცვლილი სახელწოდებით Gillette Razor. მაგრამ წარმატება არსად ჩანდა. წარმოებული საქონლიდან მხოლოდ 51 საპარსი დაზგა და 168 საპარსის პირი გაიყიდა. საქმე ვერც რეკლამამ გამოასწორა და ვერც ჯილეტის ელეგანტურმა სახემ კოლოფის ზედაპირზე.

კინგი გალატაკდა. თითქმის შიმშილიც კი დაიწყო. 1903 წელს მან მიატოვა თავისი კომპანია და Crawn Cork & Seal-ში დაბრუნდა. მაგრამ მალე მოულოდნელობებით აღსავსე კინგ ჯილეტის ცხოვრებას კიდევ ერთი სასიხარულო მოულოდნელობა ეწვია. 1904 წელს უსაფრთხო საპარსზე მოთხოვნა უეცრად გაიზარდა. რამდენიმე თვეში 9.884 საპარსი და 120.648 საპარსის პირი გაიყიდა. ჯილეტი ფირმას დაუბრუნდა. 1915 წელს მან უკვე 450.000 საპარსი და 70 მლნ პირი გაყიდა. 1920 წელს კი კონტინენტებიდან მხოლოდ ორზე — ანტარქტიდასა და ავსტრალიაში არ ჰყავდა Gillette-ს თავისი წარმომადგენლობა. ჯილეტი გამდიდრდა, მაგრამ ამხელა წარმატებამაც ვერ დაუთრგუნა მსოფლიოს შეცვლის სურვილი. 1908 წელს გამოვიდა მისი მეორე წიგნი „მსოფლიო კორპორაცია“, რომელიც პირველი წიგნის გაგრძელება იყო. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კინგი მიხვდა, რომ პოლიტიკური კარიერის დაწყება უკვე გვიან იყო და თავის ჩანაფიქრზე ხელი აიღო. თუმცა წერა არ შეუწყვეტია. მან გაყიდა Gillette-ის ყველა აქცია, რომელიც ეკუთვნოდა, იყიდა ვილა კალიფორნიაში და მეცნიერულ მუშაობაში ჩაეფლო. დაიწყო მესამე უტოპიის წერა. ეს შრომა, რომელსაც „სახალხო კორპორაცია“ ეწოდება, 1924 წელს გამოვიდა. კინგი 1932 წელს გარდაიცვალა. იგი ცხოვრების ბოლომდე განიცდიდა, რომ სამყაროს საუკეთესო მომავალს კაცობრიობამ უსაფრთხო საპარსი საშუალება ამჯობინა, რომელსაც თავად „წვრილმანთაგან უმთავრესს“ უწოდებდა.

Gillette Company დღემდე საპარსი საშუალებების უმსხვილესი მწარმოებელი ფირმაა. კომპანია ფლობს ისეთ ცნობილ სავაჭრო ნიშნებს, როგორიცაა ბრაუნი, დურასელი, პარკერი და ვატემანი.

ანა ფალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა





# დიდი წყურვილი





***1919 წელს ამერიკაში პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ჯარისკაცები დაბრუნდნენ. ევროპულ ომში ჩაბმული ქვეყანა, რომელსაც კაცმა რომ თქვას, ეს ომი ფეხებზე ეკიდა, ამაყად და დაუღალავად იჩემებდა გამარჯვებას „დიდ ომში“. ქვეყანა, სადაც პურიტანული მორალი უცნაურად შერწყმოდა ველურ ნაციონალიზმს, მათ მისაღებად მზად არ აღმოჩნდა.***

## პირველი მსოფლიო ომის შვილები

აღტკინებული ბრბო აღტაცებული ღრიალით ეგებებოდა გმირებს. „ბიჭებო ჩვენ ვამაყობთ თქვენით“... როცა აღტაცება ჩაქრა და გმირი ბიჭები სამსახურის საძებნელად წავიდ-წამოვიდნენ, მათ უსიამოვნო სიურპრიზი დახვდათ — მაპატიე, ძმაო, შენი ადგილი დაკავებულია. მესმის, შენ ომში იყავი, მაგრამ მე რა მექნა? შენ ნაცვლად ვინც მუშაობს, იმას ხომ არ გავაგდებ?..

„დაკეტილია“, „სამუშაო არ გვაქვს“, „მოთხოვნილება არ არის“, „გთხოვთ, სამსახურის შესახებ ნუ მოგვმართავთ“, — აზრი ყველგან ერთი იყო — „ყველას დიდი მადლობა, ყველა თავისუფალი ხართ“.

მეოცე საუკუნის დასაწყისმა ამერიკელებს ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია მოუტანა. ძველებური სოფლური ამერიკა წარსულს ბარდებოდა თავისი ღირსებით, ნამუსითა და პრინციპებით. მის ნაცვლად მოდიოდა ახალი ამერიკა მექანიზებული, მზარდი ქალაქებით, ტექნიკური პროგრესით, რომელშიც ათქვეფილი ადამიანი იბნეოდა და მარტოობის გრძნობა ეუფლებოდა.

ნაციამ ძველი ღირებულებების დაბრუნება მოინდომა. ეს ნოსტალგიის თავისებური ფორმა იყო — მოინდომა ადამიანის ხასიათის საუკეთესო თვისებების დაბრუნება, რომლებიც მანქანების საუკუნის დადგომისთანავე გაქრა.

ინდუსტრიალიზაცია და ტექნიკური პროგრესის ზრდა, აგრარული ცივილიზაციის ფასეულობათა დაკარგვის გამო ამერიკელებს, ერთი მხრივ, სინანულს ჰგვრიდა. მეორე მხრივ, ამერიკის ახალ რელიგიად ნაციონალიზმი მკვიდრდებოდა, ამერიკა ამაყობდა კონცეფციით WAS — თეთრი-ანგლოსაქსი-პროტესტანტი. როგორც მაშინ

ამბობდნენ, მატარებლის ვაგონიდან ნებისმიერ რკინიგზაზე კენჭი რომ გადაგეგდოთ, ფუნდამენტალისტს მოხვდებოდა.

უსახურ ქალაქურ ცხოვრებას და ემიგრანტების მოზღვავებას ნაკლებად ახლდა სიხარული. ამერიკელს ძველი ღირებულებები სწყუროდა, რომლის პოვნასაც იგი პატრიოტიზმსა და ასპროცენტიან „ამერიკანიზმში“ ხედავდა. უცებ გააქტიურდა კუ-კლუქს-კლანი, რომელიც რიგით ამერიკელს, ყოველივე ზემოთქმულს ჰპირდებოდა.

1920-იანი წლებისთვის კლანის წევრთა რაოდენობა 5 ათასიდან 5 მილიონამდე გაიზარდა. საშუალო მოქალაქეს მტკიცედ სჯეროდა, რომ ამერიკა საუკეთესო ქვეყანაა, ჩვენ დიდი ისტორია გვაქვს, ჩვენთან ქოხმახებში გაზრდილ ყმაწვილს შეუძლია მილიონერი გახდეს. მაგრამ იმავდროს ფუნდამენტალისტებიც ხმას იმაღლებდნენ — იმისთვის, რომ მდიდარი და პატივცემული გახდე, ბევრი უნდა იშრომო და იცხოვრო უქრისტიანულესად — არ დალიო, არ მოწიო, არ იგინო. სალოცავად ეკლესიაში უნდა იარო.

მსგავსი მორალით განსაკუთრებით გამოირჩეოდა შტატების სამხრეთი, სადაც წმინდა წერილის სიტყვა-სიტყვით ცოდნა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, რადგან ოჯახში გარდა ბიბლიისა, სხვა წიგნებს არ აჭაჭანებდნენ. პურიტანული მორალი მათთვის ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მოვლენა იყო. ალკოჰოლურ სასმელებს ეშმაკისეულად თვლიდნენ, რაც მათ ხელს არ უშლიდა, ზოგჯერ ჩუმად გადაეკრათ ეს ეშმაკის მოგონილი სითხე.

ყველაფერი სამხრეთიდან — ჯორჯიის შტატიდან დაიწყო, თავიდან მხოლოდ შტატში გამოცხადდა უკანონოდ სპირტიანი სასმელების წარმოება, გაყიდვა და მათი იმპორტი. 1910 წლისთვის სამხრეთის შტატების ორ მესამედში უკვე „მშრალი კანონი“ მოქმედებდა. აქაურები ამ მოვლენას მშვიდად შეხვდნენ, თავი იჩინა ბიბლიურ-ფუნდამენტურმა აღზრდამ, ხოლო როცა ვინმეს ძალიან მოუნდებოდა დალევა, არალეგალური თვითნახადი სასმელის შოვნას ყოველთვის ახერხებდა.

მალე მშრალი კანონის გავრცელება სამხრეთიდან აშშ-ის დანარჩენ ტერიტორიაზეც დაიწყო. სამხრეთელი კონგრესმენები, რომლებიც თავიანთ შტატებს ამერიკის საკანონმდებლო სტრუქტურებში წარმოადგენდნენ, „მშრალი კანონის“ კონგრესში გასატანად ყველა ღონეს ხმარობდნენ. 1917 წელს მათმა დაჟინებამ შედეგი გამოიღო, კონგრესმა მიიღო მე-18 შესწორება ამერიკის კონსტიტუციაში, ეგრეთ წოდებული უოლსტედის კანონი. უოლსტედი მინოსეტის წარმომადგენელი იყო, სწორედ მან წარადგინა კანონი კონგრესში. „ერთი წლის შემდეგ, როცა ეს მუხლი რატიფიცირებული იქნება, წარმოება, გაყიდვა, მათრობელა სპირტის შერევა, ისევე, როგორც ზემოხსენებულის იმპორტი და ექსპორტი შეერთებული შტატებიდან და მის იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიებზე აიკრძალება. კონგრესსა და ხელისუფლებას საკმარისი ძალა გააჩნიათ ამ შესწორების ცხოვრებაში გასატარებლად. შესწორებას არ ექნება კანონიერი ძალა, თუკი მას რატიფიკაციას არ გაუკეთებს შტატების საკანონმდებლო ორგანოები, რომლებიც კონსტიტუციაში რიგის მიხედვით არის ჩამოთვლილი, რატიფიცირების ვადაა შვიდი წელი კანონის გამოქვეყნებიდან“.

## ჯანსაღ ნაციაში ჯანსაღი სულია

შტატების ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოები განსაკუთრებული სიხარულით არ შეხვდრიან კონგრესის ინიციატივას, მაგრამ მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების („სალუნების მოწინააღმდეგეთა ლიგა“; „ქალთა ქრისტეანული სიფხიზლის კავშირი“) ზეწოლით იძულებული ხდებოდნენ განეხილათ და საბოლოო ჯამში მიეღოთ შესწორება. ერთი წლის შემდეგ ქვეყნის შტატების უმრავლესობას მშრალი კანონი რატიფიცირებული ჰქონდა.

ალკოჰოლის მწარმოებელთა უმრავლესობამ მოასწრო მომავლისთვის მომზადება — ქვეყნიდან გაიტანეს კაპიტალი, დააკონსერვეს ლუდსახარში და ღვინის ჩამომსხმელი ქარხნები. შედარებით უარეს დღეში ჩავარდნენ ინდუსტრიის მშრომელები, ისინი უბრალოდ უმუშევრად დარჩნენ.

ყველა ინტერესით მოელოდა 1920 წლის იანვარს. თარიღს, როცა მშრალი კანონი ძალაში უნდა შესულიყო. არადა, ამ დროისთვის მოთხოვნილება ალკოჰოლზე ერთი ათად გაიზარდა. ცალკეული მოაზროვნე ადამიანები ცდილობდნენ, აეხსნათ, რომ „აკრძალული ხილი გემრიელია“ და მათი მუშტარი ყველა დროის საზოგადოებაში უხვად მოიძებნება. რომ აკრძალვა მოთხოვნილების ზრდას გამოიწვევს და ხალხი არალეგალურად დაიწყებს სასმელის გამოხდას. ასეთი ჭკუის კოლოფები წამსვე ჩუმ ალკოჰოლიკებად მონათლეს, რომელთაც თითქოს ჯანსაღი ამერიკული საზოგადოების გალოთება ეწადათ.

გაზეთებში საშინელ ისტორიებს ბეჭდავდნენ, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ ადამიანი, რომელიც დაბადების დღეზე ერთ ჭიქა ღვინოს დალევდა, მაშინვე გალოთდებოდა, ცხოვრებას კი ღვიძლის ციროზით დაავადებული, აუცილებლად სადღაც თხრილში დაამთავრებდა. ნაცია ორ ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი 1920 წლის იანვარს შეხვდა დევიზით: „ფხიზელ სიკვდილს ჯობია მთვრალი მოვკვდე“, მეორე — „რკინის ხელით ამოვშანთოთ სიმახინჯე“.

## ქერის მარცვლის დასაფლავება

1920 წლის 16 იანვარს ზუსტად 12 საათსა და 01 წუთზე უზარმაზარი ხომალდი, რომელსაც სახელად „ამერიკა“ ერქვა, მშრალ ნავსაყუდარში დადგა. სიფხიზლის მოყვარულმა საზოგადოებებმა ეს დღე დედამიწაზე სამოთხის დასაწყისად გამოაცხადეს. უმრავლეს წვეულებაზე, რომლებიც ამ დღეებში გაიმართა, „ოქროს დღეებთან“ გამომშვიდობება იზეიმეს, აწყობდნენ „სველი დღეების“ სახუმარო დასაფლავების ცერემონიებს. არადა, იყო სხვა დასაფლავებებიც.

მძვინვარე და შმაგმა ევანგელისტმა, ამერიკის რელიგიურმა ვარსკვლავმა ბილი სანდიმ, რომელმაც სახელი იმით გაითქვა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ნიუ-იორკში ასი





ეროვნული ბიბლიოთეკა



ათასი ადამიანი ერთდროულად პროტესტანტად მოაქცია, ვირჯინიის შტატში ქალაქ ნორფოლკში თვით ქერის მარცვალი დაასაფლავა (ქერი ლუდისა და ზოგიერთი ვისკის ძირითადი ნედლეულია). საგანგებო მატარებლით ქალაქ მულუოკიდან ჩამოიტანეს კუბო, რომელშიც ქერის მარცვალი იდო. 10 ათასი „ჭირისუფლის“ თვალწინ იგი სამარეში ჩაუშვეს. „მიცვალებული“ უკანასკნელ გზაზე სანდის პათეტიკურმა სიტყვებმა გააცილა: „მშვიდობით! შენ ღმერთის ულირსი მტერი და ეშმაკის საუკეთესო მეგობარი იყავ. მე შენ წმინდა, გულწრფელი ზიზღით მეზიზღები!“

მიუხედავად ამისა, სიხარულს თანდათან იმედგაცრუება ცვლიდა. პურიტანებისთვის ძნელი გასაგები იყო ის ფაქტი, რომ ეკონომიკის კანონების საპარლამენტო აქტებით აკრძალვა შეუძლებელი იყო. შეთავაზება საერთოდ არ არსებობდა და მოთხოვნილება ფანტასტიკურად გაიზარდა. მით უმეტეს, რომ ალკოჰოლის ძირითადი მომხმარებლები ლოთბაზარა ხალხი კი არა, კეთილსინდისიერი მოქალაქეები აღმოჩნდნენ. ე.წ. ამერიკელი მიწის მარილი, მისი იმედი და საყრდენი. და აი, ასეთ დროს საქმეში „კაი ბიჭები“ ჩაერივნენ.

## ბიჭები მუშათა გარეუბნებიდან

ისინი დიდი ქალაქების ყველაზე საშინელ რაიონებში მოევლინენ ამ ქვეყანას. ბრუკლინი ნიუ-იორკში ყველაზე პირქუშ ადგილად ითვლებოდა, ხოლო ისტ საიდი ყველაზე უარეს ადგილად ბრუკლინში. ამ ბიჭების მშობლები უცხო ქვეყნებიდან უკეთესი ცხოვრების საძებნელად გადმოსახლებული ემიგრანტები იყვნენ. ამ ჯუზეპეების, პატრიკებისა და მეიერების ცხოვრების მიზანი იყო ბავშვებისთვის კარგი განათლება მიეცათ, რათა ისინი „ხალხში გამოსულიყვნენ“.

ფული ახალ ამერიკელებს, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, მილიონი იმედი ასულდგმულებდათ. მათ რაიონებში გამარჯვებისთვის ნებისმიერი გზითა და საშუალებით უნდა მიგეღწია. გაუთავებელ სისხლისმღვრელ ჩხუბებში ირლანდიელები ებრაელებს ურტყამდნენ. იტალიელები კი ერთსაც და მეორესაც ერთდროულად ალილავებდნენ...

ისინი არა სწრაფად, არამედ თვალის დახამხამებაში ხდებოდნენ ზრდასრულნი. მხდალებს უცებ კლავდნენ. გულადებს სიცოცხლის შანსი რჩებოდათ. მათი დედების მთავარი სამკითხაო ის იყო, რომელი აჯობებდა — შვილი ჩხუბში დაღუპულიყო თუ ბანდიტი გამოსულიყო!

მგლის ლეკვები ხროვებად ერთიანდებოდნენ. ნიუ-იორკის, ბოსტონის ან ჩიკაგოს ფსკერის მცხოვრებლები — იტალიური, ირლანდიური და ებრაული ღარიბობა თავს ძარცვით, ყაჩაღობითა და მოვაჭრეებისგან ფულის გამოძალვით ირჩენდნენ. ერთმანეთს შორის ურთიერთობებს დანებითა და პისტოლეტებით არკვევდნენ. ვისაც ასეთ სასტიკ სკოლაში ჰქონდა „დაწყებითი განათლება“ მიღებული, „საშუალო განათლებას“ უკანა ეზოებში, სარდაფებში, სხვენებში, სანაპიროებსა და საწრეტ თხრილებში ამთავრებდნენ...

## ილაპარაკეთ ხმადაბლა!

„მშრალი კანონი“ მათთვის ბედის საჩუქარი გამოდგა. ახალ პირობებში პირველები სწორედ კრიმინალები გაერკვნენ, მათვე განჭვრიტეს და შეაფასეს ახალი პერსპექტივები.

იმ შტატებში, რომლებმაც კანონის რატიფიკაცია დააგვიანეს, კიდევ შეიძლებოდა ლეგალურად ვისკის ყიდვა — ოღონდ აფთიაქში, ექიმის მიერ „სამკურნალო მიზნებისთვის“ გამოწერილი რეცეპტებით. აფთიაქებთან „ავადმყოფების“ უზარმაზარი რიგები იდგა. მიქსტურებიანი თაროები ხელუხლებელი რჩებოდა, სამაგიეროდ, სანუკვარი სითხით სავსე პატარა ბოთლები თვალის დახამხამებაში ქრებოდა. ერთი წლის შემდეგ ვისკიზე მოთხოვნილებამ მილიონ გალონს (3.8 მილიონი ლიტრი) გადააჭარბა.

კლუბების, ბარების, კაფეებისა და მსგავსი დაწესებულებების მეპატრონეები მალე მიხვდნენ, რომ მათ საქმეს მომავალში კარგი არაფერი მოელოდა — რომელი იდიოტი მიაყოლებს ცხელ სპაგეტის ან მსუყე რაგუს ჭიქა რძეს. ჭკვიანებმა უმალვე მოძებნეს გამოსავალი — ბარებში უკანა ოთახები გაჩნდა, რომლებშიც მუშტარს მოთხოვნილების მიხედვით „ცხელ ჩაის“ სთავაზობდნენ. იქ, სადაც პოლიციასთან მოლაპარაკება ხერხდებოდა, ნახევრად ლეგალური ბარები იხსნებოდა, რომლებსაც „სპიკ იზი“ შეარქვეს (ინგლისურიდან არაზუსტი თარგმანით Speak easy ხმადაბლა ილაპარაკე ნიშნავს). ასეთ ბარებში შეკვეთებს ჩურჩულით იძლეოდნენ. იქ, სადაც პოლიციასთან მოლაპარაკება ვერ ხერხდებოდა, იხსნებოდა საიდუმლო ბარები. „სპიკ იზისთან“ ერთად ინგლისური ენა გამდიდრდა სიტყვა bootlegger-ით — დასალევის მშოვნელი კონტრაბანდისტი და booze-თი — იაფი მაგარი სასმელი.

იატაკქვეშა ბარები და კლუბები სოკოებივით მრავლდებოდნენ. ნიუ-იორკში სხვადასხვა გამოთვლებით, ერთი წლის შემდეგ მათი რიცხვი სამოციდან ასი ათასამდე ავიდა. ჩიკაგოში ოფიციალური ინფორმაციით ათი ათასი ობიექტი იყო, რეალურად კი ოთხჯერ მეტი ფუნქციონირებდა. სასმელს მოწყურებული მუშტარი ნაირფეროვანი იყო. ერთი ჭიქა კარტოფილის რახის მოლოდინში, რომელსაც ოთხწლიან ვისკად ასაღებდნენ, ბარების დახლებთან ერთიმეორეს გვერდით ქვის მთლელები, ექიმები, მუშები და ადვოკატები იდგნენ. ნაცის განწყობილება შიზოფრენიულიდან თადათან ისტერიულში გადადიოდა — დალევა ყველას უნდოდა! ალკოჰოლის მიღება კი დანაშაულად ითვლებოდა. მოსწავლეებმა, რომლებიც ადრე ყურადღებას არ აქცევდნენ სპირტიან სასმელებს, თავი აიწყვიტეს: არ გაგისინჯავს ჯინის გემო? — სირისტიანი ხარ, აქედან მოუსვი, შე დედიკოს ბიჭო!

„მშრალი კანონის“ დარღვევისთვის დაპატიმრებულთა რიცხვმა წელიწადში 75 ათასს მიაღწია, მაგრამ სმის მოყვარულ ამერიკელებს ვერაფერი აფერხებდა. „ვსვამდით, ვსვამთ და კიდევ დავლევთ“, — ისმოდა ყველა კუთხესა და კუნჭულში. საუკეთესო საჩუქრად იქცა ოდნავ შეზნექილი, წვრილყელიანი პოლონური მომცრო მათარა, რომელიც მოხერხებულად თავსდებობა ჩექმის ყელში, ან ჯინსის უკანა ჯიბეში.

## ღამეები სვინგის თანხლებით

მშრალი კანონის მძვინვარების პერიოდში საუკეთესო მუსიკად ჯაზი იქცა. მუსიკალურ ბაზარზე გაჩნდა ახალი ცეკვები „ჩარლტონი“, „ლინდი ჰოპი“, „სვინგი“ — ამერიკელები გიჟდებოდნენ მოდური დროის მონაბერზე. ქალბატონებმა კორსეტების გამოყენებაზე უარი განაცხადეს. მოდაში შემოვიდა თავისუფალი ტანსაცმელი. სასმლით შეხურებული ახალგაზრდობა თავგამეტებით ცეკვავდა.

ოციანი წლები ისტორიაში „სვინგის ერის“ სახელწოდებით შევიდა. მას მეორე სახელიც ერქვა — „მოღრიალე ოციანი წლები“.

ეს იყო ხმაურიანი ათწლეული, ხმაურიანი — ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ბღაოდნენ ორკესტრები, პოლიციის სირენები, ისმოდა სროლის ხმა და დაჭრილების ღრიალი. ბუნებრივია, ხელისუფლებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკალათებულმა ცალკეულმა ფარისეველმა თავიდანვე მოინდომა ჯაზის მოხრჩობა. შუა დასავლეთის ზოგიერთ ქალაქში, ჯაზი, როგორც სიმახინჯისა და გარყვნილების საწყისი, ეშმაკისეული მუსიკა, კატეგორიულად აიკრძალა. მუსიკოსები ქუჩიდან არალეგალურ ბარებში გადაბარგდნენ. ჯაზი ეპოქის სიმბოლოდ იქცა. რას იზამ, აკი ნათქვამია — აკრძალული ხილი გემრიელიაო.

## მოთხოვნილება შეთავაზებას წარმოშობს

ბანდიტთაგან შედარებით ჭკვიანნი ვარაუდობდნენ, რომ სასმელებზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზრდებოდა. გაიხსნა იატაკქვეშა არყისა და ღვინის სახდელი ქარხნები, რომელთა პატრონებიც უბრალო მოგებაზე არ საუბრობდნენ — ხმარებაში შემოვიდა ტერმინი „ზემოგება“.

ძალიან მალე იატაკქვეშა საწარმოებს შორის ნამდვილი კონკურენციული ბრძოლა გაიმართა. ნაწილდებოდა გასაღების ბაზრები, არბევდნენ კონკურენტების საწარმოებსა და პროდუქციის საწყობებს. ნადგურდებოდა სასმლით დატვირთული სატვირთო მანქანები. ყოველივე ამას კი თან ახლდა სროლები, აფეთქებები და მკვლელობები.

ახალგაზრდა ვიგინდარებმა, რომლებიც წვრილ მოვაჭრეებს ხურდა ფულს სძალავდნენ, დიდი ფინანსების სუნი იკრეს. მათაც მოუნდათ ძვირფასი ტანსაცმელი, სიგარები და საუკეთესო ავტომობილები. განგსტერთა უფროს თაობებს მათთვის გზის დათმობა არ სურდა და დაიწყო თავდაუზოგავი განგსტერული ომები. ჯაზის ეპოქაში, როცა მუსიკის ტონს ორკესტრ-დიქსილენდები იძლეოდნენ, რიტმის დამჭერად „ბანჯო“ გამოიყენებოდა. ქუჩებში კი რიტმი სხვა „ბანჯოს“ — ტომპსონის ავტომატს ეკავა. ეს იყო ლამაზი სათამაშო, რომელიც პისტოლეტის ტყვიებს ისროდა. ჰქონდა ორი სახელური და დიდი დისკოსებური მჭიდი, მიზანში კარგად ვერ ისროდა, სამაგიეროდ, გროვებად მიჰქონდა ნასროლი. მისგან მეტს არც მოითხოვდნენ. ბაზარზე გამოჩენისთანავე „ბანჯო“ მსუბუქი ფეტრისშლაპიანი ბიჭების საყვარელ იარაღად იქცა. ღამე იშვიათად თუ ჩაივლიდა სროლების აკომპანემენტის გარეშე. ქუჩები ბრძოლის ველად იქცა. ფეთქდებოდა ავტომობილები, იწვოდა სახლები და საწყობები... ავტომობილებიდან ავტომატების გაცოფებული სტაკატო ისმოდა და ბარის ვიტრინები შუშის წვრილ ნამსხვრევებად იფანტებოდა, მეპატრონე კი ისე სწრაფად კვდებოდა, აზრზე მოსვლასაც ვერ ასწრებდა. შემდეგ გაზეთები წერდნენ, „საზოგადოების პატივცემული წევრების“ დიდებული გასვენებების შესახებ. რა თქმა უნდა, „ავიწყდებოდათ“, რომ საზოგადოების ეს წევრები, არც ისე დიდი ხნის წინ ღამის ბნელი გზაჯვარედინების რაინდები იყვნენ.



## ახალგაზრდა ბუტლეგერის მოკლე კურსი

ფანტასტიკური მასშტაბები მიიღო, სპირტიანი სასმელების უცხოეთიდან კონტრაბანდამ. საზღვაო-სანაპირო დაცვა ფიზიკურად ვერ უმკლავდებოდა ბუტლეგერების არმადას. თავზეხელაღებული ბიჭები, შიდა წყლების სამმილიანი ზონის მიღმა აჩერებდნენ საქონლით დატვირთულ გემებს, ტვირთი სწრაფ, უხმაურო კატარღებზე გადაჰქონდათ და ღამის ბინდში უჩინარდებოდნენ...

კარიბის აუზის ქვეყნებიდან შემოდიოდა რომი, კანადიდან — ჯინი და ვისკი. საქმიანმა ბიჭებმა ელვის უსწრაფესად აითვისეს საზღვრებზე არსებული საიდუმლო ბილიკები. ფსონი უზარმაზარი იყო, დანკარგები შეუპოვრობით ნაზღაურდებოდა. საუბარი მილიონებზე მიდიოდა. ვისკის ერთ ბოთლს, რომელსაც ბუტლეგერი 15 დოლარად ყიდულობდა, 70-80 დოლარი წმინდა მოგება მოჰქონდა. რა თქმა უნდა, კონტრაბანდის ნაწილი სანაპირო დაცვისა და მებაჟეების ხელშიც ხვდებოდა, მაგრამ ჩამორთმეული ტვირთი სახელმწიფო საწყობებიდან უკვალოდ ქრებოდა და მათ ძებნაზე არავინ იწუხებდა თავს. როცა სანაპირო დაცვა სწრაფმავალი კატარღებითა და ძლიერი იარაღით აღჭურვეს, კონტრაბანდის ზღვით შემოტანა სარისკო გახდა. მაშინ ბუტლეგერებმა ვარიანტები აწონ-დაწონეს და საქონლის შემოტანა ხმელეთით გადაწყვიტეს. ეს უკეთესიც იყო, ერთი ტრანსპორტიდან მეორეზე გადატვირთვა აღარ იქნებოდა საჭირო.

მეთოდები მარტივი იყო: თუ პოლიციის უფროსი ფულზე არ იყიდებოდა, მაშინ ის იყიდებოდა დიდ ფულზე. რის შემდეგაც კოლონებს მწვანე შუქი ენთებოდა. მოქრთამული პოლიციელები ვერ ამჩნევდნენ, როგორ მიედინებოდა „ნარჩევი და ხარისხიანი ხორბლით“ დატვირთული სატვირთო მანქანების ნაკადი, რომელთა საჭეებთანაც პირქუში ავტომატიანი ბიჭები ისხდნენ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის არმიის შეიარაღება 1920 წელს

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიაში ქართველმა სამხედროებმა შესამჩნევი კვალი დატოვეს. მრავალი სიძნელისა თუ გაჭირვების მიუხედავად, 1918 წლის ივნისში ქართველი ჯარისკაცების, ოფიცრების, გენერლების გმირობისა და თავდადების წყალობით მოხერხდა მდინარე ჩოლოქთან ოსმალოების შეჩერება, 1918 წლის მაისში, ბოლშევიკი აფხაზებისათვის ყველაზე მტკივნეულ ადგილას – ოჩამჩირესთან საზღვაო დესანტის გადასხმა, 1919 წლის აპრილში გაგრიდან დენიკინის მოხალისეთა არმიის გაძევება, 1921 წლის თებერვალში ტაბახმელასთან მე-11 წითელი არმიის მოგერიება და სხვ.

არადა, ქართული სამხედრო ქვედანაყოფები უმოკლეს დროში ჩამოყალიბდა და ამის საჭიროება ქვეყანაში 1917 წლის მეორე ნახევარში შექმნილმა რთულმა მდგომარეობამ განაპირობა. 1917 წლის სექტემბერში ქართველ მხედართა კავშირი გამოვიდა შესაბამისი ინიციატივით და მისივე თაოსნობით ქართული საარმიო კორპუსის ფორმირება დაიწყო. კორპუსი 1-ლ და მე-2 ქვეით დივიზიებსა და ცხენოსანთა ბრიგადას აერთიანებდა. მოგვიანებით კიდევ ერთი, მე-3 დივიზია ჩამოყალიბდა. სამი წლის შემდეგ, 1920 წელს, საქართველოს მეტ-ნაკლებად გამართული სამხედრო სტრუქტურა ჰქონდა, რომელშიც არმიასთან ერთად სახალხო გვარდია, სასაზღვრო დაცვა, მილიცია და სხვა ფორმირებები შედიოდა.

არმია სხვადასხვა ქვეყნის, ძირითადად, რუსული მოდელის გათვალისწინებით იქმნებოდა და საფუძვლად პირადი შემადგენლობის სავალდებულო-სამხედრო სამსახურში გაწვევით დაკომპლექტება დაედო. ნამდვილი სამსახურის ვადა ქვეით ნაწილებში 1 წლითა და 4 თვით, სხვა სახეობის ჯარებში 1 წლითა და 8 თვით, ხოლო სასწავლო გუნდებში გაწვეულებისათვის 2 წლით განისაზღვრა.

ქართული არმიის ძირითადი ტაქტიკური შენაერთი ქვეითი ბრიგადა იყო, რომელიც 4 ბატალიონად იყოფოდა. ბატალიონში 3 ქვეითი და 1 მეტყვიამფრქვევეთა ასეული შედიოდა და შეიარაღებაში 22 ტყვიამფრქვევი ჰქონდა. ბრიგადის შემადგენლობაში იყო საარტილერიო დივიზიონი 6 მსუბუქი ქვემეხითა და ამდენივე ტყვიამფრქვევით. ქვეით ბრიგადას სულ 94 ტყვიამფრქვევი ჰქონდა და 4 ათას სამხედრო მოსამსახურეს ითვლიდა.

1920 წელს არმიაში 3 ქვეითი ბრიგადა იყო. 1-ელი ბრიგადის შტაბი (მეთაური გენერალ-მაიორი ტიტე ართმელაძე) სოხუმში, მე-2-ის (მეთაური გენერალი იოსებ გედევანიშვილი) თბილისში, ხოლო მე-3-ის (მეთაური გენერალი ვარდენ წულუკიძე) კი ახალციხეში იყო განთავსებული.

ბრიგადების გარდა ქვეით ჯარებში შედიოდა ცალკეული საარტილერიო დივიზიონი (თბილისი), საკავალერიო პოლკი (მანგლისი), ქართველ მუსლიმანთა საკავალერიო დივიზიონი (თბილისი). დასახელებულ ქვედანაყოფებში 1600 კაცამდე მსახურობდა.




▲ სატვირთო მანქანა „უაიტი". ტვირთამწეობა 3 ტონა; სიჩქარე 20კმ/საათში; ბენზინის 22,5 ცხ.ძ.-იანი ძრავა

ჯავშნიანი მანქანა „ოსტინი": წონა 5,2 ტონა; ეკიპაჟი 5 ადამიანი; სვლის მარაგი 200 კმ; მაქსიმალური სიჩქარე 60კმ/საათში; ბენზინის 50 ცხ.ძ.-იანი ძრავა; შეიარაღება — „მაქსიმის" სისტემის დაზგის 2 ტყვიამფრქვევი; ▼



არმიის საინჟინრო-ტექნიკურ ნაწილებს მიეკუთვნებოდა მესანგრეთა ბატალიონი (თბილისი), საავტომობილო ასეული (თბილისი), საავიაციო ასეული (თბილისი-ნავთლუღი) და რადიოასეული (თბილისი), რაც მთლიანობაში 1500 კაცს შეადგენდა.

სამხედრო სასწავლებელთაგან თბილისში სამხედრო სკოლა ფუნქციონირებდა, რომელიც ქვეით, საკავალერიო, საარტილერიო და საინჟინრო ოფიცრებს ამზადებდა. გარდა ამისა, თბილისში ავტოსკოლაც მოქმედებდა. სკოლების პირადი შემადგენლობა 800 კაცს ითვლიდა.

მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა სახალხო გვარდია, რომელიც 14 ბატალიონს, საარტილერიო ბრიგადასა და ცხენოსანთა დივიზიონს აერთიანებდა. გვარდიაში დაახლოებით 16 ათასი კაცი მსახურობდა.

გვარდიის, საარტილერიო ბრიგადისა და ცხენოსანთა დივიზიონის შტაბები თბილისში იყო განთავსებული. ბატალიონები დისლოცირებული იყვნენ: თბილისში (ავჭალა, ნავთლუღი-ავლაბარი და საბურთალო), ალაზნის გაღმა ტერიტორიაზე, სიღნაღში, გორში, ხაშურში, შორაპანში, ფოთში, ქუთაისში, სამტრედიაში, ახალ სენაკში, სოხუმსა და ბათუმში.

სასაზღვრო დაცვაში 6 რაზმი შედიოდა და 3600 ქვეით და 1800 ცხენოსან მოსამსახურეს ითვლიდა;

თბილისისა და ქუთაისის საყარაულო ბატალიონებში 600 კაცამდე მსახურობდა;



**არმია სპეციალური ავტომობილების ნაკლებობას განიცდიდა და ცდილობდა სამოქალაქო მოდელებით გასულიყო ფონს. გერმანული სატვირთო „ბენცი“.**



**მსუბუქი ავტომობილი „ადლერი“**

შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში იყო 1000-კაციანი განსაკუთრებული რაზმი;

დასახლებულ პუნქტებში წესრიგის დაცვა დაახლოებით 12 ათასამდე მილიციელს ევალებოდა;

მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო შემადგენლობაში დაახლოებით 51200 კაცი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ რეალურად ეს ციფრი გაცილებით ნაკლები იყო.

## შეიარაღება:

ქართული არმიის შეიარაღებაში მთავარი ადგილი რუსულ იარაღსა და სამხედრო ტექნიკას ეკავა. თუმცა კავკასიის არმიის მიერ წარმატებულად განხორციელებული სარიყამიშის, არზრუმის, ტრაპიზონის ოპერაციების შემდეგ რუსეთის კავკასიურ არმიას დიდძალი თურქულ-გერმანული იარაღი დარჩა. საქართველოში გერმანელთა მცირე დროით ყოფნის მიუხედავად, შეიარაღების განსაზღვრული რაოდენობა მათაც დატოვეს. გარდა ამისა, ქართულმა არმიამ აფხაზეთიდან გაყრილ მოხალისეთა არმიის ნაწილებს ინგლისურ-ფრანგული წარმოების სხვადასხვა სახის შეიარაღება წაართვა. ქვეითი ნაწილების შეიარაღებაში შედიოდა: შაშხანები: მოსინის 7,62 მმ-იანი 1891 წლის ნიმუშის 3-ხაზიანი, დრაგუნთა 7,62 მმ-იანი 3-ხაზიანი, კაზაკთა 7,62 მმ-იანი 3-ხაზიანი, 1870 წლის ნიმუშის 11,43 მმ-იანი ბერდენა №2, ფრანგული 8,0 მმ-იანი 86/93 წლის ნიმუშის ლებელი, 1898 წლის ნიმუშის 7,92 მმ-იანი მაუზერი; რევოლვერები: 7,62 მმ-იანი 1895 წლის ნიმუშის „ნაგანი“, 6,0 მმ-იანი ბელგიური „ბულდოგი“;

პისტოლეტები: 9,0 მმ-იანი 1908 წლის ნიმუშის „პარაბელუმი“, 11,43 მმ-იანი 1911 წლის ნიმუშის „კოლტი“, 7,63 მმ-იანი „მაუზერი“ მოდელი 96.

ტყვიამფრქვევები: 7,62 მმ-იანი 1910 წლის ნიმუშის „მაქსიმი“, „კოლტი“, ინგლისური 7,71 მმ-იანი 1915 წლის ნიმუშის „ლუისი“; არტილერია: 1902 წლის ნიმუშის 76 მმ-იანი საველე ქვემეხი, 1909 წლის ნიმუშის 76 მმ-იანი სამთო ქვემეხი, 1909 წლის ნიმუშის 122 მმ-იანი ჰაუბიცა, 90 მმ-იანი ბომბმტყორცნი;

## ავტომობილები:

არმია ავტომობილების ნაკლებობას განიცდიდა და დეფიციტის დასაძლევად სამხედრო სამინისტრო, მთავრობის განკარგულებით, სატრანსპორტო საზოგადოებისაგან საავტომობილო ქონების მიღებას ცდილობდა. როგორც სამხედრო უწყება აღნიშნავდა, საზოგადოების ზოგიერთი წევრი ქონების გადაცემასა და, აქედან გამომდინარე, საავტომობილო საქმის განვითარებას აფერხებდა. ქართულ ჯარში საავტომობილო საქმეს ერთხანს გერმანელი თეოდორ შირვიცი განაგებდა. სამხედროების განკარგულებაში იყო მსუბუქი ავტომობილები: გერმანული „ადლერი“, ამერიკული „ოვერლენდი“, რუსული წარმოების 30 ცხენისძალიანი „რუსობალტი C 24/30“. სატვირთოები: ამერიკული 3-ტონიანი „უაიტი“ და „პაკარდი“, იტალიური 1-ტონიანი „ფიატი“, გერმანული „ბენცი“ და სხვ.

## ჯავშანავტომობილები:

უცნობია ავტოასეულის განკარგულებაში არსებული ჯავშანავტომობილების მოდელები, მაგრამ მათ შორის აუცილებლად იქნებოდა რუსეთის არმიაში ყველაზე მეტად გავრცელებული ბრიტანული „ოსტინი“, აგრეთვე, იტალიური „ფიატის“ 1915 წლის ნიმუში. „ოსტინის“ მთავარ საცეცხლე ძალას 2 „მაქსიმის“ სისტემის ტყვიამფრქვევი წარმოადგენდა. რამდენიმე გერმანული სატვირთო „ბენციც“ იყო. კავკასიაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს „ბენცებს“ ჯავშანფურცლებს აკრავდნენ და ამგვარი სახით იყენებდნენ. საავტომობილო ასეულში შტატით 299 კაცი ირიცხებოდა, ფაქტობრივად, კი მხოლოდ 228 პირი იყო სახეზე.



**1918-1921 წლების ომში ქართული არმია 4 ჯავშანმატარებელს: „რესპუბლიკელს“, „მუშას“, „სიკვდილი ან გამარჯვება“-სა და „თავისუფლების ციხესიმაგრეს“ იყენებდა. მატარებლები ტყვიამფრქვევებითა და 76-მმ-იანი შემსუბუქებული ქვემეხებით იყვნენ შეიარაღებული.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**საავიაციო გუნდში 172 კაცი მსახურობდა. თვითმფრინავების დიდი უმრავლესობა სასწავლო და შეიარაღების გარეშე იყო. ფოტოზე ფრანგული „ფარმანი“.**

### ჯავშანმატარებლები:

1918-1921 წლების ომში ქართული არმია 4 ჯავშანმატარებელს: „რესპუბლიკელს“, „მუშას“, „სიკვდილი ან გამარჯვება“-სა და „თავისუფლების ციხესიმაგრეს“ იყენებდა. მატარებლები ტყვიამფრქვევებითა და 76-მმ-იანი შემსუბუქებული ქვემეხებით იყვნენ შეიარაღებული.

### თვითმფრინავები:

საავიაციო ასეულის პილოტები ფრანგული „კუაზენით“, „მორანით“, „ფარმანით“, ბრიტანული „ნიუპორტითა“ და „სოფვიჩქემელით“ დაფრინავდნენ. თვითმფრინავების დიდი უმრავლესობა სასწავლო და შეიარაღების გარეშე იყო. საბრძოლო თვითმფრინავების შესყიდვის თაობაზე იტალიაში ფირმა „ანსალდოსთან“ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. საავიაციო გუნდში 172 კაცი მსახურობდა.

### რადიოსატელეგრაფო ტექნიკა:

სამხედროებისათვის რადიო საქმე სიახლეს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, რადიოსატელეგრაფო ასეულს მატერიალური ნაწილის დიდი და კარგი მარაგი ჰქონდა, მაგრამ მცოდნე ხალხი საკმარისი რაოდენობით არ ჰყავდა. ტექნიკის გასამართავად და მწყობრში ჩასაყენებლად ქართველებს რუსი ინსტრუქტორი მარკოვი ეხმარებოდა.

რუსული მონაცემებით, 1920 წლისათვის საქართველოს ყველა შეიარაღებული ფორმირების განკარგულებაში იყო: 1255 ტყვიამფრქვევი, 104 მსუბუქი და 18 მძიმე ქვემეხი, 4 ჯავშანმატარებელი, 16 ჯავშანავტომობილი, 2 ტანკი, 56 თვითმფრინავი. ეს არცთუ ცუდი შეიარაღებაა, მაგრამ ქვეყანა სამხედრო სპეციალისტთა ნაკლებობას განიცდიდა. შეიარაღების ერთი ნაწილი გაუმართავი იყო და რემონტი ესაჭიროებოდა. ამასთან, მასობრივი დეზერტირობა, ბოლშევიკების ძირგამომთხრელი საქმიანობა არმიის ბრძოლისუნარიანობაზე უარყოფითად მოქმედებდა.

შესამჩნევი იყო არმიასა და სახალხო გვარდიას შორის არსებული დაპირისპირება. სახალხო გვარდია მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დასაყრდენს წარმოადგენდა და მას ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერა ჰქონდა, რასაც არმია მოკლებული იყო. ამასთან დაკავშირებით გენერალი მაზნიაშვილი წერდა: „მენშევიკური მთავრობა ქართული არმიის შედგენას გულგრილად უყურებდა და ჯარისკენ მაშინ მოიხედავდა, როდესაც გაჭირვება დაადგებოდა, დანარჩენ დროს კი იგი მიგდებული და მინებებული იყო თავის ბედსა და ნებაზე.“

გენშტაბი სახალხო გვარდიის გაუქმებასა და ერთიანი სამხედრო სტრუქტურის შექმნას განიხილავდა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

*თემურ ჩაჩანიძე*

**მაქსიმი 1910 წლის ნიმუში: კალიბრი 7,62 მმ; ტყვიამფრქვევის წონა გამაგრილებელი წყლის გარეშე 20,3 კგ; ტყვიამფრქვევის წონა სადგარით 64 კგ; პრაქტიკული სროლის ტემპი 250-300 გასროლა/წუთში; სამიზნე მანძილი 2000 მეტრი; ვაზნების ლენტური მიწოდება;**





**1909 წლის 48 ხაზიანი საველე ჰაუბიცა. კალიბრი 122 მმ; წონა 1340 კგ; ჭურვის წონა 23,3 კგ; ჭურვის სიჩქარე 288 მ/წმ; სროლის სიშორე 7700 მეტრი.**

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. რაინდი მეფის ამალაში, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში; 6. ცალკეული ციხესიმაგრე საბრძოლო გამაგრებათა სისტემაში; 7. რადარი; 9. ჯარი, არმია; 10. შვეიცარიული საზენიტო საარტილერიო დანადგარი; 12. გემის მეთაური; 14. ჯაჭვის პერანგით შეჭურვილი მძიმე კავალერიის მხედარი; 17. ამერიკული სანაპირო დაცვის სადარაჯო ხომალდების ტიპი; 19. ისრაელის საბრძოლო-სასწავლო თვითმფრინავი; 20. ხარისხი, თანრიგი; 22. მშვილდით სატყორცნი; 25. ქვედა სწორი იალქანი გემის წინა ანძაზე; 28. ზღვრული ნორმა; 29. ცხენბურთი; 30. ისრაელის მსუბუქი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი; 31. ინდური საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტა; 32. იაპონიის პორტი, სადაც განლაგებულია იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზა; 33. აშშ-ის თავდაცვის უწყება; 35. მდინარე აზიაში; 36. შეძახილი კორიდაზე; 37. ძველი ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული; 38. თურქეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის ფრეგატების ტიპი.

**შვეულად:** 1. შვეიცარიული სასწავლო თვითმფრინავი; 2. ფრანგული საბრძოლო ტანკი; 3. ციხე, რომელშიც გრაფი მონტე-კრისტო იჯდა; 4. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 5. ფრანგული ტაქტიკური გამანადგურებელი; 8. კოსმოსური ხომალდი; 11. გამძლიერებელი შუშა; 13. ირლანდიის ეროვნული არმია; 14. ისრაელის 81 მმ-იანი ნაღმტყორცნი; 15. ბრიტანული საზენიტო სარაკეტო კომპლექსი; 16. მასობრივი კრება რაიმე პოლიტიკურ საკითხზე; 17. ისრაელის საზენიტო სარაკეტო კომპლექსი; 18. ყველგანმავალი მსუბუქი ავტომობილი; 21. ინდური ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი; 23. ინგლისური მუხლუხებიანი ჯავშანტრანსპორტიორი; 24. აშშ-ის რადიოელექტრონური სადაზვერვო თანამგზავრი; 25. ფრონტის ან ჯარის განლაგების მარჯვენა ან მარცხენა მხარე; 26. რამდენიმე ქვემეხის ერთდროული ხშირი გასროლა; 27. ერთგვარი კანფეტი; 28. სამხედრო ნაწილთან არსებული პატარა საავადმყოფო; 34. ისრაელის სამხედრო საზღვაო ფლოტის ხომალდი; 36. ჯონ ლენონის ქვრივი.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 4. ტავერნა; 5. ესკადრა; 6. კადისი; 8. იგუანა; 11. კრივი; 13. ასანიძე; 15. ლოცმანი; 16. რურუა; 17. რეგალია; 20. ინდიელი; 23. ტყე; 25. აგრესია; 27. კარამბე; 28. სიათა; 29. რომან. **შვეულად:** 1. შტეიერი; 2. კენტავრი; 3. ბადრაგი; 6. კატასტროფა; 7. იპონი; 9. ურემი; 10. ანტიქრისტე; 11. კვერნა; 12. ისლამი; 14. ზრო; 18. არვე; 19. იონი; 21. ნოტა; 22. იუმა; 24. ყარაყუში; 26. ასკერი; 27. კანონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელიტური მებრძოლი

## ძლიერი სხეული რომ გქონდეთ

ხელებისა და ტანის ზედა ნაწილის კუნთების გავარჯიშების შემდეგ გადავდივართ ფეხის, ზურგისა და კისრის კუნთების ვარჯიშებზე.

*ვარჯიში 1:*

დადექით 10 სმ სიმაღლის ბრტყელ ზედაპირზე (ეს შეიძლება იყოს სქელი წიგნი ან სხვა რამ).

თითის წვერები ზევით ასწიეთ და დადექით ქუსლებზე.

დაეყრდენით კედელს და ასწიეთ მარჯვენა ფეხი.

მარცხენა ფეხის ქუსლიდან გადადით თითის წვერზე და ჩამოდით შემაღლებიდან (მარჯვენა ფეხით).

გაიმეორეთ ვარჯიში და შეანაცვლეთ ფეხები. ეს საუკეთესო ვარჯიშია წვივის კუნთების გასავითარებლად. ვარჯიში შეასრულეთ 6-6-ჯერ თითოეულ ფეხზე.

*ვარჯიში 2.*

ზურგის კუნთების გასავარჯიშებლად შესანიშნავი ვარჯიშია „მაკრატელი“.

დაწექით მუცელზე, საყრდენისთვის ხელები ბარძაყების ქვეშ დააწყვეთ.

ასწიეთ ფეხები ისე, რომ მუხლებში არ მოხაროთ და მაკრატელივით გადააჯვარედინეთ რვაჯერ. შემდეგ წამით დაუშვით იატაკზე და ისევ გაიმეორეთ სამ-ოთხჯერ.

შემდეგი ვარჯიშები კისრის კუნთების განვითარებაში დაგეხმარებათ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ხელჩართული ბრძოლისას. თავდაპირველად ამ ვარჯიშების შესრულებისას შეიძლება თავბრუსხვევა და გულის რევის შეგრძნება დაგეუფლოთ, მაგრამ ეს მალე გაგივლით, ამიტომ უარს ნუ იტყვით ამ მნიშვნელოვან ვარჯიშებზე.

*ვარჯიში 3.*

დაწექით იატაკზე ზურგით. ფეხები მოხარეთ მუხლის და მენჯ-ბარძაყის სახსრებში. თავით დაეყრდენით იატაკს (თავქვეშ ამოიდეთ ბალიში ან სხვა რამ რბილი საგანი).

ტანი ასწიეთ მაღლა, გაიზნიქეთ (გააკეთეთ ე.წ. „მოჭიდავის ხიდი“), ხელები ბარძაყებზეა.

გაზნექვისას თქვენი ტანის წონა მთლიანად თავსა და კისერზე გადაიტანეთ.

დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ვარჯიში შეასრულეთ სამჯერ.

*ვარჯიში 4.*

დადექით მუხლებზე. მუხლები ოდნავ განზე გადგით: შემდეგ დაიხარეთ წინ და თავით იატაკს დაეყრდენით (დაიგეთ რბილი საგანი).

ხელები დააწყვეთ ბარძაყების უკანა ზედაპირზე. თქვენი ტანის წონა ნელ-ნელა გადაიტანეთ თავსა და კისერზე. შეეცადეთ, შექმნათ მაქსიმალური წნევა.

დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ვარჯიში შეასრულეთ სამჯერ.

ყურადღება! ზემოთ მოყვანილი კისრის კუნთების ვარჯიშები უმჯობესია ინსტრუქტორის მეთვალყურეობით შესრულდეს. ეს საკმაოდ სახიფათო ვარჯიშებია, ამიტომ ისინი არ არის რეკომენდებული იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ კისრის ან ზურგის ტრავმა. ვარჯიშები შეასრულეთ ძალზე ფრთხილად და ნელა.

კისრის კუნთების ალტერნატიული ვარჯიშები:

კისრის კუნთების ჩამოთვლილი ვარჯიშები შეასრულეთ ტანზე მომდგარ ტანსაცმელში, რომელსაც მიამაგრებთ სხვადასხვა სახის სიმძიმეებს.

დაწექით გრძელ სკამზე პირაღმა ისე, რომ ხელები და მხრები დაბლა არ დაუშვათ. რამდენჯერმე ნელა წამოსწიეთ თავი და ისევ დადეთ სკამზე.

# რით ვიკვებოთ ექსტრემალურ სიტუაციაში



ახლა ვისაუბროთ ექსტრემალურ პირობებში სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაზე. როგორც უკვე ვწერდით, ველურ ბუნებაში საკვებად ვარგისია თითქმის ყველაფერი, ცხოველურიც და მცენარეულიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა. მთავარია, იცოდეთ ვარგისისა და უვარგისის ერთმანეთისგან გარჩევა.

თუ ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვდით, ისარგებლეთ უბრალო წესებით, რომლებიც შეიმუშავეს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ჩამოგდებული მფრინავებისთვის, რომლებიც ეძებდნენ საკვებად ვარგის მცენარეებს:

მოერიდეთ ქოლგისებთა ოჯახის მცენარეებს (მიუხედავად იმისა, რომ მას მიეკუთვნება სტაფილო, ოხრახუში, ნიახური).

მოერიდეთ საკვებად პარკოსნების (ლობიო, ბარდა) გამოყენებას, ისინი ნიადაგიდან კარგად იწოვენ მავნე მინერალურ ნივთიერებებს და ნაწლავების შებერვას იწვევენ.

თუ ეჭვი შეგეპარათ, ნუ გამოიყენებთ მცენარეთა ბოლქვებს.

ნუ შეჭამთ ყვითელ ან თეთრი ფერის კენკრას — როგორც წესი, ისინი შხამიანია. ასეთივე შხამიანია წითელი კენკრის ნახე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარზე მეტი. შხამიანი არ არის ლურჯი და შავი კენკრა.

ხილი და კენკრა, რომლებიც ერთად არის თავმოყრილი, საკვებად ვარგისია.

მცენარის რძისებური წვენი მიუთითებს იმაზე, რომ იგი შხამიანია.

თუ მცენარე კანს აღიზიანებს, იგი საკვებად არ გამოდგება.

მცენარეები, რომლებიც წყალში ან ტორფზე იზრდება, როგორც წესი, ძალიან გემრიელია.

აუცილებლად უნდა გახსოვდეთ, რომ მცენარის საკვებად ვარგისიანობა არ ნიშნავს მისი ყველა ნაწილის ვარგისიანობას. ძალიან ბევრი მცენარის ერთი ნაწილი შეიძლება საკვებად ვარგისი იყოს, მეორე ნაწილი კი შხამიანი. მაგალითად: კარტოფილის გორგლი საკვებად ვარგისია, მაშინ, როდესაც მისი ნაყოფი ძალზე შხამიანია.

მცენარის მიწისქვეშა ნაწილებიდან საკვებად შეგიძლიათ გამოიყენოთ გორგლები. ისინი დიდი რაოდენობით შეიცავენ საკვებ ნივთიერებებს (სახამებელს) და შეგიძლიათ მოხარშოთ ან შეწვათ, მაგალითად, კარტოფილი, ტკბილი კარტოფილი (მიწავაშლა), ისარა, მიწის თხილი, ცერცველა, ლაქაში.

სახამებლით ასევე მდიდარია მცენარეთა ფესვები და ფესურები. ასეთი მცენარეებია მრავალძარღვა, გვიმრა, ირმის ხავსი, ძირთეთრა, მჟაუნა, ვარდკაჭაჭა, თეთრი შროშანი, თეთრი დუმფარა, ანგელოზა.

საკვებად შეიძლება გამოიყენოთ მცენარეთა ნორჩი ყლორტები (რქა, ღერო) როგორც უმად, ისე მოხარშული. საჭმელად ვარგისი ყლორტები აქვს დანდურს, ირმის ხავსს, ბამბუკს, მარაოსებურ პალმას, გვიმრას, რევანდს, პაპაის, შაქრის ლერწამს.

ყველაზე ხშირ შემთხვევაში ვარგისია მცენარეთა ფოთლები. ასეთი მცენარეებია: ბაბუაწვერა, მჟაუნა, ჭინჭარი. შეიძლება ითქვას, რომ საკვებად ვარგისია ყველა არაშხამიანი მცენარის ფოთლები.

უმად შეგიძლიათ მიირთვათ ხის ლაფანი — ხის ქერქის ქვეშ არსებული თხელი ნაზი შრე. თავად ქერქი არ იჭმევა, რადგან იგი დიდი რაოდენობით შეიცავს მწარე ნივთიერებას — ტანინს.

მცენარეული ცილების შესანიშნავი წყაროა მარცვლეული და მცენარეთა თესლი. ისინი უნდა დაიფქვას ან დაიღერღოს და მომზადდეს ფაფა. ასეთი მცენარეებია: ფეტვი, ბრინჯი, ბამბუკი, ფინიკის პალმა, ფიჭვი, წყლის დუმფარა და დანდური.

# პოზიციები შაშხანიდან ზუსტი სროლისთვის

ჟურნალის წინა ნომერში უკვე გესაუბრეთ შაშხანიდან სროლის რამდენიმე ხერხზე, რომლებიც ეხებოდა საყრდენიდან სროლას. საყრდენიდან სროლა მოსახერხებელია სასწავლო პირობებში ან შედარებით მშვიდ ვითარებაში. მაგრამ უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებისას შესაფერისი საყრდენის მოძებნა არც ისე ადვილია. მისი თან ტარებაც რთულია — იგი მძიმეა.

მოძრავი ბრძოლისას სადაზვერვო-დივერსიული ან სამონადირეო სამხედრო ჯგუფის შემადგენლობაში, საყრდენიდან სროლისთვის შაშხანის მომზადება დიდ დროს წაიღებს, თანაც მოძრავ საცეცხლე კონტაქტში მას ვერსად მოძებნით. ამიტომ ძველი თაობის სნაიპერები, რომელთაც სროლა მირბენა-გადარბენით უწევდათ, რომლებიც ვარდებოდნენ და დგებოდნენ, რათა მყისიერად გაქრილიყვნენ 40-50 მ მანძილზე და ისევ ვარდებოდნენ და ამასობაში უსწრაფესად ემზადებოდნენ სროლისთვის, უპირატესობას აძლევენ სროლის სპორტულ ხერხს — ღვედიდან (ქამრიდან) სროლას. ამ შემთხვევაში საყრდენის როლს ასრულებს ჩვეულებრივი, ბრეზენტის იარაღის ქამარი.

მომზადება ასეთი სროლისთვის განსხვავდება საყრდენიდან სროლისგან. შაშხანის ღვედი, რომელსაც საყრდენის ფუნქციას ანიჭებთ, უნდა ჩამოიცვათ ხელზე, იდაყვსა და მხარს შორის. ღვედს ისეთი სიგრძე უნდა შეურჩიოთ, რომ ხელზე ჩამოცმისას ის დაჭიმული იყოს და იარაღის წონა მასზე მოდიოდეს. იარაღის სიმძიმის ცენტრი მარცხენა ხელზე მოდის, იარაღის საერთო საყრდენი კი უნდა იყოს მარცხენა იდაყვი. იდაყვი მკაცრად შაშხანის ქვეშ უნდა მდებარეობდეს. ჩვეულებრივი იარაღი წინ სძალავს, მაგრამ ამას ხელს უშლის იდაყვს ზემოთ გადაჭიმული ღვედი. თუ ქამარი გრძელია, იარაღი წინ წაიწევს, თუ ზომაზე მეტად მოკლეა, იგი ძალიან მიებჯინება მსროლელის მხარს და იარაღს ვერ მოიმარჯვებთ. თუ შაშხანის ქამრის ოპტიმალურ სიგრძეს შეარჩევთ, რაც თითოეული მსროლელისთვის ინდივიდუალურია, თქვენი შაშხანა ხანგრძლივად გაჩერდება უძრავად ისე, როგორც საყრდენზე. მარცხენა ხელის მტევანი თავსდება სალულის ნაჭდევებზე.



შაშხანის გაწონასწორება (დაბალანსება) ხდება იმგვარად, რომ მსროლელის მარცხენა ხელის მტევანი თავსდება იმ ადგილზე, რომელიც უძრავ საყრდენზე მოთავსდებოდა. ეს ადგილი ყოველთვის ახლოსაა სიმძიმის ცენტრთან. ეს ადგილია ნაჭდევები სალულეზე. თუკი ხელთ გაქვთ ხელთათმანი, უმჯობესია გეცვათ, რადგან იგი ახშობს პულსის რხევას. ხელთათმანის გარეშე პულსი კარგად შეიგრძნობა. სპორტსმენი მსროლელები პულსის ჩასახშობად მარცხენა ხელზე სქელ, ბეწვიან ხელთათმანს იცვამენ ბეწვით შიგნით.

მარცხენა ხელზე შაშხანა უნდა ეყრდნობოდეს არა თითებს, არამედ ხელის გულს, რომელიც ამობრუნებულია. შაშხანას მარცხნიდან შემოეჭდობა ცერა (პირველი) თითი, მარჯვნიდან — დანარჩენი ოთხი. თუ შაშხანას თითებზე დაიყრდნობთ, ეს გამოიწვევს ხელის გადახრას მარჯვნივ და ამავე მხარეს „გადახტება" შაშხანაც.

**მაიორი ზურაბ ხუციშვილი**

**ქვემოთ მოცემულია შაშხანიდან სროლის რამდენიმე ხერხი, ასეთი პოზიცია ბრძოლის დროს ნაკლებად გამოდგება, მაგრამ ეფექტურია ჩასაფრებისა და უძრავ სამიზნეზე სროლის დროს**







ეროვნული
ბიბლიოთეკა





# Lexus RX330

**ვინაიდან ბოლო ნომრებში „პარკეტის ყველგანმავლებზე" მოგვიწია წერა, ვფიქრობთ, უპრიანი იქნება კიდევ ერთი „გამოჩენილი" „პარკეტისტისთვის" მიგვეპყრო ყურადღება. მაშ ასე, თქვენ წინაშეა Lexus RX 330**

ცნობილი იაპონური კომპანიის ეს მოდელი ჩვენი ყოფილი ,,სტუმრის" – BMW X5-ის მთავარ კონკურენტად მოიაზრება. არც ის არის შემთხვევითი, რომ ლექსუსმა RX-330 სწორედ დეტროიტის ავტოსალონზე წარმოადგინა. სპორტული პროფილის ყველგანმავლების პოპულარობა ჩრდილოეთ ამერიკაში კვლავ ზენიტშია და სწორედ ამაზე აკეთებენ გათვლას იაპონელები. მართალია, ახლა ბევრს აღარ უკვირს არც ,,გონიერი მაშუქები" და არც მაარომატიზებელი კონდიციონერი, მაგრამ შარშანწინ მსგავს რამერუმეებს სერიულ მოდელებში ვერ შეხვდებოდით. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ RX 330 დღემდე კონკურენტუნარიანია და ბევრ დღევანდელ





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდელს არაფრით ჩამოუვარდება, თუ არ სჯობნის კიდეც.

ტექნიკური ნოვაციებიდან ცალკე აღსანიშნავია საუცხოო ლუკი, რომელიც სპეციალური ღილაკის მეშვეობით უხმოდ და ძალიან სწრაფად „იმალება". საოცარი ისიც არის, რომ მისი ღირსებები მარტო ამით არ ამოიწურება. ვისაც ლუკიანი მანქანით გიქროლიათ, აუცილებლად მიაქცევდით ყურადღებას იმ სპეციფიკურ ხმაურს, რომელიც ღია ლუკით მოძრაობისას ისმის. RX იმით არის უნიკალური, რომ 100 კმ/სთ-ზეც კი სალონში არანაირი ხმაური არ ისმის.



თავისი ქცევებითა და თვისებებით Lexus-ი სულაც არ ჰგავს ტიპურ გაფხორილ ამერიკულ ჯიპებს, ინდაურებივით მოუხერხებლები რომ არიან. RX 330 მძღოლის ყველა მოძრაობას ხელიკის მოქნილობითა და ქირურგიული სიზუსტით პასუხობს. საჭის რეაგირება სპორტული მანქანების მსგავსად ხისტია. ბორბლების ერთი უკიდურესი პოზიციიდან მეორემდე მისაყვანად საჭის მხოლოდ სამი ბრუნია საკმარისი. მუდმივი სრული ამძრავი და დამოუკიდებელი საკიდარი მძღოლს გზის სრული ბატონპატრონისა და მბრძანებლის შეგრძნებას უჩენს.



როგორც ცნობილია, „ლექსუსი" „ტოიოტას" შვილობილია და ამიტომ მხოლოდ საასფალტო მოდელის გაკეთება იაპონელებისთვის საკუთარი პრესტიჟის შელახვის ტოლფასი იქნებოდა. ამას კი ხარაკირი და მსგავსი რამეები მოყვება. არადა, ასეთი მანქანით თუ ლოტკინის მთაზე ან ვარკეთილის მიდამოებში მოხვდით, ვილაც-ვილაცების დახოცვის სურვილი ნამდვილად გაგიჩნდებათ. სწორედ ასეთი მომენტებისთვის გააკეთეს RX-ში ჯადოსნური ღილაკი, რომელიც მანქანის კლირენსს (მიწიდან დაშორება) არეგულირებს. რაც შეეხება უსაფრთხოებას, შეიძლება თამამად ითქვას, რომ RX ერთ-ერთი საუკეთესო „საასფალტო" ყველგანმავალია. ფრონტალური უსაფრთხოებ-



ეროვნული ბიბლიოთეკა





ის ბალიში საგრძნობლად გაუმჯობესებულია, როგორც მძღოლისათვის, ასევე გვერდით მჯდომი მგზავრისათვის. მისი ფუნქციონირების ხარისხი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის შეტაკების სიძლიერეზე და იმაზეც, თუ რა წონისაა ადამიანი და ავარიის მომენტში რა პოზაში იმყოფება. ინტერიერში საკმაოდ არის გამოყენებული ხე.

RX-ს გააჩნია „ჭკვიან" ხელსაწყოთა პანელი, რომელიც გასაღების გადატრიალებისას მკვეთრად ინთება, შემდეგ კი თავის ნათებას, გარე განათების შესაბამისად არეგულირებს. წინა სავარძლებს შორის მოთავსებული რამდენიმე განყოფილებად დაყოფილი საკმაოდ ტევადი სათავსის მთავარი ხიბლი ის არის, რომ მისი წინ და უკან ჩაწევა შეიძლება.

პროფესიონალები დღემდე ბევრს კამათობენ RX-330-ის დიზაინის შესახებ, ამის მთავარ მიზეზად კი წინამორბედთან დიდი მსგავსება სახელდება. მართლაც, ძველი და ახალი RX-ის შედარებისას იოლი შესამჩნევია, რომ ისინი ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც განსხვავდებიან. რაც მთავარია, RX-330-ის დიზაინმა დროის გამოცდას გაუძლო. იგი ყველაზე „ცხელ-ცხელი" ყველგანმავლების გვერდითაც თანამედროვედ გამოიყურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Parabellum

## თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის!!!

### საუკუნეების განმავლობაში...




**პისტოლეტი, რომელიც 105 წელია, მიზანს არ აცილებს!**



1921 წლის ცივი თებერვალი. ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები სხვადასხვა მხრიდან თბილისს მიმდგარ რუსული მე-11 არმიის შეტევებს იგერიებდნენ... ხელჩართულ ბრძოლებში ქართველი ოფიცრები მომხვდურს პისტოლეტებითაც, მათ შორის იმ დროისთვის უხალესი და ძვირად ღირებული ავსტრია-გერმანული Parabellum-ებითაც უმკლავდებოდნენ...

მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას „პარაბელუმი“ ვერ უშველიდა, თუმცა ეს პისტოლეტი ორიგინალური სახელით, რომელიც ლათინურად ასე ჟღერს „...ემზადე ომისთვის“, იმის მიმანიშნებელი იყო, რომ სუვერენიტეტის სურვილის მქონე ნებისმიერი ქვეყანა ყოველთვის მზად უნდა იყოს თავის დასაცავად.

21-ე საუკუნის დასაწყისში „პარაბელუმის“ ტიპის პისტოლეტი იუბილარი გახდა – შესრულდა ზუსტად 100 წელი, რაც იგი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პოლიციისა თუ არმიის შეიარაღებაშია.

„არსენალმა“ 1913 წელს გამოშვებული Parabellum-08 გამოსცადა და მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტულ პისტოლეტს კონკრეტული ტექნიკური ხარვეზი გააჩნდა (სასხლეტი ძალიან ძნელად ეშვებოდა), მაინც დარწმუნდა იმაში, რის გამო გახდა „პარაბელუმი“ ასე პოპულარული მთელ მსოფლიოში.

იარაღის ზოგიერთი ექსპერტი საზღვარგარეთ ზოგჯერ ასე ყოფს მოკლელულიანი იარაღის კლასებს – რევოლვერი, პისტოლეტი და... „პარაბელუმი“!

ყველაფერი კი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო, როდესაც 1893 წელს გერმანელმა ინჟინერმა ჰუგო ბორჰარდმა თავისი თვითდამტენი პისტოლეტი და მისგან სასროლი 7,63 მმ კალიბრიანი ვაზნები შექმნა. ბორჰარდის პისტოლეტის სროლის მექანიზმი რაღაცით ლეგენდარული ტყვიამფრქვევის – „მაქსიმისას“

ეროვნული ბიბლიოთეკა



წაგავდა და იმით გამოირჩეოდა, სხვა კონსტრუქტორების პისტოლეტებისგან, თუნდაც იმავე, არანაკლებ ლეგენდარული 1898 წლის „მაუზერის“ მოდელისგან, რომ სავაზნე მჭიდი პისტოლეტის სახელურში იყო განთავსებული, რაც მთლიანად პისტოლეტის სიმძიმის ცენტრს ემთხვეოდა და სროლის სიზუსტეს აუმჯობესებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბორჰარდის პისტოლეტი გამოირჩეოდა სროლის სიზუსტითა და სწრაფსროლით, მისი უარყოფითი მხარეები იყო პისტოლეტის სასროლო მექანიზმების ძალზე მგრძნობიარობა ჭუჭყის მიმართ, რაც დეტალების ხშირ წმენდასა და დაზეთვას მოითხოვდა. ამასთან ბორჰარდის პისტოლეტი რთული კონსტრუქციების გამო საკმაოდ ძვირი ღირდა. ეს პისტოლეტი მოითხოვდა დახვეწასა და გაუმჯობესებას, მაგრამ ბორჰარდი ჯიუტი გამოდგა და არავის აძლევდა უფლებას, პისტოლეტისთვის ხელი დაეკარებინა.

და მაინც გამოჩნდა კაცი, რომელიც არ შეეგუა ბორჰარდს და ეს პისტოლეტი გაუმჯობესების შემდეგ ცნობილ „პარაბელუმად“ აქცია. ეს გეორგ ლუგერი იყო. მან საფუძვლიანი მოდერნიზაცია ჩაუტარა ბორჰარდის პისტოლეტს – შეცვალა მისი დიზაინი, ბევრი დეტალის ფორმა თუ განლაგება და მიიღო იმ სახის „პარაბელუმი“, რომელსაც დღეს ვიცნობთ.

„პარაბელუმის“ სერიული წარმოება 1900 წელს დაიწყო სახელწოდებით „ბორჰარდისა და ლუგერის პისტოლეტი“. შემდგომში ეს პისტოლეტი ნელ-ნელა იხვეწებოდა და 1908 წელს კაიზერის არმიამ შეიარაღებაში მიიღო მოდელი Parabellum-08 ან მოკლედ P-08. ეს პისტოლეტი ფართოდ გამოიყენებოდა პირველ მსოფლიო ომში, თუმცა თავისი სახე არც 25 წლის შემდეგ მეორე მსოფლიო ომში დაუკარგავს. იგი ვერმახტის ოფიცრების საშტატო პისტოლეტს წარმოადგენდა, თუმცა მეორე მსოფლიო ომის ბოლოსთვის „პარაბელუმი“ გერმანიის არმიაში ნელ-ნელა WALTER P-08-ით შეიცვალა.

ეს იყო მცირე ისტორია იმის შესახებ, თუ რა გზა გაიარა „პარაბელუმმა“ გასულ საუკუნეში.

„პარაბელუმიდან“ სროლისას პირველი შეგრძნება ის არის, რომ ხელის მტევანში თითქმის იდეალურად ზის პისტოლეტის ტარი. სხვა პისტოლეტებისგან განსხვავებით, „პარაბელუმის“ ტარის დახრის კუთხე დიდია და თვით გამოუცდელი მსროლელიც კი გასროლისას ნაკლებად აკეთებს ლულის „ჩაკვრას“. ისე, „პარაბელუმს“ მიუჩვეველი თავდაპირველად ტყვიებს სამიზნის ზემოთ „უშვებს“, მაგრამ რამდენიმე გასროლის შემდეგ „ამულამებს“ „პარაბელუმის“ უნიკალურობის ნიუანსებს.

რა თქმა უნდა, „პარაბელუმი“ მთლად უნაკლო არ არის. ბორჰარდის პისტოლეტიდან მას „მემკვიდრეობით“ გადმოჰყვა ღიად განთავსებული სროლის მექანიზმები, რომლებიც ადვილად ჭუჭყიანდება და მუდმივ წმენდას მოითხოვს (საბჭოთა „მაკაროვი“ შეიძლება ბევრს გულზე არ ეხატებოდეს, მაგრამ „პარაბელუმისგან“ განსხვავებით „მაკაროვი“ ჭუჭყის კარგი ამტანია და ნაკლებად გიმტყუნებს). თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, „პარაბელუმი“ იარაღის ერთ-ერთ შედევრს წარმოადგენს, რადგან აგერ, უკვე მესამე საუკუნეა, ისვრის!

*ირაკლი ალადაშვილი*



**ჩვენი დოსიე:** Parabellum-08-ის მჭიდში 9X19 ლ ტიპის 8 ვაზნა ეტევა. პისტოლეტის სიგრძე 21,7 სმ-ია, საიდანაც 9,8 სმ ლულაზე მოდის. ვაზნების გარეშე პისტოლეტი 890 გრ იწონის. მისი ავტომატიკა ლულის მოკლე უკუსვლის სისტემით მომქედებს, ხოლო ჩაკეტვა ბარბაცების სისტემის მეშვეობით ფუნქციონირებს. ძირითადი მოდელის გარდა გამოშვებულია „პარაბელუმის“ საზღვაო მოდელი, რომელშიც ლულა 15 სმ-მდეა დაგრძელებული და საარტილერიო მოდელი 20 სმ-იანი ლულით.

*მადლობას ვუცხადებთ ცეცხლსასროლი იარაღის მაღაზია-სალონ „17/21“-ს (სანაპიროს ქ.№2) პისტოლეტის გამოცდაში გაწეული დახმარებისთვის.*



# Parabellum P-08

არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა